

თავი 3

სიტყუად ესე: „და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყუნიან პირნი მათნი, რაფთა ერუენენ კაცთა მმარხველად“ (6,16).

კეთილ არს ამას სიტყუასა ზედა დიდად სულ-თქუმაჲ და მწარედ გოდებაჲ, რამეთუ არა ხოლო თუ ორგულთა ვჰბაძავთ, არამედ მათცა ფრიად გარდავემატებით, რამეთუ ვიცნი მრავალნი ჩუენ შორის, რომელნი არა ხოლო თუ იმარხვენ და ერუენებიან კაცთა, არამედ არცა თუ იმარხვენ და მარხვასა იჩემებენ და სახესა მმარხველობისასა უჩუენებენ კაცთა და მიზეზსა წინაგკყოფენ უძკრესსა ცოდვისა მათისასა და იტყუნ: ამისთვის ესრეთ ვიქმთო, რაფთა არა დავაბრკოლნეთ კაცნი. რაჲ არს სიტყუად ესე, უგუნურო? ბრძანებაჲ არს მეუფისაჲ, რომელი ამას გუამცნებს, რაფთა არა ვერუენებოდით კაცთა, და შენ იტყუ, ამისთვის ვერუენებო, რაფთა არა დაბრკოლდენ კაცნი; და უფროჲსლა გარდასლვასა მცნებათა ქრისტესთასა იტყუ აღსაშენებელად სხუათა?

რამცა იყო უძკრეს ამის სიტყუსა? რამეთუ ამით ჯერითა ფრიად უარეს ხარ ორგულთაცა, არამედ გრცხუენოდენ სიტყუათაგან უფლისათა და გულისწმა-ყავ, ვითარ ძლიერად განგუაკრძალებს, რამეთუ არა თქუა, თუ: ერუენებიან ხოლო, არამედ: „განირყუნიანო პირნი მათნი, რაფთა ერუენენ კაცთა“. მჭმუნვარებასა მას და უფერულებასა პირისასა, რომელსა იქმან სახილველად კაცთა, განრყუნილებაჲ და სიხენეშედ სახელსდვა, რამეთუ ყოველივე გარეგანი წესისაჲ განრყუნილება არს, გინა თუ ცუდადმზუაობრობისათს და მაჩუენებლობისა უფერულ და ყვთელ ყოს ვინ პირი თსი, გინა თუ პირშუენიერებისათს – ჰაეროვან და ფეროვან სავნებელად მხილველთა მათ, ორივე განრყუნილება არს პირისა და სასჯელისა თანამდებ; და უფროჲსლა მეორე ესე სახე უძკრეს არს, რამეთუ რომელმან-იგი მაჩუენებლობისათს უფერულ-ყო პირი თსი, თავსა ხოლო თსსა ავნო, ხოლო რომელმან შეამკო თავი თსი ფეროვნებითა და გულებითა პირისაჲთა და სამკაულითა სამოსელთაჲთა, თსსაცა სულსა ავნო და სხუათა მრავალთა.

ვითარცა-იგი წინაჲსწარმეტყუელი ვაებასა მისცემს მათ, რომელნი ვლენან ქედითა მალლითა და პირითა გულებულისა და წამის-ყოფითა თუ-ალთაჲთა და სამკაულითა შუენიერითა, განსათხზველებითა და საკუხებითა, ფარღლებითა და მეღევანდებითა და საცხინველებითა, საღტებითა და განთხზულითა კონლებითა და ბეჭდებითა, მარჯუენით საცუმელებითა და საყურებითა და ძონეულოვანითა ბისონითა და იაკინითა, მენამულითა და ზეზითა ოქროსა თანა და იაკინთესა შექმნულითა, და ბიალონები იქცევისი.

ამისთვის ჯერ-არს ორისავე ამის განრყუნისაგან სივლტოლად ყოვლითა მოსწრაფებითა, რამეთუ სავენებელ არს ორივე სულისა და განრყუნისა ბუნებისა. ხოლო არა მარყუნებლობისაგან ოდენ გკბრძანა სივლტოლად, არამედ ყოვლითა ძალითა დაფარვად სათნობათად გუამცნო, ვითარცა ზემოცა წარმოთქუა, გარნა მოწყალებისათს არა ესრეთ განჩინებით თქუა, არამედ ბრძანა რად, ვითარმედ: „ეკრძალენით ქველისსაქმესა თქუენსა, რადთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა“, შესძინა, ვითარმედ: „სახილველად მათდა“.¹

ხოლო ლოცვისა და მარხვისათს არარად თქუა ესევეთარი. რადსათს-მე? ამისთვის, რამეთუ მოწყალებისა შეუძლებელ არს ესრეთ დაფარვად, რადთამცა ყოვლადვე არავინ ცნა, ხოლო ლოცვისა და მარხვისა შესაძლებელ არს.

და ვითარცა-იგი იტყოდა რად, ვითარმედ: „რაჟამს ჰყოფდე ქველისსაქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი“;² არა ჳელთათს იტყოდა, არამედ რადთა მოსწრაფე ვიყვნეთ ფარულად კაცთაგან ყოფად ქველისსაქმისა; და ოდეს-იგი თქუა, ვითარმედ: „ილოცვიდე რად, შეედ საუნჯესა შენსა“,³ არა თუ მუნ ოდენ გუამცნო ლოცვად, არამედ ესევე სახე გუაუნყა, რადთა არა საჩუენებელად კაცთა აღვასრულებდეთ ლოცვასა. ეგრეთვე აქა იქმს სიტყვთა ამით, რომელი თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაბანე პირი შენი, რადთა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ“ (6,17-18).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არა თუ სიტყვთა ამით ცხებად თავისა და ბანად პირისა გუამცნო; უკუეთუ არა, ვიპონითმცა ყოველნი გარდამავალ ამას შჯულსა, და უფროდსად, რომელნი-იგი ყოველთა უმეტესად აღსრულებად მისა მოსწრაფე არიან, კრებულნი მონაზონთანი, მკვდრნი მათთა შინა და უდაბნოთა. ან უკუე არა ცხებასა და ბანასა გკბრძანებს, არამედ ვინადთგან ძუელსა მას ჟამსა შინა ჩუეულებად აქუნდა კაცთა ჟამსა შუებისა და სიხარულისასა ზეთისა ცხებად, რომელთა აქუნ – სურნელებითა შემზადებულისა, და სხუათა – ლიტონისა ზეთისა (და ესე საცნაურ არს დავითისგან და დანიელისგან), ამისთვის ბრძანა უფალმან ცხებად და ბანად, რადთა ამით სიტყუათა მიერ ვისნაოთ, ვითარმედ ჯერ-არს ყოვლით კერძო მოსწრაფებად დაფარვად კაცთაგან მარხვისა ჩუენისა; და რადთა სცნა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს სიტყუად ჩუენი, გულისწმა-ყავ, ვითარმედ თავადმან რად-იგი სიტყვთა გუამცნო, საქმით აღასრულა.

¹ მათ. 6,1.

² მათ. 6,3.

³ შდრ. მათ. 6,6.

და ოდეს-იგი ორმეოც დღე იმარხა, ფარულად კაცთაგან ქმნა იგი, გარნა არცა თავი იცხო, არცა პირი დაიბანა, არამედ თვნიერ ამისაცა ყოველივე განშორებულად და უცხოდ ზუაობისაგან და მაჩუენებლობისა ქმნა და ჩუენცა ესრეთ გვბრძანა ქმნად. ამისთვის ორგულ სახელ-სდვა მაჩუენებელთა, რამეთუ ღმრთისათვის ქმნად აჩუენებენ, ხოლო იგინი კაცთა ქებასა ეძიებენ, რომელთა საქმე არა საკიცხელ ოდენ არს, რომელ ქებაჲ კაცთად აღირჩიეს, ვიდრელა ღმრთისად, არამედ საგლოელცა არს, რომელ აქავე მიუღებებს სასყიდელი ცუდი და არარად და უუძღურესი აჩრდილისა და სიზმრისა.

და ოდეს-იგი წარდგენ წინაშე ღმრთისა, სადა-იგი ყოველივე შიშუელნი და ქედდადრეკილნი წარვდგეთ, მაშინ იპოვენ იგინი უნაყოფონი და ცარიელნი; და რადმცა იყო ამისა უსაწყალობელეს, უკუეთუ მოქმედთა სათნოებისათა, ოდეს-იგი სასყიდელისა ჟამი იყოს, არარად პოონ, არამედ ესმას ვჲმად იგი სიმწარისად, ვითარმედ: „მიგიღებებს სასყიდელი თქუენი“.¹

და უფროსად, რომელ ესრეთ სუბუქ და ადვილ არს მცნებაჲ ესე, რამეთუ არა თუ უმეტესად მარხვაჲ გუამცნო, არამედ ესე ოდენ გვბრძანა, რადთა სასყიდელი იგი და გვრგვნი შრომისა მის ჩუენისად არა წარვწყმიდოთ; რადთა რომელი-იგი ძნელ არს და მძიმე, ზოგად გუაქუნდეს ჩუენცა და მაჩუენებელთა, რომელ არს შრომაჲ იგი და ჭირი მარხვისად, რამეთუ ჩუენცა ვიმარხავთ და იგინიცა, და ოდესმე უმეტესცა ჩუენსა არნ მათი იგი მარხვაჲ; ხოლო რომელი-ესე სუბუქ არს და ადვილ, – რადთა სასყიდელი შრომისა ჩუენისად არა წარვწყმიდოთ, – ესე გუამცნო და გვბრძანა უფალმან. არა თუ შრომაჲ და ლუანლი ჩუენი აღაორძინა, არამედ სასყიდელი ჩუენი დაგვმარხა უცთომელად, რადთა არა ცარიელნი და უგვრგვნოსონი წარვიდეთ მსგავსად მათსა, რომელთაცა ორგულ სახელ-სდვა.

რამეთუ არცა თუ თეატრონსა შინა, ანუ ცხენთა სარბიელსა შემავალთა მალემსრბოლთა, გინა მორკინალთა, გინა მსახიობელთა მიემსგავსენს, ანუ თუ მეორღანოეთა და მენესტვეთა, ქნართა და ლინითა მეტყუელთა და პირად-პირადითა სილოდითა მემღერთა; რამეთუ ესე ყოველნი თვსად-თვსადსა მას სახიობასა რად აღასრულებდენ და ესოდენი იგი სიმრავლე ერისად გარემოადგენ, არცა ვის ერუენებოდიან, არცა ვისთვის ზრუნვიდიან, არამედ ყოველივე გონებაჲ მათი და თუალნი გულისა და ჳორცთანი მისა მიმართ აღპყრობილ არნ, რომლისაგანცა ნიჭსა და სასყიდელსა მოელოდიან, გინა თუ მეფე ზინ მუნ, გინა თუ სხუად ვინ ნაცვალი მისი.

ხოლო ესენი თვსსა მას შრომასა არა მას უჩუენებენ, რომელი-იგი ღმერთი არს და მეუფე ყოველთად, რომელი-იგი განუყოფს მონათა თვსთა უხუებით ნიჭთა მათ მიუთხრობელთა, არამედ მათ ერუენებიან, რომელნი

¹ შდრ. მათ. 6,2,5.

არა ხოლო თუ ვერარას არგებენ, არამედ ფრიადცა ავნებენ. ეჰა ფრია-
დი ესე უგუნურებად და სიცოფე – დატეობად ღმრთისად და სათნო-ყოფად
კაცთაჲ!

რასა იქმ, ზ მარუენებლო, რად ცუდად შურები და ამოდ წარაგებ
ლუანლსა შენსა? რადსათს არა ღმერთსა სათნო-ეყოფი, არამედ კაცთა?
და უკუეთუ რადმე კაცთა მიერ გნებავს, რადთა იხილვებოდინ შრომანი შენ-
ნი, მე გიჩუენო ჟამი, რადთა უვნებელად უჩუენნე კაცთა შრომანი შენნი
– დღესა მას დიდებულსა და საშინელსა მეორედ მოსლვისა ქრისტესსა.
უკუეთუ ან დასთრგუნო ცუდადუაობად, მაშინ ბრწყინვიდენ ქველისსაქ-
მენი შენნი წინაშე ანგელოზთა და კაცთა, მაშინ იყოს ჭეშმარიტად ქებაჲ
შენი და ნეტარებაჲ ყოველთა მიერ. ხოლო აწინდელი ესე მარუენებლობად
დიდად სავნებელ არს შენდა; ერთად, რამეთუ გამოგაჭუებს საუკუნოვსა
მის დიდებისაგან, მეორედ, რომელ უნდონი და მცირედნი კაცნი ხედვენ
საქმესა შენსა და მრავალგზის არცა თუ მოყუარენი სათნოებისანი, არამედ
მტერნი. რად უკუე იყოს მათგან სარგებელი შენი, და უფროვსა, რაოდენი
ვნებაჲ არა მოინიოს მათ მიერ შენ ზედა?

რამეთუ ესე მეზრ სირცხვლ არს შენდა, რომელ მტერთა სათნოებისათა
უჩუენებ სათნოებასა შენსა და არა ღმერთსა, წყაროსა მას და მოძღუარსა
სათნოებისასა, და წმიდათა მისთა მუშაკთა მათ და ტრფიალთა სათნოე-
ბისათა, ვითარცა წინაწარმეტყუელი ლაღადებს: „შენ მიერ არს ქებაჲ ჩემი
ეკლესიასა შინა დიდსა; აღგიარო შენ, აღთქუმაჲ ჩემი აღვასრულო წინაშე
მოშიშთა შენთა“;¹ რამეთუ ეკლესიაჲ შესაკრებელად გამოითარგმანების,
ხოლო შესაკრებელი დიდი დღე იგი განკითხვისად არს, ოდეს ფრიადი კრე-
ბული ანგელოზთა და კაცთაჲ ერთბამად წარმოდგენ. ნეტარ არს უკუე,
რომლისა ქებაჲ მაშინ იქმნას ღმრთისაგან წინაშე მოშიშთა მისთა, რამეთუ
მან დაიმკვდროს სასუფეველი ცათაჲ. ამისთს გევედრები, მუშაკნო სათ-
ნოებისანო, ნუ კაცთათს, არამედ ღმრთისათს იყავნ შრომაჲ თქუენი; ნუ
კაცთათს ჰმორჩილობთ ღმერთსა, არამედ ღმრთისათს – კაცთა. რამე-
თუ უკუეთუ კაცთათს იქმოდით სათნოებათა, სწორ ხართ არამოქმედთა-
სა, რამეთუ ვითარცა იგინი არაქმნითა ურჩ ექმნებიან ღმერთსა, ეგრეთვე
თქუენ – ურჩულოდ და უნესოდ ქმნითა; არამედ რჩულიერად ილუანეთ,
რადთა რჩულიერადცა გვრგვნოსან იქმნეთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სა-
და მლილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და
განიპარიან. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა
მლილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარი-
ან და განიპარიან. რამეთუ სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული
თქუენი“ (6,19-21).

¹ ფსალმ. 21,26.

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაიდან ცუდადმზუაობრობისა სენი განდევნა კეთილად ან, და თვსსა ჟამსა შემოაქუს შორის უპოვრებისათვს სიტყუად. რამეთუ არარად ესრეთ აღაორძინებს ტრფიალებასა საფასეთასა, ვითარ ტრფიალებად ცუდისა დიდებისად, რამეთუ ამისთვის მოიგებენ კაცნი სიმრავლესა მონათასა და კრებულსა საჭურისთა და შიმონვართასა, ჰუნეთა ოქროალკაზმულთა და ტაბლათა ვეცხლითა გამოტურანტუსებულთა, ტაძართა ოქროქანდაკებულთა და პირად-პირადითა მარმარილოთა დასხმულთა, ცხედართა ოქროჭედითა და ანთრაკითა ნახნაგებულთა მარგალიტისა თანა შემკულთა და გარდაგებულთა ზეზითა, ძონითა და ჭიჭნაურითა, და იმოსებიან პორფირითა, ბისონითა და ოქროქსოილითა; აღსდგმენ კარავთა იქცევისად ნემსულთა და ფერად-ფერადად ჭრელებულთა, საბლებითა ძონეულისა და ზეზისადათა და ქობინითა ოქროესა და ვეცხლისადათა; დააგებენ ტაბლათა მრავალსახითა სანოაგითა სავსეთა და იშუებენ ემბნითა, ქნარითა, ბობლნითა და ნესტვთა.

ამას ყოველსა არა თუ წესიერისა მის და ბუნებითისა საწმრისათვს იქმან, არცა განსუენებისათვს ხოლო ჯორცთა მათთადას, არამედ რადათა სხუათა ერუენენ და მოიგონ კაცთა მიერ ქებად და ცუდი დიდებად. ამისთვის პირველად ცუდადმზუაობრობისა სენი განდევნა და მერმე იწყო უპოვრებისათვს სიტყუად; რამეთუ ზემორე მონყალებისათვს ხოლო ამცნო, ამისთვის, რადათა არა მეყსეულად უბრძანოს სრულიად უგულბებელს-ყოფად საფასეთადა, მრავლისა მის მძლავრებისათვს ამის ვნებისა; ხოლო ვინაიდან მრავლითა ამით სწავლითა საწმართმოყუარებისა იგი ბადენი დაჭრნა, ამისთვის ან ჯეროვნად სრულიადსა სიძულილსა საფასეთასა გვბრძანებს.

პირველად თქუა: „ნეტარ იყვენენ მონყალენი, რამეთუ იგინი შეინყალენენ“;¹ და კუალად: „რომელსა უნდესო სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“;² და „რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარემიიქცევი“;³ ხოლო ან უაღრეს მის ყოვლისა გუამცნებს, რამეთუ მუნ თქუა, ვითარმედ: სიმრავლისაგან ნაქონებთადასა იქმოდე მონყალებასა, გინა თუ სიმცირისაგან, ვითარცა ვის ძალ-ედვას; და კუალად: უკუეთუ შფოთი და ლალვად შემოვიდოდის შორის, მიუტევე სამოსელიცა შენი და მოიყიდე მშვდობად; ხოლო ან არცა გლახაკნი ავსენნა, არცა შფოთი და ლალვად, არცა სხუად რაიმე მიზეზი, არამედ თავით თვსით სიძულილსა და შეურაცხებასა საფასეთასა გუასწავებს, რადათა სრულიად ურიდად განუყოფდეთ გლახაკთა და ყოველნივე საუნჯენი ჩუენნი დავაცარიელნეთ. და არცა აქა ყოველივე გამოაცხადა სიკეთე უპოვრებისად, რამეთუ არა იყო ჟამი სრულიადისა გამოცხადებისა მისისადა, არამედ შემოიღებს სიტყუასა თანამზრახველისა და არა რჩულისმდებელისა მსგავსსა. ამისთვისცა იტყვს: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა

¹ მათ. 5,7.

² მათ. 5,40.

³ მათ. 5,42.

ზედა, სადა მლილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“.

და ვითარცა კეთილმან და ყოვლადბრძენმან განმზრახმან გამოაჩინა სანუთროდსა ამის საუნჯისა სავნებელი და მერმისა მის უცთომელობად და სარგებელი ადგილისაგანცა და მავნებელთაგანცა, და გამოაჩინებს, ვითარმედ მონყალებისაგან არა წარგებად და უჩინო-ყოფად საფასეთად იქმნების, არამედ უფროდსად განმრავლებად და უცთომელად დამარხვად, ხოლო დამარხვისაგან უმეტესად განრყუნილებად და წარწყმედად შეემთხუევის. და იხილე მიუთხრობელი იგი და გამოუთქუმელი სიბრძნე: არა თქუა, თუ: „ნუ იუნჯებთ ქუეყანასა ზედა“, რამეთუ შემდგომად მცირედისა ყოველივე სხუათა დაუტეოთ და წარხვდეთ ამიერ; არა თქუა ესე, რამეთუ კაცთა ესეცა მრავალგზის სწადის, რადთა აქუნდეს სიმდიდრე ცხორებასა თვსსა და მერმე სხუათა დაუტეონ, არამედ უჩუენებს, ვითარმედ ცხორებასავე თვსსა ანგაჰრნი მრავალგზის ვერ შემძლებელ არიან დამარხვად მონახუეჭისა მის მათისა, რამეთუ დაღაცათუ კაცთა არა ავნიან, მლილმან და მჭამელმან განრყუნის; რამეთუ დაღაცათუ ფრიად უძლურ არს ესე მტერი, არამედ ამასცა ვერ წინააღუდგებიან კაცი, ვერცა ჴელნიფების დაყენებად.

ხოლო თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არს ესე, ოქროსა გინა ვეცხლსა მლილი ავნებსა? ოქროსა გინა ვეცხლსა მლილი ვერ ავნებს, გარნა მპარავნი ავნებენ. და ნუ იტყვ, ვითარმედ: არა თუ ყოვლისა კაცისასა წარიტაცებენ მპარავნი, – რამეთუ მრავალთასა წარიტაცებენ. რადთა სცნა, ვითარმედ ადვილად წარსაწყმედელ არს ბუნებად საფასეთად – რომელიმე მპარავთა განიპარიან, სხუად ავაზაკთა წარიტაციან, სხუად მძლავრთა დატყუენიან, და ესე ყოველი უუძლურესისა მის სახისა მიერ მოასწავა – მლილთა მიერ და მპარავთა. და მერმე სხუად დაურთო: „სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“. ესე იგი არს, ვითარმედ: დაღაცათუ არარად ესევითარი შეემთხვოს საუნჯეთა თქუენთა, არცა მლილმან და მჭამელმან განრყუნას, არცა მპარავთა და ავაზაკთა განიპარონ, ესე მეგრ დიდი ზღვევად და ვნებად არს თქუენ ზედა, რომელ გულნი თქუენნი შემსჭუალულ იყვნენ ცუდთა ამათ და არარათა საქმეთა, და აზნაურებისა წილ მონა იყვნეთ, და მოქალაქობისა მისგან ზეცათაჲსა დაეცნეთ, და ვერარას საღმრთოთა და მაღალთა საქმეთა ჴელ-გენიფებოდის გულისჴმის-ყოფად, არამედ მარადის გულნი თქუენნი იყვნენ საფასეთა შინა წარმავალთა და ვახშთა და აღნადგინებთა და ვაჭრობათა და სხუათა ესევითართა უნდოთა და ამართა საქმეთა.

და რადმცა იყო უსაწყალობელეს ამის საქმისა? რამეთუ ესევითარი იგი კაცი მონისა გინა ტყვსა უძვრეს არს, დამონებული მძლავრისა მის უწყალოდსა, რომელ არს საჭმართმოყუარებად, და დაბმული, ვითარცა ძალი ჯაჭვთა, მცველად საფასეთა მათ მამონაჲსდა განჩემებულთა.

ამისთვის თქუა, ვითარმედ: „სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“.

ხოლო ვინაფთგან ესე უზეშთაეს იყო გულისწმის-ყოფისა მის მსმენელთადა და ვერცა სავენებელსა მისსა გულისწმა-ჰყოფდეს, ვერცა სარგებელსა, არამედ გონიერებად სულიერი საწმარ იყო ამის ორისავე შეტყუებად, ამისთვის ხილულისა საქმისა მომართ მოილო სიტყუად თვის და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რავდენ-მე?“ (6,22-23).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ხოლო განმარტებაჲ სიტყუსა ამის ესრეთ არს: ზემო თქუა, ვითარმედ: ნუ იუნჯებთ ქუეყანასა ზედა ნუცა ოქროსა, ნუცა სხუასა რას უმეტესსა საქიროდსა მის და სათანადოდსა საწმარისა, რამეთუ მლილსა და მჭამელსა და მპარავთა დაუმარხავ საუნჯესა მას; ხოლო დალცათუ მათგან უვნებელად ეგოს ნამარხევი იგი შენი, არამედ ამას ვერ განერე, დამონებასა მინისაგანთა და ამათა საქმეთასა და მათდა შემსჭულავასა გულისა შენისასა, რამეთუ „სადაცა არს საუნჯე შენი, მუნცა იყოს გული შენი“.

და ვითარცა რაჟამს ზეცას იყოს საუნჯე შენი, არა ესე ხოლო გაქუს სარგებელად, რომელ უშიშსა და უცთომელსა ადგილსა დაგიც ნამარხევი იგი და, ოდეს დიდად გეწმარებოდის, მაშინ ჰპოო იგი მრავალწილად აღორძინებული და განმრავლებული, არამედ აქავე დიდად სარგებელ გეყოს, რომელ ყოველივე გონებაჲ შენი მუნ მიიცვალოს და ზეცისასა ჰზრახვიდე და ზეცისასა ჰზრუნვიდე, რამეთუ სადა-იგი საუნჯე შენი წარავლინე, საცნაურ არს, ვითარმედ გონებადცა შენი მუნ იქცევის. ეგრეთვე უკუეთუ ყოველსავე ქუეყანასა ზედა და მიწათა შინა იუნჯებდე, ყოველივე წინააღმდეგომი შეგემთხვოს. და უკუეთუ ვერღა გულისწმა-ჰყოფ სიტყუასა ამას, ისმინე სხუადცა იგავი: „სანთელი გუამისაჲ არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რავდენ-მე?“

ამათ სიტყუათა მიერ ხილულისა სახისა მიმართ მოიყვანებს სიტყუასა თვისსა; რამეთუ ვინაფთგან აწსენა ტყუეობაჲ იგი და მონებაჲ გონებისაჲ, ხოლო ესე არა მრავალთა მიერ საცნაურ იყო, ამისთვის ხილული საქმე და ჳორციელი სახედ მოართუა, რაფთა ამის მიერ იგიცა გულისწმა-ყონ, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ უმეცარ ხარ და არა უწყი, თუ რაჲ არს ვნებაჲ გონებისაჲ, ჳორციელისაგან გულისწმა-ყავ, რამეთუ რაჲ-იგი თუალნი ჳორცთათვის არიან, ეგრეთ არს გონებაჲ სულისათვის; და ვითარცა არაოდეს აღირჩიო შემოსაჲ ოქროქსოილისა და პორფირისა და სიბრმე

თუალთაჲ, არამედ სიმრთელე თუალთაჲ უაღრეს ყოვლისა სიმდიდრისა შეჰრაცხო, რამეთუ უკუეთუ ბრმა იყო, არარას სარგებელ გეყოს ყოველივე სიმდიდრე, არამედ სხუათაცა ასოთა ძალი დაიწსნების მოკლებითა ნათლისაჲთა, ეგრეთვე უკუეთუ გონებაჲ შენი ვნებულ იყოს, ბევრეულითა ბოროტითა აღივსოს ყოველივე ცხორებაჲ შენი. ან უკუე ვითარცა გუამსა შინა უმეტეს ყოვლისა თუალთა შეიკრძალებ, ეგრეთვე სულსა შინა გონებაჲ შეიკრძალებ, რადთა უვნებელად ეგოს; ხოლო უკუეთუ იგი დაბნელდეს, რომლისაგან სხუათა ასოთა მიეფინების ნათელი, ვინაჲ იხილო შენ ნათელი?

რამეთუ ვითარცა უკუეთუ ვინ წყაროდ განაწმოს, ყოველივე იგი მისგან გამომავალი წყალი განაწმო, ეგრეთვე, რომელმან გონებასა აენოს, ყოველივე ცხორებაჲ თვისი შეაშფოთა და აღამრღვა. ამისთვისცა თქუა: „უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რავდენ-მე?“ რამეთუ ოდეს მენავეთმოძღუარი დაინთქას და სანთელი დაივსოს და ერისთავი ტყუე იქმნას, შემდგომთა მათთა რადლა სასოებაჲ აქუნდეს? ეგრეთვე უკუეთუ გონებაჲ ვნებათა მიერ წარტყუენულ და დაბრმობილ იყოს, სხუანი იგი ძალნი სულისანი ყოველნივე არა დაიწსნენა? რამეთუ ვითარცა არარად სარგებელ ეყოს სამკაული მწედართაჲ, უკუეთუ ერისთავი ტყუე იქმნას, არცა – სიკეთე ნავისაჲ, უკუეთუ მენავეთმოძღუარი დაინთქას, არცა – კეთილადმეწყობილებაჲ ასოთაჲ, უკუეთუ თუალნი ბრმა იყვნენ, და ვითარცა უკუეთუ მკურნალი მრავალთა უძღურთაჲ მოწყლას ვინ ბოროტად და დაანვინოს ცხედარსა ზედა ოქროქანდაკებულსა, არად სარგებელ ეყოს მისდა მიმართ შემხედვართა უძღურთა, ეგრეთვე უკუეთუ გონებაჲ დაბნელებულ და წარწყმედილ იყოს, არად სარგებელ ეყოს კაცსა სიმდიდრე ჯორციელი და საუნჯენი წარმავალნი.

ჰხედავა, ვითარ რომლისათვის სურვიელ არიან კაცნი მოგებად საფასეთა, მის მიერ უფროსად ჰყოფს უფალი მოწყუედასა მათსა მათგან? რამეთუ ესრეთ გვბრძანებს: რადსათვის ნადიერ ხართ, მჱ კაცნო, მოგებად საფასეთა და საწმართა? არა ამისთვისა, რადთა შუებით და სიხარულით სცხონდებოდით? ან გულისწმა-ყავთ, ვითარმედ შეკრებითა საფასეთა და საწმართაჲთა არა შუებაჲ და სიხარული, არამედ უფროსად ურვაჲ და საღმობაჲ მოგეცემის, და გონებაჲ თქუენი მონა და ტყუე იქმნების.

და ვითარცა-რად თუალნი თუ დაბრმდენ, ვერღარა ჯელ-ენიფების გამორჩევაჲ ფერთა და სახეთა, ეგრეთვე უკუეთუ გონებაჲ ბრმა და დაბნელებულ იქმნას, ვერარას კეთილსა ჯელ-გენიფების გულისწმის-ყოფად. ამისთვის გეტყვ: ნუ იუნჯებთ ქუეყანასა ზედა, რადთა არა ნათელი იგი გონებისაჲ დაბნელდეს და ბნელსა შინა იყვნეთ. რადსთვის იუნჯებთ? – რადთა ოდეს გეწმარებოდის, გაქუნდეს და განსუენებით სცხონდებოდით. ესე ორივე მე მიგანიჭო უხუებით, უკუეთუ მისმინოთ და, სადა მე გიბრძანებ, მუნ დასხნეთ საუნჯენი თქუენნი. და ვითარცა-იგი ზემო მა-

ჩუენებლობით მლოცველთა და მმარხველთა ეტყოდა, ვითარმედ: რა-სათჳს ერუენებით კაცთა, რაჲთა ქებაჲ მოიგოთა? ან უკუე მოინყვდეთ მაჩუენებლობაჲ, და მე ღირს-გყო ქებასა და დიდებასა დიდსა მერმესა მას საუკუნესა; ეგრეთვე აქა იტყჳს, ვითარმედ: მუნ დასხენით საუნჯენი თქუენნი, სადა მე გიბრძანებ, და ჰპოოთ შუებაჲ და განსუენებაჲ ჟამ-სა მას, ოდეს არღარავინ მიგიღოს თქუენგან, ხოლო უკუეთუ ქუეყანასა ზედა დასხნეთ საუნჯენი თქუენნი და მიწასა შინა დაჰჳლნეთ საფასე-ნი თქუენნი, მრავალი ვნებაჲ შეგემთხვოს თქუენ და უფროჲს ყოვლისა სიბრმე იგი გონებისაჲ, რამეთუ ვითარცა ბნელსა შინა მყოფნი ვერა-რას ხედვენ განცხადებულად, არამედ გინა თუ საბელი იხილიან, გუე-ლი ეგონის, გინა თუ მცირე რაჲმე დანახეთქი პოიან, დიდი ჴნარცჳ ეგო-ნის, ეგრეთვე რომელთა დადვან საფასეთა მიმართ სასოებაჲ თჳსი და მათა მიმართ შემსჭუალონ გონებაჲ თჳსი, მრავალი ძკრი შეემთხუევის: ძრწიან სიგლახაკისაგან, ეშინის ზღვევისაგან, უკუეთუ მცირედლა რაჲ-მე წარწყმიდონ, უფროჲს მათსა მწუხარე არიან, რომელთა არა ეპოების მდღევარიცა საზრდელი. ამისთჳსცა მრავალთა მდიდართა წარწყმედი-სათჳს საფასეთაჲსა შიშთვილ-იბესცა, ესოდენ დაბნელდეს გონებანი მათნი, და ვერ უძლეს განფრთხოებაჲ და მწუხარებისა მის წინააღდგო-მად, რამეთუ სრულიად დაჴსნილ და უგუზურ ყვნა იგინი სიმდიდრემან, თჳნიერ თჳსსა მას მონებასა შინა; რამეთუ ოდეს მონებაჲ თჳსა უბრძა-ნებდეს, ესრეთ ჰყოფს გონებათა მათთა, რომელ მახჳლსა და ცეცხლსა და სხუასა ყოველსავე საშინელსა საქმესა შეჰკადრებენ და არცა შრო-მასა და ჭირსა ჰრიდებენ, არცა სირცხჳლსა და ყუედრებასა, რომელ-ესე ფრიადისა უბადრუკებისა საქმე არს; ხოლო სადა საღმრთოჲ რაჲმე და კეთილი საქმე გამოჩნდეს, ჩჩჳლთა ყრმათასა უმოშიშე და უუგუზურეს იპოვნიან. ვითარცა-იგი ვიეთნიმე თეატრონთა შინა შევიდიან საუცრად განმცხრომელნი და საქმენი აჩუენნიან ფრიად საშინელნი, საბელსა ზე-და ჰაერთა შინა განრთხმულსა სახიობათა აჩუენებდიან, დანაკთა ზედა და მახჳლთა როკვიდიან, და ესევითართა მათ ძნელთა და სასიკუდი-ნოთა საცთურთა შემკადრებელნი იგი, იპოვნიან რაჲ განწყობილსა ში-ნა ბრძოლისასა, გინა თუ სხუასა რასმე საჴმარსა და კეთილსა საქმესა შინა, სადა-იგი ჯერ-არნ სიქველისა და უშიშობისა ჩუენებაჲ, იპოვნიან ყოველთავე უმეტესად მოშიშ და დაჴსნილ და უჴმარ; ეგრეთვე მდიდარ-ნი საფასეთათჳს ბევრეულთა ჭირთა და სიძნელეთა შეჰკადრებენ და სი-კუდილსაცა შეურაცხ-ჰყოფენ, ხოლო საღმრთოთა და კეთილთა საქმეთა შინა სრულიად დაჴსნილ და მოშიშ და საწყალობელ არიან.

და ვითარცა ზემოთქუმულნი იგი მაუცარნი ცუდსა და უსარგებლოსა საქმესა შინა იჭირვიან, ეგრეთვე ესენი შრომათა და რუდუენებათა და ჭირ-თა აურაცხელთა მოითმენენ, ხოლო სარგებელი არარაჲ აქუს აღსასრულსა მათსა, არამედ ორი სიბნელე არს მათ ზედა: დაბრმობილნი განდრეკილე-

ბითა მით გონებისადათა და შეინრებულნი ნისლისა მისგან და არმურისა ზრუნვათადასა.

ამისთვისცა ვერცა თუ აღიხილვენ თუალთა ნათლისა მიმართ, რამეთუ არმურსა შინა და ბნელსა მყოფთა იხილიან ნათელი მოფენასა მზისასა, ხოლო რომლისა თუალნი დაბრმობილ იყვნინან, ვეროდეს ჴელ-ენიფის ხილვად ნათლისა. ეგრეთვე მდიდართა ანგაჰრთა შეემთხუევის, რამეთუ არა ხედვენ იგინი ნათელსა მზისა მის სიმართლისასა, რომელი ჴმამალლად ასწავლის და ბრწყინვალესა მას ნათელსა უჩუენებს.

არამედ მათ არცა ესმის, არცა ხედვენ, რამეთუ დაუყვნა სიმდიდრემან საცნობელნი მათნი. ამისთვის ორკერძო მიცემულ არიან საცთურსა: ერთად, რომელ ბნელსა შინა არიან და, მეორედ, რომელ ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა არა ხედვენ და სიტყუანი მოძღურისა მის სახიერისანი არა ესმიან.

სწავლად კ ვეცხლისმოყუარებისათჳს

ან უკუე განიფრთხვეთ, კაცნო, და ნათელსა მას ჴემმარიტსა მიხედენით. ხოლო ვითარ მიჰხედნეთ, უკუეთუ არა აღიხილნეთ თუალნი? ან უკუე ესრეთ იქმნების ახილვად, უკუეთუ პირველად გულისჴმა-ჰყოთ, თუ ვითარ დაჰბრმდით. უწყითა, თუ ვითარ დაჰბრმდით ბოროტთა გულისთქუმათაგან? რამეთუ ვითარცა გუგასა თუალისასა მოეფინის არმური სიბნელისადა, სისხლი რად თავისაგან ჩამოსწუთის, ეგრეთ თუალთა ზედა სულთა თქუენტასა მიეფინა გულისთქუმადა იგი საფასეთად და სრულიად დააბნელნა, არამედ ადვილ არს არმურისა მის განქარვებადა, უკუეთუ შეინყნაროთ ბრწყინვალეებადა იგი ქრისტეს მოძღურებისადა, უკუეთუ ყურად-ილოთ ბრძანებადა მისი, რომელსა იტყჳს: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა“. ესე მოძღურებადა ყურად-ილეთ და ამოინი იგი გულისთქუმანი საფასეთანი განიოტენით გულთაგან თქუენტა, გულისჴმა-ყავთ საცთური ანგაჰრებისა და სიმდიდრისადა.

რადსათჳს წადიერ ხარ მონებადა ბოროტისა მის მძლავრისა და შეკრვად თავისა თჳსისა ჴელბორკილითა რკინისა უფიცხლესითა და ყოფად მარადის ბნელსა შინა და თავს-დეებადა შრომისა და ჴირისა უსარგებლოდასა? რადთა მოიგნე საფასენი და დაუმარხნე იგინი სხუათა და მრავალგზის მტერთა და მოძულეთა შენტა? ვინმცა გონიერმან დადვა საუნჯე თჳსი შორის მჰარავთა? უკუეთუ გნადის დამარხვად საუნჯეთადა, მუნ დაჰმარხენ, სადა-იგი შესაძლებელ არს წარუჰარველად დამარხვად. ხოლო ვითარ-ეგე ან იქმ, არა სიმდიდრე გიყუარს, არამედ მონებადა და ზღვევად და ჴირი და სიგლახაკე. მითხარლა, უკუეთუმცა ვინ გიჩუენა ადგილი სრულიად უშიში,

არამცა მუნ დასხენა საუნჯენი შენნი? ხოლო ან არა კაცი გიჩუენებს, არამედ ღმერთი, არა ქუეყანასა ზედა, არამედ ცათა შინა, და არა ნადიერ ხარ მუნ დამარხვად საუნჯეთა შენთა.

და რავდენ უალრეს არს ცათა შინა დადებად საუნჯეთა, ვიდრე ქუეყანასა ზედა? რამეთუ ქუეყანასა ზედა რაოდენცა უცთომელ იყოს ადგილი, შიშისა და ზრუნვისაგან ვერ განსთავისუფლდები, ხოლო მუნ ესევეთარი არარად იპოების, და უფროსად, არცა თუ საუნჯეთა შინა ანუ მინათა დასდებ საფასესა მას, რომელი ზეცისა სავანეთა წარსცე, არამედ თესლად ნაყოფიერად დასთესავ. და იგივე საუნჯეცა არს და თესლიცა, რომელი-ესე ქუეყანასა ზედა არა იქმნების. რამეთუ თესლი ქუეყანასა ზედა არა იმარხვის განუხრწნელად, ხოლო მუნ ჰგიეს სამარადისოდ. კუალად საუნჯე ქუეყანასა ზედა ნაყოფსა არა გამოიღებს, ხოლო მუნ უკუდავებისა ნაყოფსა მოგცემს. უკუეთუ კულა სიგრძესა მას ჟამისასა წინამიყოფ და იტყვ, თუ: ოდეს მომეცეს ესე ყოველი? – მაქუს მრავალი ჩუენებად, ვითარ აქავე მოიგებ ქველისსაქმისა ნაცვალსა.

გარნა ან იგი დაუტევეო და ესე გრქუა შენ: არა მრავალი რად ჰქმნია სოფელსა ამას შინა, რომლისა წმევად არა ესვიდი? და უკუეთუ ვინ გაბრალოს, შვილთა და შვილისშვილთა მოიღებ მიზეზად.

ოდეს-იგი ჟამსა სიბერისასა აშენებდე ნაშენებთა დიდძალთა, რომელთა აღსრულებადცა სასოებად არა გაქუნ, და დაასხმიდე ხეთა, რომელთა ნაყოფსა შემდგომად მრავალთა წელთა მოელოდი და უწყოდი, ვითარმედ შეუძლებელ არს, რადთამცა გენიფა ნაყოფისა მათისაგან ჭამად, არა საცნაურ არსა, ვითარმედ არა თავისა თვისისათკს, არამედ შემდგომად შენსა მყოფთათკს შურები? ვითარ უკუე არა დიდად უგუნურებად სახელ-ვსდვა საქმესა ამას, რომელ წორციელთა ამათ ზედა არა სულმოკლე იქმნები, არცა დაჰწნდები ზრუნვად და შრომად, რომლისა წმარებად არა ესავ, ხოლო სულიერსა მას შინა ესრეთ დაყოვნებისათკს სულმოკლე და მედგარ ხარ (საქმე, რომელი იცი, ვითარმედ უეჭუელად მოგეცემის ნაცვალთა ფრიადი და კეთილი); და ამას ყოველსა ზედა არცა თუ ფრიადი სიგრძე ჟამისად არს შორის ჩუენსა და მომავლისა მის მოსაგებელისა, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათად, და არა უწყით, ნუუკუე ჩუენისა ამის მეზრ ნათესავისა ზე იქმნას აღსასრული საქმეთა ჩუენთად, და მოინიოს საშინელი იგი დღე წარდგინებად ჩუენდა შესაძრწუნებელსა მას და თუალუხუავსა სამსჯავროსა, რამეთუ უმრავლესნი მეზრ სასნაულნი აღსრულებულ არიან, და წმიდად სახარებად ყოველსა სოფელსა ქადაგებულ არს, და ბრძოლანიცა და ძრვანი და სიყმილნი და სრვანი ქმნილ არიან, და ვინ უწყის, ნუუკუე ფრიად ახლოს არს დღე იგი საშინელისა მის განბჭობისად.

ხოლო უკუეთუ სასნაულთა არა ვხედავთ, ნუ ამისთკს უზრუნველ ვიქმნებით, რამეთუ არცა ნოეს ზე ხედვიდეს სასნაულთა მომავალისა მის წყლითრღუნისასა, არამედ იმღერდეს რად, ჭამდეს, სუმიდეს, იქორწინებ-

დეს, მეყსა შინა მოინია საშინელი იგი ოჭრებაჲ; და სოდომელთა მათ ზე-
და, ვიდრე არა მოელოდეს, არცა რას ჰგონებდეს, მოეფინა ცეცხლი იგი
წუმწუბითურთ და ერთბამად ყოველნი დაწუნა ბოროტთა საქმეთა მათ-
თათჳს.

ან უკუე ესე ყოველი გულისჯმა-ვყოთ და მოვაქცინეთ თავნი ჩუენნი
განმზადებად მერმისა მის მიმართ საუკუნისა, რამეთუ დაღაცათუ ზოგა-
დი იგი ყოველთა აღსასრული და მეორედ მოსლვად მეუფისად წუთერთლა
ჰყოვნის, არამედ კაცად-კაცადისა აღსასრული ახლოს არს, კართა ზედა,
გინა თუ ვინ ბერი იყოს, გინა თუ ჭაბუკი, და ვერვის ჴელ-ენიფების შემ-
დგომად ამიერ განსლვისა სინანულისა მოგებად ანუ თხოად დროებისა,
დაღაცათუ აბრაჰამ ევედრებოდის მისთჳს, გინა თუ ნოე, ანუ იობ, ანუ თუ
დანიელ, არამედ რადცა ვის ამას ცხორებასა მოეგოს, იგი არს მის თანა, გი-
ნა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი.

ამისთჳს გევედრები, ძმანო, რადთა ვიდრელა ჟამი ესე გუაქუს, წარ-
ვსცეთ წინაშე ჩუენსა მუნ ნაყოფნი სინანულისანი, შევიკრიბოთ ზეთი ფრი-
ადი საზრდელად სანთელთა ჩუენტა, ყოველივე ცათა შინა დავიუნჯოთ,
რადთა ჟამსა მარჯუესა და ოდეს ფრიად საჯმარ იყოს ჩუენდა, მოგუეგე-
ბოს, და ესრეთ სამარადისოდ ვიშუებდეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებაჲ და სიმტკიცე
თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამ-
დე, ამენ.

თავი კა

სიტყუად ესე: „ვერვის ჳელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუად იგი შეიყუაროს, ანუ ერთისა მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს“ (6,24).

ჰხედავა, ვითარ მცირედ-მცირედ წარმავალთა ამათ და განხრწნად-თაგან განგუაშორებს და მრავლით კერძო მოძღურებასა მას უპოვრე-ბისასა შემოიღებს და მძღავრებასა მას ვეცხლისმოყუარებისასა განიო-ტებს? რამეთუ არა კმა-ეყვნეს ზემოთქუმულნი იგი მრავალნი და ძლი-ერნი სწავლანი, არამედ სხუანიცა შესძინა უმრავლესნი და უსაშინელესნი სიტყუანი.

რამეთუ რამცა უსაშინელეს იყო ან თქუმულთა ამათ სიტყუათასა, უკუეთუ მოინიოს ესე ჩუენ ზედა, რომელ მონებისაგან ქრისტესისა გან-ვვარდეთ საფასეთათკს? ანუ რამცა იყო უსაწადელეს, უკუეთუ მათი-თა უგულბელს-ყოფითა გუექმნას ჭეშმარიტისა ქრისტეს მონებისა და ერთგულებისა მიმთხუევად? რამეთუ რასა-იგი მარადის ვიტყვ, ანცა ვთქუა, ვითარმედ: ორკერძოთავე სახითა მიგვზიდავს ჩუენ მორჩილებად სიტყუათა მისთა, სარგებელისა მიერ და სავენებელისა.

და ვითარცა მკურნალი ჳელოანი გვჩუენებს ურჩებისა მიერცა მომა-ვალსა სენსა და მორჩილებისა მიერ მოცემადსა სიმრთელესა, ვითარცა ესე აქაცა ქმნა და გამოაჩინა უმჯობესი განთავისუფლებითა მით წინა-აღმდგომისადათა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: არა ამით ოდენ სავენებელ არს სიმდიდრე, რომელ ავაზაკთა აღსჭურავს თქუენ ზედა და გონება-თა თქუენთა დააბნელებს, არამედ რომელ მონებისაგან ღმრთისა უცხო-გყოფს და ტყუეობასა უსულოთა მათ საფასეთასა შთაგადგებს. იხილეთ უკუე ორკერძოვე სავენებელი იგი ანგაჰრებისა: განვრდომად მონებისაგან ღმრთისა, რომლისა მონებად კეთილ არს და ჯეროან, და მონებად მათი, რომელთად ჯერ-იყო, რადთამცა უფალ და მეუფე იყვნით.

და ვითარცა ზემო ორი სავენებელი გამოაჩინა საფასეთად და ანგაჰ-რებისა: ერთად, აქა დაუნჯებად, სადა მღილი და მჭამელი განჰრყუნის და მპარაენი წარიპარვენ, და მეორედ, მუნ არა დამარხვად, სადა-იგი წა-რუპარველად და განურყუნელად ჰგიეს საუნჯე, ეგრეთვე აქა ორკერძო გვჩუენებს ზღვევასა მას და წარწყმედასა, ესე იგი არს განშორებად მონე-ბისაგან ღმრთისა და დამორჩილებად მამონადსი. არამედ პირველად სახე მოილო ზოგადი, სოფლისა, და მერმე თქუა განცხადებულად, რამეთუ ეს-რეთ იტყვს: „ვერვის ჳელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად“.

ორნი უფალნი იგინი არიან, რომელნი ურთიერთას წინააღმდეგ იყ-ვნენ და წინააღმდგომსა უბრძანებდენ. ხოლო უკუეთუ ესე არა იყოს, არა არს მუნ განყოფილებად, ვითარცა-იგი წერილ არს, ვითარმედ: „სიმრავლი-

სა მის მორწმუნეთადას იყო გული და გონება ერთ¹; დაღაცათუ მრავალ გუამად განყოფილ იყვნეს, გარნა ერთობითა მით გონებათადათა ყოველნი ერთ იყვნეს. ხოლო აქა ვინაჲთგან ყოვლითურთ წინააღმდეგომსა მცნებათა ღმრთისათასა გუეტიყვს ანგაჰრებად, ამისთვის ვერ ჴელ-ენიფების მორჩილ-თა მისთა მონებად ღმრთისა, არამედ უფროდსლა წინააღმდეგომ იქმნებიან, ვითარცა იტყვს გარდამატებულებასა ამის ჯერისასა, ვითარმედ არა ხოლო თუ არა ჰმონოს, არამედ უფროდსად მოიძულოს და წინააღმდეგეს: „ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუად იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს“. საგონებელ არს, თუ ორივე ესე ერთ სიტყუა არს, ხოლო თავადმან არა ცუდად ესრეთ შემზადა ესე სიტყუად, არამედ რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ ადვილ არს უმჯობესისა მიმართ შეცვალებად, რამეთუ რაჲთა არა სთქუა, თუ: ერთგზის დამონებულ ვარ და მიმძღავრებულ საჭმართმოყუარებისაგან, ამისთვის გიჩუენებს, ვითარმედ შესაძლებელ არს შეცვალებად.

და ვითარცა კეთილისგან ბოროტისა მიმართ მიიქცევიან კაცნი, ეგრეთვე და ფრიად უაღრესად იქმნების ბოროტისაგან მოქცევაჲ კეთილისა მიმართ. ხოლო ვინაჲთგან ესრეთ განუჩინებელად თქუა, ვითარმედ: „ვერვის ჴელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად“, და ბუნებითითა მით წესითა საქმეთადათა დაამტკიცა სიტყუად თვისი, მერმელა განცხადებულად თქუა, რაჲ-იგი ეგულებოდა თქუამად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ვერ ჴელ-გენიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (6,24).

თ ა რ გ მ ა ნ ი : შევეძრწუნდეთ სმენისათვის ამათ სიტყუათადას, რაჲ-ესე ვაიძულეთ ქრისტესა თქუამად და ღმრთისა თანა ჴსენებად ოქროდსა. ხოლო უკუეთუ სმენად ოდენ ამის სიტყვსად შესაძრწუნებელ არს, რაჲ-მე ვთქუათ, ოდეს საქმით ვიქმოდით და უპატიოსნეს შიშისა ღმრთისა შეგუერაცხოს მონებად საფასეთაჲ?

ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: რაჲ არს სიტყუად ესე? არავინ სა-და ქმნილ არსა ორისავე ამის აღმასრულებელ, მონებისა ღმრთისა და სა-ფასეთადას? – ნუ იყოფინ! არასადა ხილულ არს ესე. – და ვითარ აბრაჰამ სათნო-ეყო ღმერთსა, ვითარ იოზ ბრწყინვიდა?

ისმინე, ჰ კაცო, რომელი ამას იტყვ: ნუ მდიდართა წინამიყოფ, არა-მედ იგინი მითხრენ, რომელნი მონა იყვნეს სიმდიდრისა, უკუეთუ ჰჰოო ვინ სათნო ღმრთისა. ხოლო აბრაჰამს და იოზს და მსგავსთა მათთა რად აჴსენებ, რომელნი ყოვლადვე შორს იყვნეს მონებისაგან საფასეთადას? იოზ მდიდარი იყო, არამედ არა ჰმონებდა მამონას. არა მონად იყო მონაგებ-თა და საფასეთაჲ, არამედ უფალი და მეუფე, და ვითარცა მნესა უცხო-

¹საქმე 4,32.

სა მონაგებისასა, ესრეთ აქუნდა იგი ყოველივე, არა ხოლო თუ სხუათასა არა მოიტაცებდა, არამედ თვსსაცა სხუათა განუყოფდა უშურველად, არცა მოგებასა ზედა საფასეთასა იხარებდა, ვითარცა იტყვს: „უკუეთუ სადა ვიხარე მოგებასა ზედა სიმდიდრისა ფრიადისასა?“¹ ამისთვისცა არცა წარსლვასა ზედა მათსა შენუხნა, არამედ ადვილად და სიხარულით და მადლობით შეინყნარა, ამისთვისცა დიდებული იგი სიტყუად აღმოთქუა: „უფალმან მომცა, უფალმან მომიღო. ვითარცა უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა. იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე!“²

გარნა აწინდელნი მდიდარნი არა ესრეთ არიან, არამედ ყოვლისავე მონებისა და ყოვლისა ტყუეობისა უძკრესად არიან და ვითარცა მძლავრსა ვისმე მძნვარესა და ბოროტსა ხარკსა და ძლუენსა მისცემენ დაუცხრომელად. რამეთუ ტრფიალებად იგი საფასეთად, ვითარცა ქალაქსა ძნელსა და საყდარსა ზედა განსუენებისასა, ესრეთ დამკვდრებულ არს გონებასა შინა მათსა და დლითი-დღე ყოვლისავე ურჩულოებისა საქმესა უბრძანებს, და იგინი ყოვლითა მორჩილებითა და ერთგულებითა აღასრულებენ. ამათ ესევითართა ეტყვს უფალი: „ვერ ჴელ-გეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“.

რასა ცუდთა გულისზრახვათა და ამათა სიტყუათა შემოიღებ, უბადრუკო კაცო? ერთგვის განაჩინა ღმერთმან და თქუა, ვითარმედ ორისავე ამის მონებისა ერთბამად ყოფად შეუძლებელ არს; და შენ ვითარ იკადრო თქუამად, თუ შესაძლებელ არს? ღმერთი გვბრძანებს განბნევასა საფასეთასა და მამონა – მოხუეჭასა ყოველთაგან; ღმერთი გვბრძანებს ქალწულებასა და მამონა – სიძვასა; ღმერთი გვბრძანებს მარხვასა და მამონა – მთრვალობასა; ღმერთი გვბრძანებს შეურაცხებასა ყოვლისა სოფლისასა და ამაოდ შერაცხვასა ყოველთავე საქმეთა მისთასა და მამონა – შემსჭუალვასა სოფლისასა და დამონებასა ცუდთა მათ და ამათა საქმეთასა. ვითარ უკუემცა შესაძლებელ იყო ამათ წინააღმდეგომთა საქმეთა ერთბამად ყოფად?

ეჰა ვითარ ბოროტ არს დამონებაჲ ნეფსით თვსით მამონაჲსი, რომელი-იგი მონაჲ არს ხენეში და განდგომილი, ვითარცა-იგი ვიეთთვსვე თქუმულ არს, ვითარმედ: „ღმრთად მოიგეს მუცელი მათი“.³ ვინ არს უგუნური იგი, რომელმან აღირჩიოს სახიერისა მის მეუფისა წილ მონებად მძნვარისა მის მძლავრისა, რომელი-იგი აქავე ბევრეულთა ბოროტთა შინა შთაგდებს მორჩილთა მისთა და მერმესა მას საუკუნესა განაგდებს დაუსრულებელთა მათ და მიუთხრობელთა კეთილთაგან?

ვინაფთგან უკუე ყოვლით კერძო გულისჴმა-გვყო უფალმან სიკეთე იგი და სარგებელი საფასეთა შეურაცხ-ყოფისაჲ და უპოვრებისაჲ, აწ კუალად ჴნებაჲს გამორჩინებად, ვითარმედ არა შეუძლებელსა რასმე ბრძანებს,

¹ იოზ 31,25.

² იოზ 1,21.

³ შდრ. ფილიპ. 3,19.

არამედ შესაძლებელ არს წარმართებად ამის საქმისაჲ; რამეთუ ესე საქმე არს ჭეშმარიტისა მოძღურებისაჲ, რადთა არა კეთილსა ხოლო ასწავლიდეს, არამედ შესაძლებელსაცა წარმართებად. ამისთვის იტყვის:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : „ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათვის, რად სჭამოთ და ჰსუათ“ (6,25).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რადთა ვერვინ თქუას, თუ: რად-მე ვყოთ, უკუეთუ საფასენი განვაბნინეთ, ვითარ უძლოთ ცხორებად? ამისთვის ჟამსა ჯეროანსა იწყებს ამის პირისათვის სიტყუად; რამეთუ უკუეთუმცა პირველითგან ეთქუა, ვითარმედ: „ნუ ჰზრუნავთ“, მიძიმეცა აღუჩნდა სიტყუად იგი, ამისთვის პირველად წარმოთქუნა ვნებანი იგი ვეცხლისმოყუარებისანი და მერმე ჴელ-ყო ამის სწავლისა თქუამად, რადთა უმეტესად შესაწყნარებელ იყოს სიტყუად ესე. და ანცა არა ესრეთ ლიტონად თქუა, არამედ პირველად მიზეზსა იტყვის: „ამისთვის გეტყვო: ნუ ჰზრუნავთ“. პირველად თქუა: „ვერ ჴელ-გენიფებისო ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“, და მერმე შესძინა: „ამისთვის გეტყვო: ნუ ჰზრუნავთ“. „ამისთვის“, – რომლისა „ამისთვის“? – ფრიადისა ამის ზღვევისათვის და დიდისა ამის სავნებელისათვის, რომელ სახიერისა მის და კაცთმოყუარისა ღმრთისა და დამბადებელისაგან განგაშორებს.

„ამისთვის გეტყვ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათვის, რად სჭამოთ“. არა თუ სულსა საზრდელი ეჭმარების, რამეთუ უჭორცო არს იგი, არამედ ჩუეულებისაებრ კაცობრივისა თქუა ესრეთ, რამეთუ დაღაცათუ არა საჭმარ არს სულისა საზრდელი, გარნა უკუეთუ ჴორცთა საზრდელი არა მიეცეს, ვერ თავს-იდებს სული გუჲმსა მას შინა ყოფად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : „ამისთვის გეტყვ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათვის, რად სჭამოთ ანუ ჰსუათ; ნუცა ჴორცთა თქუენთათვის, რად შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუჲმი – სამოსლისა?“ (6,25).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ნუ ჰზრუნავთო, თუ ვითარ ეგოს სული გუჲმსა შინა, უკუეთუ ჭამადნი და სასუმელნი არა მოვირენნეთ, არამედ გულისჴმაცავთ, ვითარმედ რომელმან უაღრესი იგი მოგცა, ვითარმცა უდარესი არა მოგანიჭა? რომელმან სული მოგანიჭა, საზრდელი არა მოგცესა გამოზრდად ჴორცთა, რადთა არსებად იგი სულისაჲ ეგოს მათ შორის? რომელმან დაჰბადნა ჴორცნი ეგე თქუენნი, არა უწყისა, ანუ არა ძალ-უცა საზრდელისა მოცემად და სამოსლისა? ამისთვისცა არა ესრეთ ოდენ თქუა: ნუ ჰზრუნავთ, რად სჭამოთ ანუ რად შეიმოსოთ, არამედ: ნუ ჰზრუნავთო სულისათვის, თუ ვითარ ეგოს ჴორცთა შინა, ანუ თუ ვითარ შეჴმოსოთ სიშიშუელე ჴორცთაჲ, რამეთუ მათ მიერ ეგულებოდა სიტყვისა ამის დამტკიცებად.

რამეთუ მან თავადმან მოგუცა სული და ჯორცნი, არამედ სული, ვითარცა-იგი მოგუცა ერთგზის, მასვე ზედა ჰგიეს, ხოლო ჯორცნი დღითიდღე იზრდებიან, და აგებულება მათი ჰგიეს, და სული მათ შინა მკვდრ არს. უკუეთუ კულა აგებულება მათი დაიწსნას, მაშინ სულიცა სამკვდრებელისა მისგან განვალს. ამისთვის ორივე ესე გამოაჩინა: ერთისა მის უკუდავება და მეორისა განწრნადი აგებულება, და თქუა: „ვინ-მე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვსსა წყრთა ერთ?“¹ დაიდუმა სულისათვს თქუმად, რამეთუ არა მიიღებს იგი სიორძილესა, და ჯორცთათვს ჰყოფს სიტყუასა, რადთა ამისგან იგიცა გულისწმა-გვყოს, ვითარმედ არცა ჯორცთა აგებულება საზრდელისაგან ჰგიეს, არცა სული ამისთვის მკვდრ არს მათ შინა, არამედ განგებულებითა ღმრთისათა იქმნების ესე, ვითარცა პავლე იტყვს, ვითარმედ: „არცა დამსხმელი რად არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი“.² ხოლო ესრეთ გულისწმა-გვყო რად ჩუენისა ამის ბუნებისაგანვე, ვითარმედ არარას ველ-გუენიფების ქმნად თავით თვსით და ამისთვის არა გვღირს ზრუნვად, არამედ ყოველივე ღმრთისა მიგდებად ზრუნვად ჩუენი, კუალად გარეშეთაცა საქმეთაგან შემოიღებს სახესა ამის ჯერისათვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მიხედეთო მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამად თქუენი ზეცათად ზრდის მათ. არა-მე უფროდს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთასა?“ (6,26).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ყოვლით კერძო გულისწმა-გვყოფს, რადთა არა ვზრუნვიდეთ, – უღარესისაგან და უღარესისა: უღარესისა სულისაგან და უღარესისაგან ჯორცთადასა, და უმეტესადღა უღარესისაგან – მფრინველთა ცისათა, ვითარმედ უკუეთუ ესრეთ უნდოთა ამათ და შეურაცხთა ესრეთ კეთილად იურვის, არა უფროდსად თქუენთვის იზრუნოსა?

ესე ერისა მის მიმართ თქუა, რომელთა ფრიადი აქუნდა უმეტრებად, ხოლო ოდეს-იგი ეშმაკისა მიმართ ჰყოფდა სიტყუასა, არა მფრინველნი მოიხუნა სახედ, არამედ თქუა: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.³ ხოლო აქა კაცთა მომართ იტყვს და ამისთვის სახედ შემოიღებს მფრინველთა, რადთა შევიკდიმით ამის იგავისაგან. გარნა ვიეთნიმე ურჩულონი ესოდენ განცოფნეს, ვიდრელა ბრალობადცა იკადრეს ამის მცნებისა და თქუეს, ვითარმედ: არა ჯერ-იყო, ვინადგან ნეფსითთა ამათ სწავლათა დაუდებდა ბუნებითა საქმეთა შემოღებად; და არა გულისწმა-ყვეს უგუნურთა მათ, ვითარმედ დაღაცათუ მფრინველთა ესე ბუნებით აქუს, არამედ ძალ-გვც ჩუენცა ნეფსით ქმნად. რამეთუ არა თქუა, თუ: მიხედენით მფრინველთა, ვითარ ფრინ-

¹ მათ. 6,27.

² 1 კორ. 3,7.

³ მათ. 4,4.

ვენ, რომელ-ესე შეუძლებელ არს კაცისაგან ქმნად, არამედ: მიხედენითო, ვითარ თვნიერ ზრუნვისა იზარდებიან, რომელ-ესე ჩუენცა, უკუეთუ გუენე-ბოს, ძალ-გვც ქმნად, ვითარცა მრავალთა ქმნეს და აღასრულეს.

არამედ წყარომან მან და უფსკრულმან სიბრძნისამან არა მოილო სა-ხე კაცთაგან, რამეთუ აქუნდა თქუმად, უკუეთუმცა ენება, ელიაჲსთვს და მოსესთვს და იოვანესთვს და სხუათათვს, რომელთა მოიგეს უზრუნველი ცხორებაჲ, არამედ ან მფრინველნი ავსენნა უმეტესად საკდემელად, რამე-თუ უკუეთუმცა მართალნი იგი ევსენნეს, თქუესმცა, ვითარმედ: არა ვართ საზომსა მათსა; ხოლო ან მფრინველთათვს თქუა, რადთა არავის აქუნდეს მიზეზი, ვითარცა-იგი ძუელსაცა შინა სახედ შემოიღებენ ფუტკარსა და ჯინჭველსა და გურიტსა და მერცხალსა, რამეთუ ამითცა ჯერთა პატივ-ცემულ ვართ, რომელ ძალ-გვც ნეფსით ქმნად, რად-იგი მათ აქუს ბუნები-თისაგან წესისა. და ვინ არს, რომელმან ესე არა გულისვამ-ყოს, ვითარ-მედ უკუეთუ ჩუენთვს დაბადებულთა მათ ესრეთ იურვის, არა უფროჲსად ჩუენ გკლუანნესა? უკუეთუ მონათა მათ ილუნის, რომელნი-ესე მეუფედ და უფლად მათ ზედა დაუდგენიეთ, არა გკლუანნესა? ამისთვს თქუა: „მი-ხედენით მფრინველთა ცისათა“. არა თქუა: რომელნი არა ვაჭრობენ, არცა მოიფრდიან, არამედ: „არა სთესვენ, არცა მოიმიკიან“. ვაჭრობანი და სხუა-ნი ანგაჰრებანი არცა თუ ავსენნა, ვითარცა სრულიად ნამეტნავნი, არამედ განწესებულთა ამათ საქმეთათვს თქუა: „არა სთესვენო, არცა მოიმიკიან“. თქუას ვინმე, ვითარმედ: და არა ჯერ-არსა თესვაჲ და მკაჲ? გარნა გუ-ლისვამ-ყავთ: არა თქუა, თუ თესვაჲ არა ჯერ-არს, არამედ ზრუნვაჲ არა ჯერ-არს; არცა თქუა, თუ შრომაჲ არა ჯერ-არს, არამედ განლევაჲ თავისა თვისისაჲ ზრუნვათა და საურავთაგან არა ჯერ-არსო; და არცა ესე თქუა, თუ საზრდელისა მიღებაჲ არა ჯერ-არს, არამედ ყოველსა შინა უზრუნვე-ლობაჲ ხოლო გვბრძანა.

ესე სიტყუაჲ პირველვე დავით მოასწავა და თქუა: „თუალნი ყოველ-თანი შენ გესვენ, და შენ მოსცე საზრდელი მათი ყამსა. აღამალლო ჴე-ლი შენი და ჰზრდიდე ყოველთავე სიტკბოებითა ნებისა შენისაჲთა“.¹ და კუალად იტყვს: „რომელმან მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნისათა, რომელნი ხადიან სახელსა მისსა“;² რადთა ესე ყოველი გუეს-მას და დავსცხრეთ ცუდთა მათ და მრავალთა ზრუნვათაგან, რომელთაგან არაჲ არს სარგებელი.

ხოლო მეტყვან სულმოკლენი და ზრუნვისმოყუარენი, ვითარმედ: ვინ სადა იპოა, რომელიმცა არა ზრუნვიდა? არა გესმაა, რომელნი ზემო ვაწსე-ნენ: მოსე და ელია და იოვანე და სხუანი მრავალნი? არა ჰხედავა კუალად იაკობს, ვითარ მამულისა მის სახლისაგან შიშუელი განვიდა და იტყოდა: „უკუეთუ მომცეს უფალმან პური ჭამად და სამოსელი შემოსად“,³ რომე-

¹ ფსალმ. 144,15-16.

² ფსალმ. 146,9.

³ დაბ. 28,20.

ლი-ესე არა ზრუნვისა სიტყუად არს, არამედ ღმრთისაგან თხოვსა და მისისა სასოებისა. ეგრეთვე მოციქულთა წარჰმართეს ესე სრულიად, რაჟამს ყოველივე დაუტევეს და არცა ერთი რად ზრუნვად იზრუნეს; ეგრეთვე სამათასთა მათ და ხუთათასთა და სხუათა მრავალთა, რომელნი სწავლასა მოციქულთასა შეუდგეს და ყოვლისავე მონაგებისა მათისაგან შიშუელნი განვიდეს და მიმოვიდოდეს სოფელსა შინა, ქადაგებდეს სახარებასა წმიდათა მოციქულთა თანა და ყოველივე ზრუნვად საზრდელისა ანუ სამოსლისად არა აქუნდა, არამედ სასოებითა ღმრთისადათა ცხონდებოდეს; ხოლო შემდგომად მათსა მიხედნით კუალად კრებულსა მამათასა, მეუდაბნოეთა და განშორებულთასა, რომელნი უკუეთუ თითოეულად ვაჰსენნე, რავდენტა სრულიად უარ-ყვეს ყოველივე ზრუნვად ჯორცთად და უფალსა მისცეს სასოებად მათი, აღვრაცხნე იგინი, და უფროვს ქვშისა განმრავლდენ.

ხოლო ჩუენ უკუეთუ ამათ ესოდენტა სახეთა კეთილისათა ვერ ვჰბადავთ ფრიადისა მის სიზრქისათვს გონებათა ჩუენტასა, მივხედნეთ უსარგებლობასა მას ზრუნვისასა და ამისთვის ვიჯმნათ მისგან, რამეთუ ამისთვის იტყვს უფალი:

სახარებად: „ვინ თქუნგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვსსა წერთა ერთ?“ (6,27).

თარგმანი: იხილეთ, ვითარ ხილულისა მისგან უხილავი იგი საცნაურ-ყო? რამეთუ ვითარცა ჰასაკსა შენსა რაოდენცა ჰზრუნვიდე, ვერცათუ მცირედსა რასმე ჯელ-გენიფების შეძინებადო, ეგრეთვე ზრუნვითა შენითა ვერცა საზრდელისა მორენად ძალ-გიც, დაღათუ ეგრეთ ჰგონებ, თუ ზრუნვითა შენითა მოირენ; რამეთუ ესე სახე გულისჯმა-გკყოფს, უკუეთუ გუენებოს, ვითარმედ ყოველსა ღმრთისა განგებულებად იქმს, და იგი გუზრდის ჩუენ და ყოველსავე აღასრულებს, დაღაცათუ ჩუენ ვერ ვსცნობთ.

ხოლო უკუეთუ მისმან განგებულებადამან დაგვტევენეს, არცა ზრუნვად სარგებელ გუეყოს, არცა შრომად, არცა საფასენი, არცა სხუა რად, არამედ ყოველივე ცუდ და ამაო იქმნას.

სწავლად კა მონყალებისათვს

ან უკუე ნუმცა ვინ ჰგონებს, თუ შეუძლებელნი არიან მცნებანი ქრისტესნი აღსრულებად, რამეთუ მრავალნი არიან ამათცა ჟამთა, რომელნი აღასრულებენ მათ; ხოლო უკუეთუ ჩუენ უმეცარ ვართ, ნუ გკკვრს, ნუცა ამისთვის ურწმუნო ვიქმნებით, რამეთუ ელიაცა ეგრე ჰგონებდა, თუ იგი ხოლო დაშთომილ არს ღმრთისმსახურთაგან, არამედ ესმა, ვითარმედ:

„დამიტეობია თავისა ჩემისა შუდ ათასი მამაკაცი“.¹ და ანცა უკუე საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი აღასრულებენ მოქალაქობასა მას სამოციქულო-სა, განშიშულელნი ყოვლისაგანვე ზრუნვისა და საურავისა.

ხოლო უკუეთუ ურწმუნო ვართ ამას ზედა, არა თუ ამისთვის არს ურწმუნობა იგი, რომელ აღმასრულებელნი ესევეითარისა მის მოქალაქობისანი არა არიან, არამედ რომელ ჩუენ ფრიად შორს ვართ და უცხო მისგან, ამისთვის ურწმუნო ვიქმნებით, ვითარცა-იგი მომთრვალესა არა ჰრწამნ, თუ არს კაცი, რომელი არა თუ ღვნოსა ოდენ განეყენების, არამედ არცა თუ წყალსა სუამს, გარნა ესე მრავალთა მონაზონთა ჩუენ მიერცა ხილულთა წარჰმართეს, რომელ არცა თუ წყლისა გემოსა იხილვიდეს, არა თუმცა ღვნოსა სუმიდეს. ეგრეთვე მეძავსა არა ჰრწამს, თუ ადვილ არს ქალწულე-ბად, და რომელი სხუათასა მოიტაცებდეს, არა ჰრწამს, თუ არს ვინ, რომელი ყოველსა მონაგებსა თვსსა სხუათა განუყოფს.

ეგრეთვე რომელინი განილევნიან დლითი-დღე ბევრეულთა ზრუნვათა შინა, არა ადვილად შეინყნარებენ სიტყუათა ამათ, ხოლო ადვილ არს ამისი გამოჩინებად, ვითარმედ ჭეშმარიტ არს და არა შეუძლებელ მცნებად ესე, არა მათ მიერ ოდენ, რომელთა ძუელსა შინა და ახალსა განცხადებულად წარჰმართეს მცნებად ესე, არამედ მათ მიერცა, რომელინი ჩუენისა ამის ნათესავისა ზე აღასრულებენ ამას სათნოებასა; გარნა ვინაფთგან თქუენ ვერ ჴელ-ჰყოფთ კეთილსა ამას საზომსა, დაუტეო ამის პირისათჳს სიტყუად და იგი ვთქუა: განემორენით ანგაჰრებისაგან, ისწავეთ მონყალეზად და უცხოთშენყნარებად. უკუეთუ ესე წარჰმართოთ, საყუარელნო, ადრე ღირს იქმნათ მასცა საზომსა მიწვენად. იჯმენით მეტთა მათ და ნამეტნავთა მონაგებთაგან და მოხუეჭისაგან და ტაცებისა, სიმართლისა ნაყოფთაგან იყავნ ნაქონები თქუენი. რამეთუ ნეტარი იოვანეცა, ოდეს-იგი ასწავლიდა მეზუერთა და მჴედრობად განწესებულთა, ესრეთ ეტყოდა: „ნუვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა სწამებთ და კმა-გეყავნ როჭიკი თქუენი“;² არა თუ არა ენება უღარესთა საქმეთა და მაღალთა სათნოებათა სწავლად, არამედ იცოდა, ვითარმედ ფრიადისა მის უძლურებისაგან გონებათა მათთადასა უზეშთაესთა მათ სმენად ვერ ძალ-უც. ამისთვის მცირეთა მათ საქმეთა ეტყვს და დიდთა თანანარჰვდების.

ამისთვის მეცა მდაბალთა ამათ და მცირეთა საქმეთა გამცნებ, რამეთუ უწყი, ვითარმედ წესი იგი სრულისა მის უპოვრებისადა უზეშთაეს საზომისა თქუენისა არს, და ჰე თუმცა უღარესთა ამათ მცნებათა ჴელ-ჰყავთ აღსრულებად, რამეთუ ესეცა ფრიადი ნუგეშინის-ცემად არს.

დაღაცათუ უპოვრებად წარმართთა შორისცა მრავალთა წარჰმართეს და სრულიად ყოვლისავე მონაგებისაგან განშიშულდეს, დაღაცათუ არა საღმრთოთა გულისსიტყუათა, და გამოაჩინეს, ვითარმედ ყოვლად-

¹ შდრ. 3 მეფ. 19,18.

² ლუკ. 3,14.

ვე არა შეუძლებელ არს საქმე ესე, ვინაფთგან მათცა წარჰმართეს; გარნა თქუენთჳს კმა არს ჩემდა, უკუეთუ მოწყალება კეთილად წარჰმართოთ, რამეთუ უკუეთუ ამას შინა წარემატებოდით, ადრე მიინინეთ უაღრესისა და უზეშთაესისა საზომისა მიმართცა.

ხოლო უკუეთუ ამასცა არა აღვასრულებდეთ, რაჲ-მე სიტყუად გუაქუნდეს, რომელთადა ბრძანებულ არს, რაჲთა უმეტეს ძუელსა შინა შჯულსა წარმართებულთასა ვიქმნეთ, და ჩუენ უდარეს ვიპოვნეთ წარმართთასაცა?

რაჲ-მე ვთქუათ, რომელთა ბრძანებულ არს, რაჲთა ანგელოზ ვიქმნეთ და შვილ ღმრთისა, ოდეს კაცებისაცა წესსა არა დავადგრეთ? რამეთუ ტაცებაჲ და მოხუეჭაჲ არა კაცობრივისა პირმეტყუელობისაჲ არს, არამედ მწეცებრივისა მძვნვარებისაჲ, და უფროჲსად მათისაცა უძკრეს არიან, რომელნი სხუათასა მოიტაცებენ, რამეთუ მათდა ბუნებითი არს ესე საქმე, ხოლო ჩუენ, რომელნი პირმეტყუელებითა პატივცემულ ვართ, უკუეთუ ბუნებისა გარეშესა მას სიფიცხესა და მძვნვარებასა შთავცკვეთ, ვითარ-მე ვპოოთ წყალობაჲ?

ამისთჳს, ძმანო, გულისჴმა-ვყოთ საზომი იგი წინამდებარისა ამის და განწესებულისა ჩუენდა მოქალაქობისაჲ და ვისწრაფოთ ჰე თუ საშუავალსა მას მიწევნად წესსა, რაჲთა დღითი-დღე წარმართებითა სისრულესაცა მივიწინეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი კბ

სიტყუაჲ ესე: „განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი ალორძნდის: არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყვ თქუენ: არცალა თუ სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“ (6,28-29).

თარგმანი: პირველად თქუა საზრდელისათჳს და გამოაჩინა, ვითარმედ არა ჯერ-არს ამისთჳს ზრუნვაჲ, და ან უადვილესისა მიმართ შეცვალა სიტყუაჲ თჳსი, რამეთუ არა ესრეთ საჭირო არს სამოსელისა საჭმარი, ვითარ საზრდელისაჲ.

ხოლო რადესათჳს არა იწმარა აქაცა იგივე სახე მფრინველთაჲ, რამეთუ არიან მფრინველთაცა შორის და ოთხფერჯთა მრავალნი, რომელთა აქუს ბუნებითი შუენიერებაჲ, ვითარ ფარშამაგი და მღრინავი და ქათამნი იგი ჰინდურნი და სხუანი მრავალნი, და კუალად ცხოარსა ბუნებითი იგი სამოსელი მატყლისაჲ აქუს, რომლისაგან კაცნიცა მიიღებენ საჭმრად, და სხუათაცა პირუტყუთაგან გამოვლენ საქუსალნი სამოსელთა სამეუფოთანი, არამედ ამათ ესევეითართაგანი არარაჲ მოილო სახედ. ესე ამისთჳს, რადთა ორკერძოვე აღმატებულ იყოს სიტყუა იგი: უნდოებისა მისგან შროშანთაჲსა და შუენიერებისა მისგან მათდა მიცემულისა, რამეთუ მფრინველნი და ოთხფერჯნი დაღაცათუ უნდოვე არიან, არამედ შროშანთასა უაღრეს არიან, რამეთუ ცხოელნი არიან მშვნვიერნი; ამისთჳს შროშანნი ავსენნა, უსულონი იგი და უძრავნი, რადთა უმეტესად გულისწმის-ყოფად მოვიდეთ:

„განიცადენითო შროშანნი ველისანი“. შროშნად სახელ-სდვა ყოველთავე ყუავილთა გამოსაჩინებელად სიკეთისა მათისა, ხოლო აღასრულა რად სიტყუაჲ თჳსი, რომლისათჳს ყო ვსენებაჲ მათი, მერმე არლარა შროშნად უწოდა, არამედ „თივად ველისა“. და არა კმა-ყო ესე სახელი, არამედ კუალად სხუაჲცა უნდოებაჲ მათი თქუა: „რომელი დღეს არსო“, და არა თქუა, ვითარმედ: ხვალე არა არს, არამედ ფრიად უმეტესისა უნდოებისა სიტყუაჲ შემოილო, ვითარმედ: „ხვალე თორნესა შთაეგზნასო“; და არა თქუა, თუ შემოსის, არამედ: „ესრეთ შემოსისო“.

ჰხედავა ყოვლით კერძო აღმატებულობასა და სიმტკიცესა სიტყუათა მისთასა? რამეთუ იტყვს, ვითარმედ: გულისწმა-ყავთ, ჰ კაცნო, უკუეთუ თივანი იგი ველისანი, რომელნი დღეს არიან და ხვალე თორნესა შთაეგზნებიან, ესრეთ შეამკვნა ღმერთმან, რამეთუ განგებულეებითა და ძალითა მისითა ილუნის უნდოთა მათცა და მცირეთა, არა უფროესად თქუენ გილუანნესა, რომელნი ხატად თჳსა დაგბადნა, რომელთა სული პირმეტყუელი მოგცა, რომელთათჳს ყოველნივე ხილულნი დაჰბადნა, რომელთათჳს წინანარმეტყუელნი მოავლინა და შჯული განანესა და ბევრეულნი კეთილნი

აჩუენნა, რომელთა მხოლოდშობილი ძე მოგცა და მის მიერ აურაცხელნი იგი ნიჭნი მოგმადლნა?

ვინადთგან ესე ყოველი მოასწავა, ამისთვის დაურთო და თქუა:

„არა-მე უფროდსად თქუენა, მცირედმორწმუნენო?“ (6,30). რომელი ამათ ესევეთართა ჭეშმარიტთა და განცხადებულთა სახეთა ზედა ჯერეთ იჭუეულ არს, იგი ჭეშმარიტად მცირედმორწმუნე არს და სავსე უგულისწმოებითა.

ხოლო ფრიად კეთილად და სამართლად მოიხუნა შროშანი სახედ სამოსელთა, რადთა არა უზრუნველობად ხოლო გუასწაოს, არამედ ესეცა გულისწმა-გკყოს, რადთა არა მეძიებელ და მოყუარე ვიყვნეთ ფეროანთა და მრავალსასყიდლისა სამოსელთა, არცა დიდ რადმე და პატიოსან შეგუერაცხოს სიკეთე მათი, რამეთუ შუენიერება მათი მწუანვილისა მიმსგავსებულ არს და სიკეთე მათი – მდელოსა თივისასა. და უფროდსლა უპატიოსნეს არს თივად ესევეთართა მათ სამოსელთასა, ვითარცა წამებს ესერა უტყუელი იგი პირი, ვითარმედ: „გეტყვ თქუენ, არცა თუ სოლომონ ყოველსა მას დიდებასა თქსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“. და ნანდკლვე შეუძლებელ არს კაცთა მიერ ქმნად მსგავსი შუენიერებისა მის ყუავილთადასა, გინა თუ სინმიდე სთქუა, გინა თუ სითხე, გინა თუ სიმტკიცე, გინა თუ ფეროვნება. ხოლო ოდეს ფრიად დაშურენ მიბაძვებად ფერსა გინა სიმტკიცესა, რად-მე ყონ სურნელებისათვს? რამეთუ ყოვლადვე ვერ ძალ-უც ამას სახესა ზედა მიმსგავსებად ყუავილთა, რადთამცა ქსოილსა მას ჳელითა კაცთადათა აქუნდა სურნელება ვარდისადა, ანუ იისადა, ანუ შროშნისადა, გინა თუ ზაფრანისადა, გინა თუ სხუათა მათ ყუავილთადა. ნუ იტყვ სურნელებისა მას, რომელსა საკუმეველთა კუმევეთა და სურნელთა ცხებითა იქმან შეუბისმოყუარენი, არამედ რადთამცა თავით თქსით ქსოილსა მას ჳელითა კაცთადათა აქუნდა ზემონერილთა მათ ყუავილთა სინმიდე და სიმტკიცე და სითხე და სურნელება და ფეროვნება თავით თქსით.

რადსათვს უკუე ჳზუაობ, კაცო, საქმესა ზედა, რომელსა თივანი ესოდენ უალრეს არიან? და იხილე, ვითარ გამოაჩინებს, ვითარმედ არას შეუძლებელსა იტყვს; ამისთვისცა თქუა ჯეროვნად: „განიცადენითო შროშანი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის: არა შურებინ, არცა სთავნ“. რამეთუ შროშათაგან ცუდთა ენება განთავისუფლება ჩუენი, ამისთვის ესრეთ ბრძანა, რამეთუ არა თუ უზრუნველობად არს შროშა, არამედ ზრუნვადა. და ვითარცა-იგი ოდეს თქუა: „მიხედენითო მფრინველთა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან“, არა თესვად და მკად დააყენა, არამედ ზრუნვადა, ეგრეთვე აქა, თქუა რად, ვითარმედ: „არა შურებინ, არცა სთავნ“, არა თუ საქმისა ქმნად დააყენა, არამედ ურვად და ურწმუნობად და დიდად შერაცხვად სამოსელთა ფეროვნებისადა.

რამეთუ უკუეთუ სოლომონ ვერ უძლო მიმსგავსებად შუენიერებისა მის შროშანთადასა, არამედ ძლეულ იქმნა მათგან არა ერთგზის გინა ორგზის, არამედ ყოველსა მას მეფობასა მისსა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ:

„არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი“; ხოლო უკუეთუ იგი იძლია მათგან, რომელი ყოველთა მეფეთა უმეტეს მომპოვნებელ იქმნა ესევეითართა საქმეთა, შენ ოდეს უძლო, კაცო, ბაძვად მათისა მის სიკეთისა ანუ მიახლებადცა? რამეთუ ამათ სიტყუათა მიერ გუასნავებს უფალი, რადთა არა სურვიელ და მოყუარე ვიყვნეთ შუენიერებისა სამოსელთაჲსა, არცა ვზრუნვიდეთ ფრიად და ვიტყოდით, ვინაჲ შევიმოსოთ. რამეთუ გულისწმა-ყავ, კაცო, უკუეთუ უნდოთა მათ ზედა, რომელნი ხვალე თორნესა შთაეგზნებიან, ესოდენ გამოაჩინა თჳსი განგებულებაჲ ღმერთმან, ვითარმცა უგულებელს-გყო შენ, რომელი-ეგე უმეტეს ყოველთა ცხოელთა პატივცემულ ხარ?

რადსათჳს მისცა შროშანთა ველისათა ესოდენი შუენიერებაჲ? რადთა აჩუენოს სიბრძნე თჳსი და გარდამატებულებაჲ ძალისა მისისაჲ, რადთა ყოველით კერძო დიდებაჲ მისი გულისწმა-გყოთ, რამეთუ არა ხოლო თუ „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა“,¹ არამედ ქუეყანაჲცა, ვითარცა დავით იტყვს, ვითარმედ: „აქებდით უფალსა ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი“.² რამეთუ ზოგნი იგი ნაყოფთა მიერ და ზოგნი სიდიდისაგან და ზოგნი შუენიერებისაგან, სხუანი სურნელებისაგან, სხუანი სიტკბოებისაგან, სხუანი სხვთა სახითა და სხუანი სხვთა აჩუენებენ სიბრძნესა ღმრთისასა და უსიტყუელითა ვითა ქადაგებენ დიდებასა მისსა და შესწირვენ მისსა ქებასა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „არა არიან თქუმულ, არცა სიტყუა, რადთამცა არა ესმა ვმაჲ მათი“.³ და მოციქული ღაღადებს, ვითარმედ: „უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმულთა მათ შინა საცნაურად სახილველ არს – სამარადისოდ იგი ძალი მისი და დიდებაჲ“.⁴

რამეთუ ესეცა მეზრ დიდად გულისწმა-გყოფს მიუთხრობელსა მას სიმდიდრესა სიბრძნისა მისისასა, ოდეს მივხედნეთ, თუ უნდოთა მათ და არარათა ყუავილთა, რომელნი დღეს არიან და ხვალე ცეცხლად მიეცემიან ანუ დაჭვნებიან და წარვლენ, ვითარ ესოდენი მიჰფინა სიკეთე და შუენიერებაჲ.

გულისწმა-ყავ უკუე, კაცო, უკუეთუ თივათა ველისათა ესოდენი შუენიერებაჲ მისცა გარეშე საწმრისაცა (რამეთუ რად ეწმარების თივათა ესოდენი სიკეთე ყუავილოვნობისაჲ), ვითარ შენ არა მოგცეს, რომელი იცოდის, თუ საწმარ არს შენდა? უკუეთუ ყოველთა უდარესი იგი ესრეთ შეამკო, შენ, რომელი ყოველთა უპატიოსნეს ხარ, არა გილუანოსა, რომელი იცოდის, თუ საწმარ არს შენდა და ჯეროან?

ამისთჳსცა ვინაჲთგან ესრეთ კეთილად გამოაჩინა განგებულებაჲ იგი ღმრთისაჲ, ყოველთა ზედა მინვენული, ზემო სახისა მისგან მფრინველთაჲსა, რომელთა ზრდის წამის-ყოფითა მისითა, და აქა კუალად სახითა ამით შროშანთაჲთა, ამისთჳს სამართლად აბრალებს სულმოკლეთა და ძნიადმორწმუნეთა და იტყვს:

¹ ფსალმ. 18,1.

² ფსალმ. 148,9.

³ ფსალმ. 18,4.

⁴ შდრ. რომ. 1,20.

სახარება: „უკუეთუ თივად იგი ველისად, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნას, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-მე უფროჲს თქუნა, მცირედმორწმუნენო?“ (6,30).

თარგმანი: ყოველსავე მოქმედი იგი თავადი არს, მხოლოდშობილი ძე და სიტყუად ღმრთისად, რამეთუ „ყოველივე მის მიერ იქმნა, და თვნიერ მისსა არცა ერთი რად იქმნა“. ¹ გარნა ამათ ადგილთა არასადა ავსენა თავი თვისი, არამედ მცირედ ოდენ ჴელმწიფებად თვისი გამოაჩინა, რაჟამს იტყოდა: გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ ესრეთ, და მე გეტყვ ესრეთ, ² ხოლო სხუად ყოველივე სიტყუად თვისი მამისათვის ყო და ყოვლით კერძო საკვრველ-ჰყოფს სიბრძნესა მისსა და განგებულებასა და მოლუანებასა მისსა ყოველთა ზედა, დიდთა და მცირეთა; რამეთუ ცანი რად ავსენნა, საყდრად ღმრთისა სახელ-სდვა, და ოდეს იერუსალჴმისათვის იტყოდა, ქალაქად მეუფისა დიდისა უწოდა, და ოდეს განგებულებასა მას სოფლისასა წარმოიტყოდა, მასვე მიაჩემა ყოველი: „მზე მისი აღმოვალსო ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვს მართალთა ზედა და ცოდვილთა“; ³ და სწავლასა მას შინა ლოცვისასა თქუა, ვითარმედ: „მისი არს სუფევა და ძალი და დიდება“. ⁴ და კუალად ამას ადგილსა განგებულებასა მისსა იტყვს და თუ ვითარ მცირეთაცა ზედა აჩუენებს ჴელოვნებისა მისისა მიუთხრობელობასა. ვითარცა თქუა, ვითარმედ: „თივად იგი ველისად ღმერთმან ესრეთ შემოსის“, და არა თქუა, თუ: მამამან ჩემმან, არამედ: „მამამან თქუნმან ზეცათამანო“.

არამედ ნუ გიკვრს ესე, რაჟამს ფარვიდეს დიდებასა თვისსა და მდაბალთა სიტყუათა იტყოდის თავისა თვისსათვის, რამეთუ ჟამისად ესე ოდენ იყო საძიებელ მისა, რადთა სიტყუად თვისი სარწმუნო და შესანყნარებელ ყოს შორის ურწმუნოსა მას და გულფიცხელსა ერსა და რადთა დაარწმუნოს, ვითარმედ არა წინააღმდეგომ ღმრთისა არს, არამედ ერთობად აქუს მამისა თანა და არარად განყოფილებად, რადთა ესრეთ ჟამსა თვისსა თქუას მამად თვისად, და შეინყნარონ სიტყუად მისი; ხოლო უკუეთუმცა პირველითგან ენყო ეგვიეთართა სიტყუათა თავისა თვისსად თქუამად, ყოვლადვემცა არა შეინყნარეს თქუმული იგი. არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

უკუეთუ მცირეთა ამათ საქმეთა ზედა და საჭიროდ საჭმართა არა ჯერ-არს ზრუნვად, რად-მე სიტყუად აქუნდეს მათ, რომელნი გარეშე საჭმრისა მრავალსასყიდლისა საქმეთათვის ზრუნვენ? და უფროჲსლა, რად-მე სიტყუად აქუნდეს, რომელნი მოსწრაფე არიან და მოხარკე, რადთა სხუათაგან მოიტაცონ, რადთა მოიხუეჭონ გლახაკთად და დავრდომილთად, რადთა მოიანგაჰრონ ობლისა და ქურივისა? ჴემმარიტად უსიტყუელ არიან და უმიზეზო; რამეთუ არარად აქუს სხუად მიზეზი, გარნა გონებათა თვისთა

¹ იოან. 1,3.

² მტ. მათ. 5,21-44.

³ მათ. 5,45.

⁴ მათ. 6,13.

სიბოროტე და უკეთურება. ხოლო ვისმინნეთ შემდგომნიცა სიტყუანი სახარებისანი:

სახარება: „**ნუ ჰზრუნავთ და იტყვთ: რად ვჭამოთ, ანუ რად ვსუათ, ანუ რად შევიმოსოთ? რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ**“ (6,31-32).

თარგმანი: იხილეთ, ვითარ კულადცა გამოაჩინა, ვითარმედ არარას შეუძლებელსა იტყვს? და ვითარცა ზემო თქუა: „უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი თქუენნი, რად სასყიდელი გაქუს? ანუ არა მეზუერეთაცა და წარმართთა იგივე ყვიან?“¹ – რადთა უმეტესად შეიკდიმონ მორწმუნეთა, ესმას რად, ვითარმედ წარმართთაცა უმეტესად ვერ არიან, – ეგრეთვე აქა შემოიღო კულად წსენებად წარმართთად საკდემელად სულმოკლეთა და მცირედმორწმუნეთა.

რამეთუ უკუეთუ უმეტესისა ქველისსაქმისა თანაგუაც ჩუენებად მნიგნობართა და ფარისეველთასა, რად სიტყუად მიუგოთ, ოდეს არა თუ უმეტეს მათსა ვერ ვიქმნეთ, არამედ ვერაგობასაცა შინა წარმართთასა დავადგრეთ და მათსა მას სულმოკლებასა და უსასოებასა ვჰბაძვიდეთ? ხოლო არა ამას შინა დაუტევა სიტყუად თქსი, არამედ ესევითარი რად მხილებისა და კდემისა სიტყუად თქუა, კულად სხუად წარმოთქუა ნუგეშინისცემად დიდი:

სახარება: „**რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიწმს ამათ ყოველთაგანი**“ (6,32).

თარგმანი: არა თქუა, თუ: იცის ღმერთმან, არამედ: „იცის მამამან“, რადთა უმეტესად სასოებად მოგკყვანენს; რამეთუ უკუეთუ მამად არს, და მამად ესრეთ სახიერი და ტკბილი, ვითარ უგულებელს-ყვნეს შვილნი თქსნი, იხილენს რად ჭირსა შინა და იწროებასა? ვინადთგან კაცნიცა არა თავს-იდებენ უგულებელს-ყოფად შვილთა თქსთა, სახიერმან მან მამამან და დამბადებელმან უგულებელს-ყვნესა? ნუ იყოფინ!

„იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიწმს ამათ ყოველთაგანი“. ხოლო სიტყუად ესე ესრეთ არს: არა თუ ცუდ და ნამეტნავ არს საწმარი იგი ბუნებისადო, რადთამცა უგულებელს-ყვნა, რამეთუ უმეტესსაცა საწმრისასა მრავალსა მოგცემს არა კაცთა ხოლო, არამედ იძრვისთაცა და მცენარეთა, ვითარცა ვთქუ შროშანთათქს ველისათა; ვითარ უკუე არამცა მოგცა, რომელი იცის, ვითარმედ ჭეშმარიტად გიწმს? ან უკუე რომელსა-იგი ჰგონებთ, თუ მიზეზი არს ჭეშმარიტი ზრუნვისად, მისგან მეზრ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ ჯერ-არს უზრუნველობად.

¹ მათ. 5,46-47.

რამეთუ უკუეთუ იტყვოთ, თუ: საჭიროდსა მის საჯმრისათჳს ზრუნვად სა-
მართალ არს, მე გეტყვ, ვითარმედ: ამისთჳს უმეტეს არა გიღირს ზრუნვად,
რომელ საჭირო არს; დაღაცათუმცა ნამეტნავი იყო, არცა ეგრე ჯერ-არს
უსასოებად, არამედ თანაგაც მინდობად სახიერსა მას მამასა, ვინადთგან ჰხე-
დავთ, ვითარმედ მრავალსა უმეტესსა და გარდარეულსა მოგანიჭებს; ხოლო
საჭიროდსა მის და სათანადოდსა საჯმრისა, რომელი ჭემმარიტად უჯმს ბუ-
ნებასა თქუენსა, რადმცა იჯჳ იყო, თუმცა არა გიღუნან ტკბილმან მან და
სახიერმან, რამეთუ ვინ არს მამად იგი, რომელმანმცა თავს-იდვა არცა საჭი-
როდსა მის და თანანარუვალისა საჯმრისათჳს მოღუნებად შვილთა თჳსთად?

და ამისთჳს გიღირს სასოებად მტკიცე, ვითარმედ უეჭუელად მოგცეს
ყოველივე, რომელი გიჯმს, რამეთუ დამბადებელი არს ბუნებისად და ჭემ-
მარიტებით იცის, რად-იგი უჯმს ბუნებასა; რამეთუ ვერ იტყვს ვინ ამას,
თუ: მამად არს სახიერი და უწყის, თუ საჯმარ არს ესე ყოველი, გარნა ამას
უმეტარ არს, თუ ჩუენ გუეჯმარების; რამეთუ არცა ერთსა რას უმეტარ
არს იგი, რომელმან ყოველნივე ბუნებანი იცნის; რომელმან არარადსაგან
დაგბადნა, არა უწყისა, ვითარი დაჰბადა ბუნებად თქუენი, და თუ რად ეჯ-
მარების ბუნებასა? ჰე, უწყის უმჯობეს თქუენსა, რამეთუ ესრეთ განანესა
განგებულებამან მისმან, რადთა ესევეითართა საჯმართა შინა იყოს აგებუ-
ლებად ბუნებისა თქუენისად.

ან უკუე ვითარ ეგების, რადთამცა წინააღმდგომი ქმნა მან განწესებუ-
ლისა მის თჳსისად, რომელ განანესა საჯმრისა მის მეძიებელ-ყოფად ბუ-
ნებისა და მერმემცა დააყენა მოცემად საჯმრისა მის განწესებულისად მის
მიერ ბუნებასა ზედა?

„იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიჯმს ამათ ყოველთაგანი“.
გულისჯმა-ვეყნეთ, მორწმუნენო, სიტყუანი ესე მაცხოვრისა მიერ თქუ-
მულნი და დაესცხრეთ მრავალთა და უსარგებლოთა ზრუნვათაგან, რამე-
თუ არარად შეგუეძინების მათგან, გარნა ურვანი და საღმობანი, რამეთუ
დამბადებელი ჩუენი, გინა თუ ვზრუნვიდეთ, გინა თუ არა, გკლუნის წყა-
ლობითა მისითა. რად არს უკუე სარგებელი ჩუენი ზრუნვათაგან, გარნა
ცუდი შრომად.

ვინ არს, რომელიმცა წოდებულ იყო მეპურისტედ ტაბლასა სამეუფოსა
და იგიმცა საზრდელსა მის დღისასა ზრუნვიდა? ვინ არს, რომელი წყარო-
სამცა ზედა დგა შუენიერსა და გრილსა და წყლისათჳსმცა იურვოდა? ან
უკუე ჩუენცა, რომელთა უფროდს ყოვლისა სამეუფოდსა სერისა და უმეტეს
ყოვლისა შუენიერისა წყაროდსა გუაქუს უხუად მომნიჭებელი იგი ღმრთისა
განგებულებად, ნუმცა ამაოდ ვზრუნავთ და მოქენე ვართ გლახაკთა მათ
და უსარგებლოთა გულისსიტყუათა კაცობრივისა ვერაგობისათა. არამედ
არიან ვიეთნიმე ურწმუნონი და ორგულნი, რომელნი ამათა სიტყუათა
შემოიღებენ და იტყვან, ვითარმედ: იგი ვინმე გლახაკობასა შინა აღეს-
რულა, და იგი ვინმე პურისმთხოელი იყო, და სხუად ვინმე სიყმილითა და

შიშულობითა მოსწყდა, ამისთვის ვზრუნავთო და მიმოვეკუეთებით, რაათა არა ჩუენცა ესრეთ შეგუემთხვოს.

ჭემარიტად ურნმუნობისა და უგუნურებისანი არიან სიტყუანი ესე. რასა იტყვ, ჰ კაცო, და ესე გაქუსა გულისსიტყუად, რაათამცა ღმერთსა წინააღუდეგ? უკუეთუ მან ეგრეთ განანესოს, რაათა სიყმილითა მოსწყდე, რაათა სიგლახაკითა აღესრულო, ჰგონება, თუმცა ზრუნვითა და მიმოკუეთებითა შენითა მისსამცა განგებასა წინააღუდეგ? არა მრავალნი გიხილვანა, უგუნურო, სოფელსა ამას შინა, რომელნი სიმდიდრითა გარდარეულითა ცხონდებიედ და ერთსა შინა წამსა ცარიელნი დაშთიან მის ყოვლისაგან მოულოდებელთა განსაცდელთა მიერ? და სხუანი გლახაკნი და პურისმთხოელნი მეყსა შინა განმდიდრდიან, გინა თუ მეფობადცა დაიპყრიან? ვინაჲ იქმნა ესე? მათისა მის უდებებისაგან ანუ ამათისა მრავალმზრუნველობისაგან იქმნა? ნუ იყოფინ! არამედ მიუთხრობელთა და კაცთა მიერ მოუგონებელთა ღმრთისა განგებულებათაგან. იგი ვინმე სიყმილითა მოსწყდაო; – ამისთვის მოსწყდა, რამეთუ ეგრეთ განაგო მისთვის ღმერთმან, გინა თუ სათნოებისა მისისა გამოჩინებად, ვითარცა ლაზარესთვის გუესმის გლახაკისა, და იობისთვის, და მრავალთა ესევეითართა, გინა თუ სალხინებელად ცოდვათა, გინა თუ აღკრსასხმელად უკეთურებისა, გინა თუ სარგებელად სხუათა, ანუ თუ სხვთა რაათმე განგებულებითა, კაცთაგან მიუნთომელითა და მოუგონებელითა.

რამეთუ წამის-ყოფითა მით ძლიერებისა მისისაათა უპყრიან დაბადებულნი და თითოეულისა ცხორებასა განაგებს, ვითარცა უწყის კაცად-კაცადისა უმჯობესი. უკუეთუ არა, ვინმცა არა იცოდა ესე, ანუ რომელმანმცა უგულისცმომან ვერ გულისცმა-ყო, ვითარმედ ადვილ არს წინაშე მისსა მოლუანებად კაცთად, და ვითარმედ არა დაფარულ არს მისგან არცა ჭირი და იწროებად ვისიმე, არცა შუებად და ფართოებად; და რომელი-იგი მფრინველთა ცისათა და თევზთა ზღვსათა, მვეცთა ველისათა და ყოველთავე იძრვისთა ზრდის უხუად მიმნიჭებელითა მით განგებითა მისითა და ყოველთავე მცენარეთა შეამკობს ყუავილოვნებითა და თითოსახითა სიკეთითა, მანმცა დაივიწყა კაცი, ხატად მისა დაბადებული, რომლისათვის ესე ყოველი იქმნა სოფელსა შინა? იგი მხოლოდ აღმოაბრწყინვებს მზესა და მოავლინებს წვმათა და მიჰფენს ჰაერთა და მისცემს ნაყოფსა უკეთურთა და წარმართთა, რომელთა არა იციან სახელი მისი; მაშა მორწმუნეთა და მაღიდებელთა მისთაგანმცა დაივიწყა ვინა? ნუ იყოფინ! ამისთვისცა ფრიად კეთილად გკბრძანებს, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუ ჰზრუნავთ, რად ვჭამოთ, ანუ რად ვსუათ, ანუ რად შევიმოსოთ? რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გიჭმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (6,31-33).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამისთვის მოვიდა უფალი ქუეყნად, რადთა განგუაშორნეს ქუეყანისაგან და მიმინოდნეს ზეცისა სასუფეველად. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „ამას წარმართნი ეძიებენ“, რომელთა არარად აქუს სასოებად მერმისა მის საუკუნოხსად და სასუფეველისა ცათაჲსა, არამედ ყოველივე მოსწრაფებად მათი ამის სანუთროხსათუს არს, ხოლო თქუენდა არა აქა არს ალთქუმად, იტყვს უფალი, არამედ ცათა შინა. რამეთუ არა ამისთვის დაბადებულ ხართ, რადთა სჭამდეთ და ჰსუმიდეთ და იმოსებოდით, არამედ რადთა სათნო-ეყვნეთ ღმერთსა და საუკუნეთა მათ კეთილთა მიემთხვნეთ. ამისთვის ჯორციელნი ესე საქმენი გარენარად თანაგაც ქონებად.

„ეძიებდით უკუე სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“. არა თქუა, თუ: მოგეცეს, არამედ „შეგეძინოს“, რადთა სცნა, ვითარმედ არარად აქუს ნაწილი მოცემადთა მათ კეთილთა თანა, არამედ იგინი არიან, რომელთა ჯერ-არს ძიებად და თხოად ღმრთისაგან, და მინდობად, ვითარმედ მათ თანა ესეცა შეგუეძინოს ღმრთისა მიერ, უკუეთუ ჯერ-იყოს; უკუეთუ კულა სავნებელ სულთა ჩუენთა იყოს ამათი შეძინებად და ამისთვის დაიხრწიოს, ესეცა სახე არს უმეტესისა წყალობისა ჩუენისაჲ, და ვითარმედ გკლუნის მონათა მისთა.

ეძიებდ უკუე, საყუარელო, საუკუნეთა მათ კეთილთა და მოგეცენ სანუთრონიცა! ნუ ეძიებ ხილულსა ამას და იგი შეგეძინოს შენ. რამეთუ უღირს არს და უჯერო წარმავალთა ამათ და ცუდთა საქმეთა თხოად ღმრთისაგან, რამეთუ ბრძანებულ არს შენდა, რადთა ყოველივე მოსწრაფებად და ზრუნვად წარუვალთა მათ და მიუთხრობელთა კეთილთათუს გაქუნდეს; ხოლო შენ უკუეთუ მათ წილ ცუდთა ამათ და წარმავალთათუს მოიგო სურვილი და გულისთქუმად, ფრიად სირცხველულ-ჰყო თავი შენი და უგუხურთა თანა შეირაცხო.

ხოლო უკუეთუ იტყვ, თუ: ვითარ ბრძანა ლოცვასა შინა თქუმად, ვითარმედ: „პური ჩუენი მომეც ჩუენ“, გულისწმა-ყავ, ვითარ დაურთო, ვითარმედ: „არსობისაჲო მომეც ჩუენ დღეს“, – რადთა სცნა, თუ სადამდე განუწესებდეს ზრუნვად, და ეგრეთცა არა ნამეტნავისაჲ, არამედ საჭიროჲსა საჭმრისაჲ; რამეთუ „პური არსობისაჲ“ თქუა, ესე იგი არს, არსებისა მის ჯორცთაჲსა გამომზრდელი, და იგიცა მის ხოლო დღისაჲ ბრძანა თხოად; ეგრეთვე აქაცა ქმნა. ამისთვის პირველთქუმულთა ზედა დაურთო და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისსა. კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“ (6,34).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინადთგან თქუა: „ნუ ჰზრუნავთ და იტყვთ: რად ვჭამოთ, ანუ რად ვსუათ, ანუ რად შევიმოსოთ?“ ამისთვის ან განანესა, თუ რაოდენ გკლირს ზრუნვად – მის ხოლო დღისაჲ, რომელსა შინა ვიყვნეთ, რადთა ამით ჯერითა აზნაურებად ჩუენი შეურყეველად გუაქუნდეს და ვიცოდით,

ვითარმედ საჭიროთა ხოლო საჯმართად ბრძანებულ არს ზრუნვად, და იგი-ცა გარენარად, ვითარცა-იგი ზემო პურისა ხოლო მდღევრისა გვბრძანა თხოად. არა თუ ღმერთსა უჯმს ამისთვის მოჯსენება ჩუენმიერი, არამედ რადთა ვცნათ, ვითარმედ ყოველსავე ზედა მისი შენვენა გუეჯმარების და არარად თვნიერ მისსა გუნებავს ქონებად.

ეგრეთვე აქა მის ხოლო დღისათვს გვბრძანა ზრუნვად სულმოკლებისა მისთვის კაცობრივისა; ხოლო მრავალნი იპოვნეს, რომელთა არცა თუ მის დღისად თავს-იდვეს ზრუნვად, არამედ ყოველივე ზრუნვად მათი მიაგდეს უფლისა, უხუად მომნიჭებელისა მის და სახიერისა, და არა ნაკლულევან იქმნეს ყოვლისაგან კეთილისა.

ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: არა ამისთვის გეტყვ არა ძიებად ჯორციელთა ამათ, რადთა მშიერ და შიშუელ იყვნეთ, არამედ რადთა უმეტესი მოგეცეს, და მოგეცეს წესიერად და ჯეროვნად, რადთა არა მრავალმზრუნველობითა თქუენითა უღირს-ჰყვნეთ თავნი თვსნი სულიერთა მათ და საუკუნეთა კეთილთა, და არცა სანუთროდ ესე მოგეცეს ზრუნვითა თქუენითა.

„ნუ ჰზრუნავთ უკუე ხვალისა, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვსისად. კმა არს დღისა მის სიბოროტე თვსი“. ესე იგი არს შრომად იგი და ჭირი და ზრუნვად, რამეთუ ამას უნოდა სიბოროტედ, ვითარმცა იტყოდა: კმა არს თქუენდა ჭირი იგი ბრძანებული, ვითარმედ: „ოფლითა პირისა შენისადთა სჭამო პური შენი“; რადსათვსლა დაირთავ თავსა ზედა შენსა უმეტესსა შრომასა ზრუნვათა მიერ? რამეთუ „სიბოროტედ დღისა“ ამას ადგილსა არა ცოდვასა და უკეთურებასა უნოდა, – ნუ იყოფინ! – არამედ შრომასა და ჭირსა და უბადრუკებასა, რომელი შეემთხუევის კაცთა ზრუნვისაგან; ვითარცა სხუასა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ არს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი არა უფალმან ქმნა?“² არა თუ ცოდვათათვს იტყვს, ტაცებათა და ანგაჰრებათა, არცა სხუასა რას ესევეითარსა, არამედ ზეგარდმო მოვლინებულთა მათ წყლულებათა; და კუალად იტყვს: „მე ვქმნი მშკდობად და მოვავლინი ბოროტი“,³ რამეთუ აქაცა არა თუ უკეთურებასა მოასწავებს, – ნუ იყოფინ! – არამედ სიყმილთა და სიკუდილთა და სხუასა ესევეითარსა, რომელი მრავალთა მიერ ბოროტად შერაცხილ არს. რამეთუ ბოროტისა სახელი ორკერძო არს: ერთი იგი არს ჭეშმარიტად ბოროტი, რომელ არს ცოდვად და ურჩულოებად, რომლისა მიზეზი არავინ არს სხუად, გარნა ეშმაკი და ბოროტნი იგი ნებანი ჩუენნი; ხოლო მეორე იგი სახელი ბოროტისად ითქუმის კაცთა მიერ ჭირთათვს და განსაცდელთა, რომელ არიან: სიყმილი, სრვად, სიკუდილი, სნეულებანი, უნჯმროებანი და სხუად მსგავსი ამათი, რომელ-ესე არა ბუნებით ბოროტ არიან, არამედ სახელითა; ხოლო მოივლინებიან კაცთა ზედა სანურთელად უკეთურებისა მათისა, ანუ თუ სხვთა რადთმე განგებულეებითა; ვითარცა-იგი ხუთისა მის

¹ დაბ. 3,19.

² ამოს 3,6.

³ ესაია 45,7.

სამთავროდსა ქურუმნი და მისანნი ზეგარდამო მოვლინებულსა მას გუემასა ბოროტად უწესდეს საღმობისა მისთვის და ტკივილისა, მონვენულისა მათ ზედა.¹ ეგრეთვესახედ ამასცა ადგილსა მოასწავებს და იტყვს: „კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“, რამეთუ ზრუნვასა მას და მისგან ყოფადსა ჭირსა აჩუენებს, და ჭემმარიტად ვერარაჲ ესრეთ შეაურვებს გულსა, ვითარ ზრუნვად ფრიადი.

ხოლო სიტყუად იგი, თუ: „ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისაჲ“, არა თუ ამას მოასწავებს, ვითარმედ დღე ზრუნავს, არამედ ვინაფთგან ერისა მიმართ უგულისწამოსა იყო სიტყუად მისი, განცხადებულებისათვის სიტყვასა თვისისა დღესა მიაჩემებს და ჩუეულებისაებრ მრავალთაჲსა ჰყოფს სიტყუასა მას. რამეთუ აქა ესრეთ თქუა განზრახვისა სახედ, ხოლო ქუემორე მცნებად მისცემს ამას და ეტყვს: „ნუ მოიგებთო ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა“;² რამეთუ ვინაფთგან საქმით აჩუენა, მერმე სიტყვითა უძლიერესად რჩული დაუდვა, რაფთა კეთილად შეინყნარონ სიტყუად იგი. და ვითარ აჩუენა საქმით? ისმინე, რასა იტყვს, ვითარმედ: „ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“.³ და არა თავადმან ხოლო ქმნა ესე, არამედ მონაფეთაცა ეგრეთვე განუწესა და არა შეუწდო სოფელსა ამას შინა რაფსავე მოგებად; ეგრეთვესახედ აქაცა ბრძანებს.

და იხილე სახიერებაჲ მისი, რომელ ვითარცა მამად მონყალე, გკლუნის ჩუენ წორციელად და სულიერად. წორციელად მოგუცემს დღითი-დღე ბევრეულთა კეთილთა: მზესა აღმოგკბრწყინვებს, წკმასა მოგკვლენს, მთათაგან და ველთა ნაყოფთა სიმრავლესა მოგუანიჭებს, ჩუენთვის განმზადნა მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღვსანი და ყოველნი ჰირუტყუნნი, რომელნიმე საჭმლად და რომელნიმე სამსახურებელად, ჩუენთვის აღმოაცენა ქუეყანით ყოველი ხე, ნაყოფიერი და უნაყოფოჲ, თივანი და მწუანვილნი და თითოფერნი ყუავილნი; და რომელიმცა ჟამი კმა-მეყო ანუ რომლითამცა ენითა უძღე მიუთხრობელთა მათ კეთილთა მისთა თქუმად?

ხოლო სულიერნი კუალად ქველისმოქმედებანი და კეთილნი მისნი რაბამ არიან, ჰავლესი ისმინე, რასა იტყვს: „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუწდა, რაჲ-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“.⁴ და ან უკუე ჩუენისავე წყალობისა და ქველისმოქმედებისათვის იტყვს სიტყუათა ამათ: ნუ ჰზრუნავთ ხვალისაო და ნუ ცუდად აჭირვებთ თავთა თქუენთა, რამეთუ ვინაფთგან მე გიურვი თქუენ, არა გიწმდა ყოვლადვე ზრუნვად, გარნა სულმოკლებისა თქუენისათვის კმა არს ზრუნვად მის დღისაჲ, რომელსა შინა იყვნეთ, ხვალისასა ნულარა ჰზრუნავთ.

უკუეთუ დღეს იზრუნოთ ხვალისა, ხვალე კუალად ზრუნვაჲვე გიწმს, რაჲ არს უკუე ნამეტნავი ესე, რაფსათვის აიძულებთ დღესა უმეტეს ქონე-

¹ 1 მეფ. 6,2-9.

² მათ. 10,9-10.

³ მათ. 8,20.

⁴ 1 კორ. 2,9.

ბად ჭირისა მის მისდა განთსებულისა და შრომათა მისთა ზედა შესძინებთ ხვალისასაცა ზრუნვასა ტვრთად? და ეგრეთცა ხვალესა მას არავე აღუსუბუქებთ. მოგეცა დღე, რაფთა მისსა ზრუნვიდეთ, რაფსათს მემორისაცა დღისა ზრუნვასა მის ზედა დაჰკრებთ? არა თუ მის ზედა დადებული თქუენ მიერ ზრუნვად და ჭირი არა კმა არს მისდა? რაფსათს უმეტესად დაუმძიმებთ?

სწავლად კბ

რაფთა სურვიელ ვიყვნეთ კეთილთა საქმეთა მიმართ და მოუნყინებლად ვევედრებოდით ღმერთსა პოვნად წყალობისა მისისა

ვინაფთგან უკუე მეუფე ჩუენი და დამბადებელი ამას გვბრძანებს და იგი თავადი წამებს, ვითარმედ უძღურ და საჭირო არს ესე ცხორებად, ვიდრელა ერთისაცა დღისა ზრუნვად კმა არს შემაურვებლად და საჭირველად ჩუენდა, რადლა სავმარ არს ამის პირისათს უმეტესთა სიტყუათა თქუემად, რამეთუ კმა არს ერთი სიტყუად უფლისად ბევრეულთა წილ სიტყუათა სხუათასა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჩუენი, უფალი და მეუფე, რომელმან არაარსისაგან არსად მომიყვანნა, და მას ეგულების კუალად განკითხვად ჩუენი და მიგებად კაცად-კაცადისა საქმეთა მისთაებრ.

გარნა ეჰა უბადრუკებად ესე ჩუენი და უგულისწმოებად! ესე ვითარნი ესე სიტყუანი მეუფისანი გუესმიან და არად შეგვრაცხიეს, არამედ ცუდთა ამათესს და წარმავალთა წადიერებით და სურვილითა დიდითა და მოსწრაფებითა ფრიადითა ვზრუნავთ, ხოლო საუკუნეთა მათესს და ზეცისათა არა ვიურვით ყოვლადვე, არამედ გარემიგჰქცევიეს წესი და სამართალი და ორკერძოვე თქუემულთა მათ და განწესებულთა წინააღუდგებით.

იტყვს უფალი, ვითარმედ: ნუ ეძიებთ საწუთროსა ამას; და ჩუენ ყოვლითა გულითა და ყოვლითა ძალითა მას ვეძიებთ და მისა შეკუართულ ვართ.

იტყვს კუალად, ეძიებდითო სასუფეველსა ცათასა და საუკუნეთა მათ კეთილთა, და ჩუენ არცა თუ მცირედცა ვეძიებთ, არამედ რაოდენი გუაქუს საწუთროფსა ამისთს ზრუნვად და ხარკებად, ეგოდენ სულიერთა საქმეთა შინა გუაქუს სულმოკლებად და სიგრილე და ფრიად უმეტესიცა, არამედ არა ყოფად არს ესე ყოვლადვე, არცა სამარადისოდ ეგოს ესრეთ საქმე ესემლევანი, რამეთუ აჰა ესერა ათ წელ დავადგრეთ ამას ულმობელობასა შინა, გინა ოც წელ, ანუ თუ ას წელ, მერმე რად ყოფად არს? არა მისლვად ვართა ჴელთა მისთა, რომლისა სიტყუათა ან შეურაცხ-ვჰყოფთ? რად უკუე ნუგეშინის-ცემად აქუს ამას დროებასა? არარად! ნუ იყოფინ! არამედ აქავე მოლოდებითა მათ სატანჯველთაფთა დასჯილ და ტანჯულ ვართ და, მუნ რად მივიდეთ, ვად იყოს ჩუენდა.

არამედ უკუეთუ გუნებავს დროებისა ამისგან ნუგეშინის-ცემისა პოგნად, მოვიგოთ ნაყოფი იგი სინანულისაჲ, და მერმე დროებაჲ ესე უმჯობეს ჩუენდა იქმნას, და არა შთავცკვეთ ყოვლადვე მწარეთა მათ სატანჯველთა, რამეთუ არარაჲ მძიმე, არცა შეუძლებელი ბრძანებულ არს ჩუენდა, არამედ ესრეთ ადვილ და სუბუქ არიან მცნებანი მისნი, რომელ ნებაჲ ოდენ საჯმარ არს და გონებაჲ კეთილი, და ყოველივე ადვილად წარგუემართოს და უხუად მოვილოთ წყალობაჲ მისგან, დაღაცათუ ბევრეულთა ცოდვათა თანამდებ ვიყვნეთ. რამეთუ მანასესცა ცოდვანი და ბილნებანი მრავალნი ექმნეს: წმიდათა ზედა ჴელი მიყო და კერპნი ტაძრად შეიყვანნა და კაცისკლვითა ქალაქი აღავსო და სხუად მრავალი ქმნა ძნელი და შესანდობელად მძიმე, გარნა ესოდენსა მას ურჩულოებასა ზედა ყოველივე იგი განიბანა; ვითარ ანუ რომლითა სახითა? – სინანულითა და ბოროტთაგან მოქცევითა და ლმობიერად ვედრებითა.

რამეთუ არა არს ყოვლადვე, არა არს იგი ცოდვაჲ, რომელი არა იძლევის და უჩინო იქმნების ძალითა მით სინანულისაჲთა და უფროჲსად მადლითა და კაცთმოყუარებითა ქრისტესითა, რამეთუ უკუეთუ მოვიქცეთ სინანულად, გუაქუს იგი თანაშემწედ; უკუეთუ ვინებოთ ქმნაჲ კეთილისაჲ, არავინ არს დამაყენებელ, და უფროჲსა არს დამაყენებელ, დამაბრკოლებელ – ეშმაკი, გარნა ვერარაჲ ძალ-უც, უკუეთუ ჩუენ წადიერ ვიყვნეთ კეთილისა მიმართ და მოვიგოთ ღმერთი შემწედ ჩუენდა. უკუეთუ კულა ჩუენ არა ვხადოთ მას შეწევნად, არამედ განვეშორნეთ და გარევიქცეთ მისგან, ვითარ შემწე-მეყოს იგი? რამეთუ არავისი ჰნებაჲს იძულებით ცხოვნებაჲ, არამედ ნეფსით ეძიებს ცხოვრებასა ჩუენსა, და ესე ღირს არს და სამართალ.

რამეთუ მითხარლა, კაცო, უკუეთუ გყვეს მონაჲ, რომლისა თანა გექმნას ბევრეული კეთილი, და ჰპოო იგი მტერად შენდა და მოძულედ, და ყოვლადვე გევლტოდის, არამცა გარემიიქეცა მისგან და განსდევნე პირისაგან შენისა? და ეგრეთცა გიჯმს რაჲმე მსახურებაჲ მისი? ან უკუე რად აბრალე ღმერთსა, თუ იძულებით რად არა გაქმნევს კეთილსა, რომელსა-იგი ყოვლადვე არარაჲ ეჯმარების შენგან, არამედ ყოველსავე შენისა ცხოვრებისათჳს იქმს.

არარაჲსაგან დაგაბადა, პირმეტყუელობითა პატივ-გცა, უმჯობესი გასწავა, კეთილი და ბოროტი გიჩუენა, გონებაჲ მოგცა მცნობელი უხილავთაცა საქმეთაჲ, სწავლაჲ სასუფეველისაჲ წინაგიყო, ჯოჯოხეთი გაუწყა, ბევრეულთა განსაცდელთაგან გიჯსნა, უკუეთუ გენებოს, შემწე არს შენდა და ჴელისამპყრობელ კეთილისა მიმართ. უკუეთუ ამას ყოველსა ზედა ევლტოდი მას და ბოროტი შეიყუარო, არა იქმს ამას, რაჲთამცა იძულებით ჴელსა გიპყრა და სასუფეველსა შეგიყვანა, არცა ჯერ-არს ესე ანუ სამართალ. უკუეთუ კულა პოოს შენ თანა ნებაჲ კეთილი, რომელსა „პროერესინ“ უწოდეს მამათა (ესე იგი არს ნებაჲ მეძიებელი და გამომრჩეველი კეთილისა გინა ბოროტისაჲ), ან უკუეთუ შენ თანა მეძიებელი იგი კეთილისაჲ ნებაჲ

პოს, არასადა დაგიტეოს, არცა დაგაგდოს, დაღაცათუ ბევრეულნი მახენი დაგირწყენეს ეშმაკმან და ათასეულად გებრძოლოს, არა მიგცეს შენ ჴელთა მისთა, არცა შეუნდოს უფლებად შენდა.

საცნაურ არს უკუე და ცხად, ვითარმედ ჩუენ ვართ მიზეზ ნარწყმედისა ჩუენისა, რამეთუ არა გუქონან ნებანი კეთილნი, არცა ვევედრებით ღმერთსა შენვენად ჩუენდა, არა შეუვრდებით, ვითარ ჯერ-არს, არცა ვხადით მჭურვალებით და სიმდაბლით; არამედ დაღაცათუ მოუწყდეთ ლოცვად, არა ლმობიერებით, არცა გულითა შემუსრვილითა, არამედ დაჴსნილობით და უდებებით, ფქნარებით და მიმოტაცებით და გარენარად, ამისთვის სირცხვლეულნი და ცარიელნი ვიქცევით. რამეთუ არა ესრეთ ჰნებავს ღმერთსა, არამედ რაფთა გულითა მჭურვალითა ნარვდგეთ წინაშე მისსა. ესე სათნო-უჩნს, რაფთა დაუცხრომელად ვანყინებდეთ. მაშინ მადლიერ არნ, რამეთუ იგი მხოლოდ, რაოდენცა ვანყინებდეთ, უმეტესად მადლიერ იქმნების და უმეტეს თხოისაცა ჩუენისა მოგუცემს. უკუეთუ კულა არა ვანყინებდეთ, უდებ-გუყოფს; არა თუ შურს მოცემად ანუ არა ჰნებავს, არამედ წყინება ჩუენ მიერ სათნო-უჩნს.

ამისთვისცა იგავი წინაგყო მეგობრისაჲ მის, რომელი შუალამეს მოვიდა და პურსა ითხოვდა, და კულად მსაჯულისა მის, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა, არცა კაცთაგან ჰრცხუენოდა. და არა კმა-ყო სიტყუაჲ ხოლო იგავთაჲ, არამედ საქმითცა აჩუენა, რაჟამს დედაკაცი იგი ქანანელი ღირსყო ნიჭსა მას წყალობისა მისისასა და გამოაჩინა, ვითარმედ დაღაცათუ ვინ უმეტეს ღირსებისა და საზომისა თვისასა ითხოვდეს მჭურვალებით და სიმდაბლით და მოუწყინებულად, მიეცემის თხოაჲ მისი. რამეთუ მაშინ იტყოდა: „არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძალთა“;¹ გარნა ეგრეთცა ფრიადისა თხოისა და მჭურვალედ ვედრებისა მისისათვის მისცა თხოაჲ მისი და აღავსო სიხარულითა გული მისი.

და კულად ჰურიათა მიერ გამოაჩინა, ვითარმედ უდებთა და დაჴსნილთა არცა თუ რაჲ-იგი აქუნდეს, დაადგრების მათ თანა. ამისთვის არა თუ არარაჲ მიიღეს ოდენ, არამედ რომელი აქუნდა, იგიცა ნარწყმიდეს. და მათ ვინაფთგან არა მჭურვალებით ითხოეს, უღირსად გამოჩნდეს და თვისიცა ნარწყმიდეს, ხოლო ამან ვინაფთგან დიდითა მჭურვალებითა ითხოა და ლმობიერად ევედრა, უმეტეს ღირსებისაცა მიიღო, და რომელი-იგი ძალად იწოდა, მიეცა მას პატივი შვილად წოდებულთაჲ მათ.

ესოდენ დიდ არს და კეთილ უწყინოდ და ლმობიერად ვედრებაჲ, და რომელი-იგი მეგობრობამან ვერ ქმნა, უწყინოდ ვედრებამან ქმნა, ვითარცა წერილ არს იგავსა მას შინა შუალამედ მისრულისა მეგობრისასა.

ან უკუე შენცა, ძმაო, ნუ იტყვ, თუ: შეცოდებული ვარ და რისხვეული, ვითარ ვევედრო? – არამედ უწყინოდ ევედრე, და თქუას შენთვისცა,

¹ მარკ. 7,27.

ვითარმედ: წყინებისა მისისათჳს აღვდგე და მივსცე, რავდენი უჴმს; ოდენ უწყინოდ ევედრებოდე და არარაჲ გექმნას დამაბრკოლებელ: არცა შეცოდებანი, არცა უჴამოდ წყინებაჲ, არცა სხუაჲ რაჲმე.

ნუ იტყჳ, თუ: ფრიად მიცოდავს და არლარა ისმენს ღმერთი ჩემსა ვედრებასა; რამეთუ უკუეთუ მთავარი იგი, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუნოდა, ფრიადითა ვედრებითა მოდრიკა ქურთიმან მან წყალობად, არა უფროსად სახიერი იგი მონყალე-ჰყოა, უკუეთუ ევედრებოდი მჴურვალედ?

ამისთჳს უკუე დაღაცათუ არა მეგობარი იყო, ფრიადისა წყინებისათჳს მოგცეს წყალობაჲ თჳსი; დაღაცათუ შვილი ხარ განდგომილი და ყოველი იგი მამული სიმდიდრე ბოროტად წარგიგის, მო-ოდენ-იქეც მჴურვალედ, და კუალად დაგიტკებს სახიერი იგი მამად და კუალად პირველივე პატივი მოგცეს; შეუვრდი ცრემლით, ილოცე ღმობიერად, და წყალობით შეგინყნაროს შენ.

ხოლო მესმა ვიეთგანმე, რომელ იტყოდეს: აჰა ესერა მყოარ ჟამ მილოცავსო და ვედრებულ ვარ, და არარაჲ მომეცა მე სასწაული სმენისა ლოცვათა ჩემთაჲ. ესე ამისთჳს, რამეთუ არა ილოცავ, ვითარ იგინი ევედრებოდეს, – ქანანელსა ვიტყჳ და მეგობარსა მას უჴამოდ მოსრულსა და ქურთისა, რომელი-იგი აწყინებდა მსაჯულსა მას, და უძღებდა მას შვილსა. ხოლო უკუეთუმცა მსგავსად მათსა ევედრე, მუნქუესვემცა მოგეცა თხოაჲ შენი, რამეთუ მამად არს სახიერი და ამას ხოლო ეძიებს, რაჲთა გიხილოს შენ სინანულად მოსრული და შევრდომით მვედრებელი. ჰე თუმცა ჩუენცა ესრეთ მჴურვალე ვიყვენით სიყუარულსა ზედა მისსა, ვითარ-იგი მჴურვალე არს წყალობასა ჩუენსა და მარადის ეძიებს მიზეზსა აღტყინებად ჩუენ შორის ცეცხლსა მას სახიერებისა მისისასა. უკუეთუ უჩუენო მას მცირე ნაბერწყალი ღმობიერებისაჲ, დიდძალი მოგცეს საჯუმილი ქველისმოქმედებისაჲ.

მრავალგზის შეურაცხ-გიყოფის იგი, არამედ უკუეთუ შეუვრდე, არარაჲ მისგანი გიჴსენოს, არა მის გარდასრულისა შეურაცხებისათჳს მწუხარე არს, არამედ აწინდელისა ამის უღმობელობისა და გულფიცხელობისა შენისათჳს; რამეთუ ჩუენცა, უკეთურნი ესე, უკუეთუ შეურაცხ ვიქმნეთ შვილთა მიერ ჩუენთა, და კუალად მოიქცენ და შეგვრდენ, სიხარულით შეუნდობთ. არა უფროსად სახიერებისა და მონყალებისა წყარომან ქმნასა ესრეთ? რომელმან თქუა წინანარმეტყუელისა მიერ: „და-ღაცათუ-ივინყნეს დედაკაცმან ნაშობნი მუცლისა თჳსისანი, არამედ მე არა დაგივინყო შენ“.¹ დიდებაჲ აურაცხელსა მას კაცთმოყუარებასა მისსა!

ან უკუე მოედით, ცოდვილნო, შეუვრდეთ მას გულითა მჴურვალითა და ვთქუათ: „ჰე, უფალო, რამეთუ ძალღნიცა ჭამენ ნაბიჭვისაგან, რო-

¹ ესაია 49,15.

მელ გარდამოცვლენ ტაბლისაგან უფალთა მათთადას¹, შეგვწყალენ ჩუენ, უფალო, შეგვწყალენ ჩუენ; და გურქუას: „გეყავნ, ვითარცა გნებაჲს“.

ვთქუათ უძღვებისაებრ: „ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა“²; ვთქუათ მეზუერისაებრ: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“³; დავალტვინეთ ფერწნი მისნი ცრემლითა, ვითარცა მეძავმან, და გურქუას: შენდობილ არიან ცოდვანი შენნი; ვჰრეკოთ კარსა მისსა და ვევედრებოდით ჟამსა და უჟამოსა, და უფროდეს არაოდეს არს უჟამოდ შევერდომად, არამედ უჟამოებად არს არა მარადის შევერდომად და ვედრებად, რამეთუ ვინაფთაგან იგი მარადის მზა არს მოცემად, ჩუენდაცა მარადის ჯერ-არს თხოად. და ვითარცა ფშვნავად არაოდეს უჟამო არს, არამედ მარადის ჩუენ თანა არს, ეგრეთვე ვედრებად ღმრთისად მარადის თანაგუაც; ვითარცა ფშვნავად მარადის საჯმარ არს ჩუენდა, ეგრეთვე შენვენად ღმრთისად მარადის საძიებელ არს ჩუენდა და, უკუეთუ გუენებოს, ადვილად მოწყალე-ვყოთ იგი ჩუენ ზედა, და მოვიდეს შენვენად ჩუენდა, ვითარცა იტყვს წინანარმეტყუელი და გამოაჩინებს, ვითარ მარადის განმზადებულ არს იგი წყალობად ჩუენდა, „ვითარცა ცისკარი განმზადებული ვპოოთ იგი“⁴, რამეთუ რავდენგზისცა მოუჯდეთ, ყოვლადვე მზად იპოების წყალობად ჩუენდა; ხოლო უკუეთუ უშურველად აღმომცენარისა მისგან წყაროდესა წყალობათა მისთადას არა ვინებოთ სუმად, ესე ბრალი ჩუენისა უდებებისად არს; ვითარცა ჰურიათა ეტყვს წინანარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „წყალობად ჩემი, ვითარცა ღრუბელი განთიადისად და ვითარცა ცუარი ცისკრისად, წარმავალი თქუენ ზედა“⁵.

ხოლო სიტყუად ესე ესრეთ არს, ვითარმედ: მე ჩემმიერი ყოველი ვქმენ თქუენ ზედა და ვაჩუენე ყოველივე სახიერებად, ხოლო თქუენ, ვითარცა მოიწიის რად სიცხე მზისად და განაჯმის ცუარი ცისკრისად, ეგრეთ გარდამატებულთა მით უკეთურებითა თქუენითა სიმრავლე იგი ჩემ მიერ მოვლინებულთა თქუენ ზედა კეთილთა უკუნაქციეთ. რამეთუ ესეცა სამართალ არს და ჭეშმარიტისა მის განგებულებისა მისისა საქმე არს, რომელ ოდეს გვხილნეს უღირსად და გულფიცხელად, დააყენებს ქველისმოქმედებათა მისთა, რაფთა არა უმეტესსა დაჯსნილობასა მოვიდეთ; ხოლო უკუეთუ გვხილნეს მოქცეულნი ბოროტისაგან და მბრალბელნი თავთა თვსთანი გარდასრულთა მათ ცოდვათათვს და ღმობიერებით მვედრებელნი მისნი, მაშინ უფროდეს წყაროთასა აღმოაცენებს წყალობასა მისსა, უფროდეს ზღვსა განჰფენს ჩუენ ზედა, და რაოდენცა განუძლომელად მოვიღებდეთ კეთილთა მისთა, უმეტესად მოხარულ არს და უმდიდრესად აღმოგვცენებს, რამეთუ ცხობებად ჩუენი სიმდიდრედ თვსად შეურაცხიეს და უშურველად მოცემად სანადელ არს უხუად მომნიჭებელისა მის, რამეთუ ჭეშმარიტად მდიდარ არს და უხუად მიმცემელ მვედრებელთა მისთა; ხოლო ოდეს არა

¹ მათ. 15,27.

² ლუკ. 15,18.

³ ლუკ. 18,13.

⁴ ოსე 6,3.

⁵ ოსე 6,4.

ვითხოვდეთ მისგან, მაშინ განგკრისხდების, მაშინ გარემიიქცევის ჩუენ-გან, გკზილნეს რად, ვითარმედ სიგლახაკესა და უნდოებასა შინა ჩუენსა გუენებაეს წარწყმედად უბადრუკებით. იგი ამისთჳს დაგლახაკნა, რადთა ჩუენ განმამდიდრნეს; ამისთჳს ყოველივე დაითმინა, რადთა მიმინოდნეს მისა მოღებად წყალობისა საუნჯეთა მათგან დაუცარიელებელთა სახიერებისა მისისათა.

ამისთჳს გევედრები, მორწმუნენო, ვინადგან ესოდენნი მიზეზნი კეთილისა სასოებისანი მოცემულ არიან ჩუენდა, ნუ სასონარკუეთილ ვიქმნებით, დაღაცათუ ყოველთა დღეთა ვცოდვიდეთ, არამედ შეუვრდებოდით მას ვედრებით და ვითხოვდეთ შენდობასა ლმოზიერად. უკუეთუ ესრეთ ვიქმოდით, ცოდვათაგანცა განკრძალვად ვართ კდემითა მით გონებისადთა, და ეშმაკი ვიოტოთ სირცხვლეული, და მოვიდეს ჩუენ ზედა წყალობად უფლისად, და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 38

სიტყუაჲ ესე: „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ“ (7,1).

თარგმანი: ამას სიტყუასა ნეტარი პავლეცა იტყვს, და უფროხლა მასცა ქრისტე იტყვს პირითა პავლესითა, ვითარმედ: „ან შენ რასა განიკითხავ ძმასა შენსა? ანუ შენ რაჲსა შეურაცხ-ჰყოფ ძმასა შენსა?“¹ და „შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვსა მონასა?“² და კუალად იტყვს: „ამისთვის ნუვინ წინაფსნარ ჟამისა გან-რასმე-იკითხვიდეთ, ვიდრემდე მოვიდეს უფალი და განანათლოს დაფარული იგი ბნელისაჲ და გამოაცხადნეს ზრახვანი იგი გულისანი“.³

ან უკუე ვითარ გულისწმა-ვყოთ სიტყუაჲ ესე, არა ჯერ-არსა მოქმედთა ცოდვისათა ბრალობად? ვითარ უკუე სხუასა ადგილსა იტყვს მოციქულივე: „ზედაადეგ ჟამითი-უჟამოდ, ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც“?⁴ და კუალად იტყვს: „რომელნი-იგი ცოდვიდენ, წინაშე ყოველთა ამხილე, რაჲთა სხუათა მათ ეშინოდის“.⁵ და კუალად ქრისტემან ჰრქუა პეტრეს: „უკუეთუ ცოდოს ძმამან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმად შენი. უკუეთუ შენი არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუად. უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა“.⁶

იხილე, რავედენნი მამხილებელნი წარმოუდგინნა, და არა ხოლო მამხილებელნი, არამედ დამსჯელნიცა, რამეთუ თქუა: „უკუეთუ კრებულისაჲცა არავე ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“.⁷

ანუ ვითარ მისცნა კლიტენი და უბრძანა შეკრვად და განწსნად, უკუეთუ არა უწმდა განკითხვად? ცუდ იყო ესე ყოველი?

და ანცა სოფელსა შინა, უკუეთუ ესე სიტყუაჲ ეგრეთ ეგოს, ვითარ იყოს წესიერებაჲ სოფლისაჲ ანუ ეკლესიათაჲ? რამეთუ უკუეთუ არა განიკითხოს უფალმან მონად, და მამამან – შვილი, და მეგობარმან – მეგობარი, მრავალი აღორძინებაჲ და წარმატებაჲ პოოს უკეთურებამან.

რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე? გულისწმა-ვყოთ კეთილად, რაჲთა არა წამალი ესე ცხორებისაჲ და რჩული მშკდობისაჲ შეჰრაცხოს ვინ რჩულად უწესოებისა, რამეთუ ყოველადვე კრძალულებით ჯერ-არს გულისწმის-ყოფად.

და ყოველთავე სიტყუათა უფლისათა ძალისა გამოძიებაჲ გკლირს, და თუ ვითარითა სახითა ანუ ვითარითა პირითა თქუმულ არიან; რამეთუ ანცა სიტყვსა ამის წესიერებაჲ შემდგომისა მის სიტყვსა მიერ გულისწმა-გკყო უფალმან, რაჟამს-იგი თქუა: „რაჲსა ჰხედავ ნუფელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?“⁸ ხოლო უკუ-

¹ რომ. 14,10. ² რომ. 14,4. ³ 1 კორ. 4,5. ⁴ 2 ტიმ. 4,2. ⁵ 1 ტიმ. 5,20. ⁶ შდრ. მათ. 18,15-17.

⁷ მათ. 18,17. ⁸ მათ. 7,3.

ეთუ ჯერეთცა უმეცართა ძნიად გულისწმისსაყოფელად უჩნს, უმეტესად განმარტებად სიტყვსა ამის ჴელ-ვყოთ: არა ესრეთ მარტივად განანესებს სიტყუასა ამას უფალი, არცა ეტყვს მოძღუართა და წინამძღუართა არა განკითხვად და მხილებად მოქმედთა ბოროტისათა, – ნუ იყოფინ! – არამედ მათ ეტყვს, რომელთა არა თანაედვის სხვსა განკითხვად ანუ მხილებადა და სავსე იყვინან თვთ ბევრეულითა ბოროტითა და სხუათა მცირეთა რათმე და უნდოთა ცთომათათვს ზედამიუჭდებიედ, განკითხვიდიან და შეურაცხ-ჰყოფდიან, რომელნი არცა ჴელმწიფებასა მათსა ქუემე იყვინან, არცა საურავად მათდა განწესებულ.

პირველად უკუე ჰურიათა მოასწავებს აქა, რომელნი-იგი მრავალთა ბოროტთა მოქმედნი იყვნეს და სხუათა მწარედ განკითხვიდეს მცირეთა და უნდოთა ცთომათათვს, რომლისათვსცა უკუანადსკენელრე განცხადებულად აბრალებდა და ეტყოდა, ვითარმედ: „შეჰკრით ტკრთი მძიმე და ძნიად სატკრთავი და დასდვით მწართა ზედა კაცთასა, ხოლო თქუენ თითითაცა არა გნებავნ შეძრვად იგი“;¹ და „ათეულსა მოიღებთ პიტნაკისა და ცერეცოლსა და ძირაკისასა და დაგიტეობიეს უმძიმესი შჯულისა: სამართალი და წყალობა და სარწმუნობა“.²

წინადასწარვე უკუე სიტყვთა ამით ამხილებს ცთომილებასა მათსა, რომელთა ეგულებოდა ბრალობა და განკითხვად მოციქულთად უცოდველთა მათთვს საქმეთა, ვითარ-იგი იყო არამარხვად შაბათისა და უბანელითა ჴელითა ჭამად და მეზუერეთა თანა ჯდომად და სხუად ესევეთარი, რომლისათვსცა ეტყოდა, ვითარმედ: „დასწურავთ ბურნაქსა და აქლემსა შთანთქამთ“.³

და მერმე ყოველთა მიმართცა კაცთა ჰყოფს რჩულის-დებასა ამას კეთილსა, გარნა წესსა ზედა თვსსა და სამართალსა, რამეთუ პავლეცა რაჟამს თქუა, ვითარმედ: „შენ ვინ ხარ, რომელი განკითხავ სხვსა მონასა?“ და ვითარმედ: „ნუვინ წინადასწარ ჟამისა განკითხავთ“, მათდა მიმართ თქუა, რომელნი უზეშთავსთა თვსისა საზომისათა განკითხვიდეს საქმისათვს არაგანსაკითხავისა. რამეთუ არა თუ ესრეთ განჩინებულად და განუყოფელად თქუა, ვითარმედ არა ჯერ-არს განმართებად შეცოდებულთად, არცა ყოველთა მიმართ იყო შერისხვად მისი, არამედ მონაფეთა ჰკდემდა, რომელნი მოძღუართა განკითხვიდეს, და რომელნი ბევრეულთა ბოროტთა თანამდებ იყვნეს და უბრალთა შეასმენდეს და ძვრსა იტყოდეს.

ეგრეთვე უფალი ჩუენი იესუ ქრისტეცა ესევეთართავე პირთა მიმართ ჰყოფს სიტყუასა ამას, რადთა რომლისადა არა რწმუნებულ იყოს განკითხვად მეორისადა, არცა მამად იყოს მისი, არცა მოძღუარი, და ხედვიდეს თავსა თვსსა თანამდებად უმძიმესთა ცოდვათა, არა განკითხვიდეს მოყუასსა თვსსა; ამისთვსცა სასჯელი მძიმე განანესა ესევეთართა მათ ზედა:

¹ მათ. 23,4.

² მათ. 23,23.

³ მათ. 23,24.

სახარება: „რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ“ (7,2).

თარგმანი: რამეთუ არა მას დასჯი, არამედ თავსა შენსა, და უსაშინელესსა განიმზადებ სასჯელსა; რამეთუ ვითარცა მოტევებასა მას ზედა ცოდვათასა ჩუენ მიერ განანესა ყოფად დანყებისა, რაჟამს გვბრძანა თქუამად: „მომიტევენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევენთ თანამდებთა მათ ჩუენთა“,¹ ეგრეთვე საშჯელსა ამასცა შინა განკითხვისასა ჩუენ მიერ ბრძანა საზომისა განჩინებად: „რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ“, რადთა გულისგმა-ვყოთ, ვითარმედ არა ყუედრებად ჯერ-არს და უწყალოდ შერისხვად და ზედამისლვად უგულისგმოდ, არამედ სწავლად სიმშკდით და სიყუარულით; არცა ძკრისსიტიყუად ჳამს, არამედ განზრახვისა კეთილისა წინაყოფად; არცა ანპარტავანებით შეურაცხ-ყოფად, არამედ სიყუარულით განმართებად; რამეთუ არა მას ავნებო ურიდად შეურაცხებითა მით და ბოროტისმეტყუელებითა, არამედ თავსა შენსა მძიმესა სასჯელსა შთაადებ.

ჰხედავა, ვითარ ორნი ესე მცნებანი სუბუქნიცა არიან და დიდთა კეთილთა მომატყუებელ მოქმედთა მათთა, ხოლო გარდამავალთა სასჯელისა დიდისა მიზეზ იქმნებიან? რამეთუ რომელმან მიუტევენს ბრალნი მოყუსისანი, პირველ მისსა თავი თვისი განუთავისუფლებიეს ბრალთაგან უშრომელად; და რომელი რიდობით და წყალობით გამოეძიებდეს ბრალთა მეორისათა, თავსა თვისსა დაიუნჯებს განკითხვასა წყალობისასა მისმიერი-თა მით სახიერებითა.

თქუას უკუე ვინმე, ვითარმედ: უკუეთუ ისიძვიდეს ვინ, არა ვთქუაა, თუ ბოროტ არს სიძვად? არცა განვჰმართოა მოქმედი იგი ურჩულოებისად? ჰე, უკუეთუ რწმუნებულ იყოს შენდა განმართებად მისი, განჰმართე, არამედ ნუ ვითარცა მბრძოლი და მტერი ზედადაესხმი რისხვით და განქიქებით, არამედ ვითარცა მკურნალმან წამალი კურნებისად დაასხი; რამეთუ არა თუ ეგრე თქუა, თუ: ნუ დააცხრობ ცოდვისაგან და ნუ დააყენებ, არამედ: „ნუ განიკითხავო“; ესე იგი არს, ნუ მწარე და უწყალო მსაჯულ ექმნები.

და ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა დიდთა მათ და ძნელთა ცოდვათათვს უთქუამს, რადთამცა არა ვაყენებდით მოყუასთა და ძმათა ჩუენთა და უფროდსლა რომელთა ზრუნვად რწმუნებულ იყოს ჩუენდა, არამედ მცირეთა ცთომათათვს, რადთა არა განვადიდებდეთ მეორისათა და ანპარტავანებით ვამხილებდეთ ანუ შევასმენდეთ და ძკრსა ვიტყოდით; ამის-თვსცა იტყვს:

სახარება: „რადსა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?“ (7,3).

¹მათ. 6,12.

თარგმანი: რამეთუ მრავალნი ან იქმან საქმესა ამას და, იხილიან რაე მონაზონი მცირედ რაემე მეტითა სამოსლითა მოსილი, მცნებასა მას უფლისასა მესყუელად წინაუყოფენ და თავისა თვისასა არა ხედვენ, ვითარ დღითი-დღე იტაცებენ და მიიხუეჭენ გლახაკთაგან და ქირვეულთა. კუალად უკუეთუ იხილონ მცირისა რაესმე სანუაგისა ქამად, განიკითხვენ, ჰბასრობენ, ზედადაესხმიან და არა განიცდიან თავისა თვისა დღითი-დღე შუებასა და მთრვალობასა, არცა გულისწმა-ჰყოფენ, ვითარმედ ცოდვათა თვსთა თანა ამისცა ჯერისათვს უმეტეს შეიკრებენ თავთა თვსთა ზედა ცეცხლსა მას გეჰენისასა და ყოვლისავე სიტყვს-გეებისაგან გამოაჭუებენ სულთა თვსთა; რამეთუ თვთ იგინი განანესებენ საქმესა ამას, ვითარმედ ჯერ-არს მცირეთაცა ცთომათა მათთა გამონულილვით განკითხვად, ნუმცა უკუე მძიმედ უჩნს, ოდეს მათცა ბრალი მიეცადებოდის ყოველთა საქმეთა მათათვს. არამედ კეთილად ყურად-იღებდიედ ბრძანებასა უფლისასა:

სახარება: „**რაჲსა ჰხედავ ნუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი? ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მაცადე, და აღმოგილო ნუელი თუალისაგან შენისა, და აჰა ეგერა დირე თუალსა შინა შენსა! ორგულო, აღმოიღე პირველად დირე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო ნუელი აღმოღებად თუალისაგან ძმისა შენისა**“ (7,3-5).

თარგმანი: სიტყვსა ამის მიერ გამოაჩინებს რისხვასა თვსსა ესე-ვითარისა მოქმედთა ზედა, რამეთუ სადაცა ენებოს გამოჩინებად, ვითარმედ ცოდვად იგი დიდ არს და სასჯელისა ღირს და რისხვისა ფრიადისა, რისხვისაცა და შეურაცხებისა სიტყუასა იწყებს, ვითარცა-იგი ყო მონასა მას ზედა, რომელი ასისა მის დრაჰკნისათვს აშთობდა მოყუასსა თვსსა, რამეთუ ჰრქუა მას უფალმანო: „მონაო ბოროტო, ყოველი იგი თანანადები შენი მიგიტივე შენ“;¹ ეგრეთვესახედ აქა იტყვს: „**ორგულო, აღმოიღე პირველად დირე თუალისაგან შენისა და მერმე იხილო ნუელი აღმოღებად თუალისაგან ძმისა შენისა**“; რამეთუ არა სიყუარულისად არს საქმე შენი, არამედ სიძულულისად, და სახე კაცთმოყუარებისად გმოსიეს, ხოლო საქმესა უკეთურებისასა აღასრულებ, რამეთუ ყუედრებასა და შეურაცხებასა ზომისა უმეტესსა დაჰკრებ მოყუასსა ზედა ცთომათათვს მცირეთა, და მოძღურისა წესი მიგიტაცებიეს, რომელი-იგი არცა თუ მონაფედ ღირს ხარ. ამისთვს ორგულად სახელ-გდებ, რამეთუ სხუათა ზედა ესრეთ მწარე მსაჯული ხარ, ვიდრელა წლკლთაცა და უნდოთა განიცდი, და შენთა მათ საქმეთა ზედა ესრეთ უდებ ხარ, რომელ დიდთაცა თანანარჰყდები.

¹მათ. 18,32.

„აღმოიღე პირველად ღირე თუალისაგან შენისა“.

აჰა ესერა გამოაჩინა, თუ ვის უწმს არავისი განკითხვა და ვისა ჯერ-არს სხუათაცა განმართებად. ესე იგი არს, ვითარმედ ჯერ-არს პირველად ღირისად აღმოღებად თუალისაგან და მერმე ხედვად სხვსა ცთომათა, რამეთუ თავისა თვისსა საქმეთა უაღრესად ხედავს კაცი, ვიდრელა სხვსათა, და დიდ-დიდთა უადვილესად განიცდის, ვიდრელა მცირეთა, და თავი თვისი უმეტესად ვის ეწყალის, ვიდრე მეორისად.

ან უკუე, კაცო, უკუეთუ მოყუასი გენყალის, თავი შენი უმეტესად შეიყუარე და განჰმართენ ცთომანი შენნი, რომელნი უაღრეს სხუათასა იცნინი. უკუეთუ კულა თავსა თვისსა უგულუბელს-ჰყოფ, საცნაურ არს, ვითარმედ ძმასაცა არა სიყუარულისათვს განიკითხავ, არამედ სიძულილისა და შურისათვს. არამედ არა ჯერ-არს შენდა განკითხვა და სხუათად, უკუეთუ არა პირველად თავი შენი შეიკრძალო და განსწმიდო ყოვლისაგანვე ბინისა. რამეთუ ვინაფთაგან მრავალნი ჭეშმარიტებისა და სინმიდისა სწავლანი წარმოთქუნა უფალმან, რადთა არავინ თქუას, თუ ამის ყოვლისა სიტყვით თქუმად ადვილ არს, რადთამცა უჩუენა, ვითარმედ არცა ერთისა თქუმულთა მათგანისა თანამდებ არს, არამედ ყოველივე კეთილად წარუმართებიეს, ამისთვს იგავი ესე თქუა, რამეთუ ეგულუბოდა მას განკითხვა და ბოროტისმოქმედთა მათ, ვითარცა იტყვს: „ვად თქუენდა, მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო“;¹ არა იყო იგი ყოვლადვე თანამდებ ცთომისა, „რამეთუ ცოდვად არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვად პირსა მისსა“;² არცა თუ ღირე, არამედ არცა თუ იოტოდენი წუელად იყო თუალსა მისსა, არამედ განწმედილითა თუალითა ხედვიდა და განჰმართებდა ცთომასა მას სხუათასა.

ამისთვს იტყვს, ვითარმედ არა ჯერ-არსო სხვსა განკითხვა, ოდეს თვთ ვინ მათვე საქმეთა თანამდებ იყოს, რომლისათვს განიკითხვიდეს. და რად გიკვრს, უკუეთუ უფალმან ესევეთარი ესე მცნებად განაწესა? არა გესმისა, ვითარ ავაზაკიცა სჯულითა მით ბუნებითთა ამასვე დაამტკიცებდა და ეტყოდა მეორესა მას: „არცალა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ? და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელ ვქმენით, მოგუეგებვის, ხოლო ამან არარად უსჯულოებად ქმნა“.³

ან უკუე, კაცო, გულისწმა-ყავ, რამეთუ არა ჯერ-არს საქმე ესე, რადთამცა ღირესა მაგას შენსა, რომლისა აღმოღებად თანაგაც, არამცა განიცდიდი, ხოლო მოყუასისა წუელასა არა თუმცა ხედვედი, არამედ განიკითხვიდიცა. ესე უწესო არს და უსამართლო, ვითარცა უკუეთუ ვინ შეპყრობილ იყოს სენითა ბოროტითა წყლითმანკიერებისადათა და უგულუბელს-ყოს ძნელოვანი იგი სიმსივნე თვისი და აყუედრებდეს მოყუასსა მცირისა რადსმე ნაბრძკლისათვს.

¹ მათ. 23,25.

² ესაია 53,9; 1 პეტ. 2,22.

³ ლუკ. 23,40-41.

ბოროტი არს უკუე არა ხედვად თვსთა ცოდვათად, არამედ განცდად სხვსა ბრალთად, ვიდრელა დირე თუალთა შინა იყოს, რამეთუ ცოდვად დირე არს თუალთა და ყოვლისა დირისა უძკრეს.

გულისწმა-ვყოთ უკუე, ვითარმედ ესე არს ბრძანებად უფლისად და ამას განანესებს ამის სიტყვსა მიერ, ვითარმედ: რომელი თანამედებ იყოს ბევრეულთა ბოროტთა, ნუ იქმნების მწარე განმკითხველი სხვსა ცთომათად, და უფროდსად, ოდეს ცთომანი იგი უნდო და არარად იყვნენ.

არა თუ წინამძღუართა აყენებს მხილებისა და განმართებისაგან ცოდვათა ერისათა, არამედ კაცად-კაცადსა განაკრძალებს, რადთა არა უარჰყოფდეს ვინ ცოდვათა თვსთა და მოყუასსა განიკითხვიდეს, რომლისა არა თანადევას მხილებად ანუ განკითხვად, რამეთუ ესე საქმე, ვითარცა ფრიადისა უწესოებისა მიზეზი, წინათვე დააყენა უფალმან, რამეთუ ამისგან იქმნებიან ბოროტნი მტერობანი, უსახურობანი და ესევეითარი მრავალი.

ხოლო ვინაფთვან ყოველივე ესევეითარი თესლი უკეთურებისად აღმოჰფხურა კეთილითა ამით სჯულის-დებითა, მერმე სხუად შემოიღო სწავლად და თქუა:

სახარებად: „ნუ მისცემთ სინმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერვითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (7,6).

თარგმანი: ხოლო თავადმან ქუემორე თქუა: „რომელი ყურთა გესმესო, უქადაგებდით ერდოთა ზედა“;¹ არამედ არარად არს წინააღმდეგომი სიტყუათა ამათ შინა, რამეთუ არცა მუნ ესრეთ ბრძანებს, თუ ყოველთავე ეტყოდეთ ყოველსავე, არამედ ესე განანესა, რადთა სადა-იგი ჯერ-იყოს თქუმად, უშიშად და კადნიერებით იტყოდინ, და კუალად აქა არა თუ ესრეთ თქუა, თუ დადუმენით და ნურარას ჰქადაგებთ, არამედ ესრეთ უბრძანა, ვითარმედ: საიდუმლოთა მათ საღმრთოთა და დიდებულთა ნუ გამოუცხადებთ ძაღლთა და ღორთა. ხოლო ძაღლად ამას ადგილსა მათ სახელ-სდვა, რომელნი არიან ურჩულოებასა შინა უკურნებელსა და უღმრთოებასა ბოროტსა და ღმრთისა მომართ მოქცევისა სასოებად არა აქუს, და ღორად მათ უწოდა, რომელნი მარადის შეგინებულსა და ბილწსა მოქალაქობასა შინა იქცევიან; და ესევეითართა მათთვს იტყვს, ვითარმედ: არა ღირს არიან სმენად საიდუმლოთა ღმრთისათა, არა თუ ინებონ უკეთურებისა მის მათისაგან მოქცევად.

ეგრეთვე მოციქულიცა ჰავლე იტყვს, ვითარმედ: „მშვნვიერმან კაცმან არა შეინწყნარის სულისად, რამეთუ სიცოფე უჩნ მას და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვის“.² და სხუასა მრავალსა ადგილსა გულისწმა-გკყოფს ამას წერილი, ვითარმედ ბოროტთა საქმეთა მიერ

¹ მათ. 10,27.

² 1 კორ. 2,14.

განხრწნილი ცხორებად მიზეზ ექმნების არა შეწყნარებად მაღალთა მათ და სულიერთა სწავლათა სრულისა მის წესისა. ამისთვისცა უფალი ბრძანებს, ვითარმედ ესევეთართა მათ სასონარკუეთილთა და ყოვლითურთ ეშმაკისადა განჩემებულთა არცა თუ განღებად კარისა და ჩუენებად საღმრთოთა მათ საიდუმლოთა ჯერ-არს, რამეთუ ისნაონ რად, უძკრეს იქმნებიან და უმეტესადლა მბრძოლად გამოჩნდებიან.

რამეთუ გონიერთა და გონებითა კეთილთა რაოდენცა გამოეცხადნენ საიდუმლონი ღმრთისანი, უმეტესად პატივ-სცემენ, ხოლო მედგართა და უგულისწმოთა წინაშე შეურაცხ არს, რამეთუ ცოფ არიან იგინი გულითა და ამისთვის სწავლად იგი სულიერი სიცოფედ უჩნს. ამის უკუე ჯერისათვის არცა გამოცხადებად მათდა ჯერ-არს, რამეთუ ღორმან არა იცის, რად არს მარგალიტი. ამისთვის ნუცა დაუდებთ მარგალიტსა მის წინაშეო, რამეთუ არარად სარგებელ ეყოს, არამედ უმეტესადლა იყოს სავნებელი, რაჟამს საიდუმლონი იგი დიდებულნი ბოროტთა მათ ისწავლნენ, რამეთუ მათ შეურაცხ-ჰყოფენ და თქუენ უმეტესად მბრძოლად აღგიდგებიან. ამისთვისცა თქუა: „ნუუკუე დათრგუნენ იგინი ფერწითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“.

თქუეს უკუე ვიეთმე უგუნურთა, ვითარმედ: რად არა ესრეთ მტკიცე და ძლიერ არიან საიდუმლონი იგი, რადთა შემდგომად სწავლისაცა შეუხებელად ეგნენ და ვერ მიიღებდენ მათგან ურჩულონი იგი მიზეზსა ბრძოლად ჩუენდა?

ჰ უგუნურებად ესევეთარისა მეტყუელთად! ვითარ არა გულისწმა-ჰყოფენ, ვითარმედ არა საიდუმლოთა მათგან არს ცთომად ესე, არამედ სიხენეშისა მისგან ბოროტთა მათ კაცთადსა; და მარგალიტი შთავარდის რად შორის ღორთა, დაითრგუნოს მათ მიერ; არა თუ მარგალიტი იგი შეურაცხ არნ და ამისთვის დაითრგუნის, არამედ ღორთა შორის დავარდა და ამისთვის ესრეთ შეემთხვა.

კეთილად უკუე თქუა, ვითარმედ: „მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“, რამეთუ პირველ სწავლისა იჩემებენ სინრფოებასა და, ისნაონ რად, სხუად ფერად იცვალეებიან, მბრძოლ და წინააღმდგომ იქმნებიან, მოკიცხარ და მაბრალობელ, ვითარცა იყო უკეთური იგი სიმონ, რომლისათვის წერილ არს: „და რაჟამს ჰრწმენა ფილიპესი სახარებად სასუფეველისათვის ღმრთისა და სახელისათვის იესუ ქრისტესისა, ნათელ-იღებდეს მამანი და დედანი. და სიმონსცა თვთ ჰრწმენავე და ნათელ-ილო“.¹ და მერმე იტყვს: „ვითარცა იხილა სიმონ, რამეთუ ჴელისა დადებითა მოციქულთადათა მოეცემის სული წმიდად, მიუპყრა მათ ფასი და ჰრქუა: მომეცით მეცა ჴელმწიფობად ესე, რადთა რომელსა დავსდვა ჴელი, მიილოს სული წმიდად. მაშინ ჰრქუა მას პეტრე: ვეცხლი ეგე შენი შენ თანავე იყავნ წარსანყმედელად შენდა, რამე-

¹საქმე 8,12-13.

თუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად. არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკვდრებელი სიტყუასა ამას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა“.¹ ჭეშმარიტად ძალთა და ღორთა უძკრეს იყო იგი. ამისთვისცა არა მისცეს მოციქულთა სინმიდე იგი, არცა წინადაუდევს მარგალიტი იგი მრავალსასყიდლისაჲ, რაჲთა არა დათრგუნოს.

ეგრეთ იყო ალექსანდრეცა, რომლისათვის მიუწერს პავლე ტიმოთეს, ვითარმედ: „ალექსანდრე მჭედელმან მრავალი ბოროტი შემაჩუენა მე. მიაგოს უფალმან საქმეთა მისთაებრ. რომელსა შენცა ეკრძალე, რამეთუ ფრიად წინააღმდეგა იგი სიტყუათა ჩემთა“.² და კულად იტყვს: „რომელთა ემოსოს ხატი ღმრთისმსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ, ამათ განეშორე“.³ და ტიტეს ეგრეთ მიუწერს, ვითარმედ: „ერესიოტსა კაცსა ერთითა და ორითა სწავლითა განეშორე“;⁴ რომელ არს მწვალებელი. არა თუ საიდუმლონი იგი ჩუენნი უძღურებისა სახე არიან და ვნებისა მიზეზ ექმნებიან, არამედ იგინი უგულისხმოებითა და უკეთურებითა სავსე არიან. ამისთვის ბრძანებს უფალი, რაჲთა ესევეთართა მათ გამოძღვლთა და უკეთურებითა სავსეთა არა ვაუწყებდეთ საიდუმლოთა ღმრთისათა, რამეთუ მათცა არა სარგებელ ეყოფის ურწმუნოებისა მათისათვის და ბილწებისა და ჩუენცა მიზეზ უმეტესისა ბრძოლისა გუექმნების მათი იგი მეცნიერებაჲ.

ამისთვისცა ჟამსა მას წმიდათა საიდუმლოთასა დაკრძალვასა კართასა ჳმობს დიაკონი. არა თუ წინამდებარეთა მათ საიდუმლოთა შინა არს რაჲმე ღირსი მალვისაჲ, რამეთუ იგინი არიან ყოვლისა პატიოსნებისა უპატიოსნეს და ყოვლისა დიდებულებისა უდიდებულეს და ყოვლისა ბრწყინვალეებისა უბრწყინვალეს, არამედ უძღურებისა მისთვის და უგულისჳმოებისა ურწმუნოთაჲსა ვიქმთ ესრეთ, რაჲთა აღვასრულოთ სიტყუაჲ უფლისაჲ. ამისთვის ყოველსა ძალისა და ღორისა მიმსგავსებულსა გონებასა უკეთურთასა გარე განასხამს მჳმობელი იგი კათაკუმეველთაჲ და მერმე დაკრძალვასა კართასა ქადაგებს, და ესრეთ აღესრულების საიდუმლოჲ იგი დიდებული.

ამისვე ჯერისათვის მაშინ უფალი იგავით ეტყოდა ჰურიათა, რამეთუ სმენით ესმოდა და არა გულისჳმა-ჰყოფდეს, და ხედვით ხედვიდეს და ვერ იხილეს; და პავლე იტყვს: „რაჲთა იცოდით, ვითარ ჯერ-არს კაცად-კაცადისა სიტყვს-გებაჲ“.⁵ ესრეთ უკუე განანესა რაჲ ესეცა მცნებაჲ მეუფემან ჩუენმან და მაცხოვარმან, მერმე ღაღატ-ყო და თქუა მოძღუარმან მან სახიერმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგელოს თქუენ. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვ-

¹ საქმე 8,18-21.

² ტიმ. 4,14-15.

³ 2 ტიმ. 3,5.

⁴ ტიტ. 3,10.

⁵ კოლ. 4,6.

დეს, მოიღოს; და რომელი ეძიებდეს, პოოს; და რომელი ირეკდეს, განელოს“ (7,7-8).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაიდან მალაღობა და საკვრველი მცნებანი ამცნა და უბრძანა ყოველთა ვნებათა უზემთაეს ყოფად და მახლობელად ცათა აღიყვანა და განუწესა არა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, არამედ თავადისა ყოველთა მეუფისა მსგავს-ყოფად, ხოლო მონაფეთათს არა კმა-ყო, რაათა მათ ოდენ თავით თუსით წარჰმართონ ესე ყოველი, არამედ სხუათაცა სწავლად უბრძანა და რაათა განარჩევდენ ბოროტთა და კეთილთა და გულისწმა-ჰყოფდენ, თუ ვინ არიან ცხოვარნი, ანუ ვინ არიან ძალნი და ღორნი (ხოლო ესე საქმენი არა ადვილ იყვნეს გულისწმის-საყოფელად, რამეთუ ფრიადი დაფარულებად არს კაცთა შორის), და იცოდა უფალმან, ვითარმედ თქუმად ედვა ვიეთმე, თუ ძნელ და შეუძლებელ არიან მცნებანი ესე, ვითარცა სხუასა ადგილსა თქუეს მონაფეთა: „და ვის ჴელ-ენიფებისო ცხორებად?“¹ ხოლო რაათა აქაცა არა ეგრეთვე თქუან, ამისთვის ზემოცა მრავალნი სიტყუანი ჭეშმარიტებისანი წარმოთქუნა გამოჩინებად, ვითარმედ არარას შეუძლებელსა იტყუს, ხოლო ან გვრგვნი ნუგეშინის-ცემისა და სიადვილისა დაადგა წმიდათა მათ მცნებათა თუსთა, რაჟამს-იგი თქუა: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგელოს თქუენ“, რამეთუ არა თქუენ ხოლო გიღირს მოსწრაფებად, არამედ ზეგარდამოხსაცა შენენისა თხოად თანაგაც, და უეჭუელად მოვიდეს შენენა მალლით და თანამავალ-გეყოს ყოველთავე საქმეთა თქუენთა და ყოველივე ძნელოვანი განგიადვილოს.

ამის ესევითარისა სახისათუს თხოათა ჩუენთა განმარტებად წინაშე ღმრთისა გვბრძანა მოთმინებითა ფრიადითა და გულსმოდგინებითა მჭურვალითა, რამეთუ ამას მოასწავებს ძიებად და რეკად – მოუწყინებელად ვედრებასა; ვითარცა-იგი რომელი ეძიებნ დიდსა რასმე საუნჯესა, ყოვლისაგანვე საქმისა შემოიკრიბის გონებად თუსი და მჭურვალეებით ეძიებნ, და რომელი ჰრეკნ კარსა სამეუფოსა, მოუწყინებელად ჰრეკნ, ესრეთ თანაგუაც ჩუენ მჭურვალედ და მოუწყინებელად ვედრებად.

ან უკუე, კაცო, ნუ უდებ იქმნები, ნუცა გენყინების თხოათა შენირვად ღმრთისა და რეკად კარსა მას წყალობისა მისისასა, ნუ იპოები მალაღობა ამათ და სულიერთა საქმეთა შინა უმცონარეს მათსა, რომელნი ჴორციელთა საფასეთა საუნჯესა ეძიებენ პოვნად.

გულისწმა-ყავ, ვითარმედ მრავალგზის ფრიადი შეგემთხვის შრომად ძიებასა შინა საუნჯისა წარმავალისასა და ვერარად ჰპოი, და ეგრეთცა იჭუეულსა მას ზედა საქმესა არავე უდებ იქმნები შრომად და ძიებად. ხოლო აქა სულიერთა ამათ შინა საქმეთა აღთქუმად მოგიღებთეს უტყუ-

¹მათ. 19,25.

ელისა მისგან პირისა, ვითარმედ უეჭუელად მოგეცემის თხოად შენი, და არცა თუ მცირესა ნაწილსა აჩუენებ ჴორციელთა ზედა განწესებულისა მის შრომისასა; ხოლო არა ესრეთ ჯერ-არს, არამედ უფროდსად სულიერსა ზედა თანაგაც მჴურვალედ ძიებად, თხოად და რეკად, რადთა განგელოს კარი წყალობისად და მოგეცნენ უხუებით თხოანი შენნი. ხოლო დაღაცათუ მეყსეულად არა მოგეცნენ თხოანი იგი, ნუვე მოიწყინებ და წარიკუეთ სასოებასა, რამეთუ ამისთვის თქუა „ირეკდით, და განგელოს“, რადთა გულისწმა-ჰყო, ვითარმედ დაღაცათუ დაიყოვნოს განღებად, ჯერ-არს უცონელად რეკად. ამისთვისცა იგავი შემოილო გამომაჩინებელად პირველთქუმულისა მის სიტყვსა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თვისი პურსა, ნუ ქვად მისცეს მას? გინა თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცეს მას?“ (7,9-10).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ზემო თქუა, ვითარმედ: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ“, და გამოაჩინა, ვითარმედ მოუწყინებელად ჯერ-არს თხოად, რამეთუ კაცთა ზედა სანყინო არს სამარადისოდ თხოად, ხოლო ღმრთისა უმეტესად სანადელ არს, რადთა დაუცხრომელად ვევედრებოდით. ამისთვისცა დაჴშულ არს კარი იგი, რადთა განვიფრთხოთ მარადის რეკად და ვედრებად განღებისათვს. ხოლო რადთა არა უცხო გიჩნდეს, უკუეთუ მეყსეულად არა განგიღოს და მოგეცეს თხოად შენი, ამისთვის გამოაჩინა ესეცა იგავი, რადთა გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ არა თხოად ხოლო თანაგუაც, არამედ საქმეთაცა ჯეროანთა თხოად.

„ვინ არს თქუენგანი კაციო, რომელსა სთხოვდეს ძე თვისი პურსა, ნუ ქვად მისცეს მას?“

ან უკუე ესე გულისწმა-ყავ, ვითარმედ დაღაცათუ ძე ხარ, უკუეთუ ქვად ითხოო ანუ გუელი, არა მოგცემს სახიერი იგი მამად, არცა უგუნურებასა შენსა თანაალჴყვების, ხოლო უკუეთუ პური სთხოო ანუ თევზი, უეჭუელად მოგცეს თხოად შენი.

რომელი ითხოვდეს ღმრთისაგან ცუდსა რასმე და ამოსა საქმესა, იგი ქვასა ითხოვს, და რომელი ვევედრებოდის მოცემად მისდა სავნებელი რამე სულისა მისისად, იგი გუელსა ითხოვს; სამართლად უკუე არა მოსცეს მას მოლუანემან მან სულთამან.

ხოლო შენ ნურარას ითხოვ ჴორციელსა, არამედ ყოველივე სულიერი ითხოე, და მოგეცეს უეჭუელად თხოად შენი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მოანიჭის თხოად მლოცველთა მისთა“.¹ რამეთუ ორი საქმე უჴმს მლოცველსა შეკრძალვად: ერთად, რადთა მოუწყინებელად ილოცვიდეს და სულგრძელებით შესწირვიდეს თხოათა თვსთა უფალსა გულითა წმიდითა

¹ შდრ. მათ. 7, 7-8, 11.

და გონებითა მიმოუტაცებელითა, და მეორედ, რადთა სულიერსა და კეთილსა საქმესა ითხოვდეს. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: თქუენცა მოელითო შვილთა თქუენთაგან თხოისა სმენად, და უკუეთუ სავენებელი რადმე თავისა მათისად ითხოონ, არა მისცით, ხოლო ჯეროანი რად სათხოელი გთხოიან, უეჭუელად მიანიჭით. ეგრეთვესახედ იქმს ღმერთი, მამად იგი სახიერი და ტკბილი.

ესე სწავლად მარადის გაქუნდინ, ძმაო, გულსა შენსა, და მარადის უმჯობესსა სულისა შენისასა ითხოვდი და, ვიდრემდის მოგეცეს, ნუ დასცხრები ვედრებისაგან; ვიდრემდის ჰპოო, ნუ მოიწყინებ ძიებად; ვიდრემდის განგელოს კარი, ნუ განეყენები რეკისაგან.

უკუეთუ ესევითარითა გონებითა მოუწდე და თხოანი ჯეროანი შესწირნი და სთქუა: ვიდრემდის მომეცეს, არა წარვალ, უეჭუელად მოგეცეს, ესევითარსა რად ითხოვდე, რომელი მას შუენის მოცემად და შენთვის კეთილ არს მოღებად; ესე იგი არს, რადთა პირველად მიუტევენ და შეუნდო ყოველი ბრალი შენდამი შეცოდებულთა და განაგდო შენგან ყოველი ბოროტი გულისსიტყუად და მერმე წარმოუდგე ღმერთსა, განწმედილი რისხვისაგან და გულისსიტყუათა, და განიპყრნე სინმიდითა გულისადათა ჴელნი, განშორებულნი ბრალთაგან, და ითხოო სათხოელი სულიერი ვედრებითა მჭურვალითა და მოუწყინებელითა; მე ვარ თავსმდებ შენდა, ვითარმედ მოგეცეს, რაოდენი ითხოო.

ესრეთ არს, მორწმუნენო, წესი ლოცვისად და თხოათა შეწირვისად. ხოლო ან ვითარ ჩუენ აღვასრულებთ თხოათა შეწირვასა, საცინელ არს და საკიცხელ, და მსგავს ვართ კაცთა მთრვალთა და ცნობამიღებულთა. წარვდგებით სავსენი ძკრის-ჴსენებითა და გულისსიტყუათა ბოროტითა და განვიპყრობთ ჴელთა, შებღალულთა ბევრეულითა ცოდვითა, და ვითხოვთ სათხოელთა არად საჴმართა, გინა თუ მავნებელთაცა ჩუენთა.

დადაცათუ კეთილი რადმე და სულიერი ვითხოით დაჴსნილობით და უდებებით, მიმოტაცებითა გულისადათა და მოწყინებითა ფრიადითა, ამისთვისცა ცარიელნი და სირცხვლეულნი მართლუკუნეიქით.

ან ესე უწყოდე, ძმაო, ვითარმედ: ოდეს ვედრო ღმერთსა და არა მოგეცეს თხოად შენი, ანუ არა მოსწრაფებით და ლმობიერად ჰრეკე კარსა მისსა, ანუ თავი შენი უღირსად გამოაჩინე საქმეთა მიერ და გულისსიტყუათა ბოროტთა, ანუ ადრე განეშორე ვედრებასა და არა სულგრძელებით ვედრე, ანუ არა კეთილი საქმე და სულიერი ითხოე.

ხოლო შენ სთქუა სადმე, ვითარმედ: რად არა გუამცნო, თუ რად თანაგუაც თხოად? გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ზემორე კეთილად და ჴეროვნად განგვნესა, რად-იგი თანაგუაც თხოად, ოდეს ლოცვად იგი „მამაო ჩუენო-სა“ მოგუცა, რომელსა შინა შემოკრიბა ყოველი კეთილი ვედრება.

ამას უკუე ნუმცა ვინ იტყვს, თუ: ვევედრე და არა მომცა, რამეთუ არამოცემად ღმრთისა თანა არა არს, არამედ ჩუენ ვართ მიზეზნი არამოცემი-

სანი პირველთქუმულთა მათ საქმეთა მიერ. ხოლო ღმერთი მდიდარ არს წყალობითა და ქველისმოქმედ მონყალებითა, სახიერი და უხუად მომნიჭებელი, რომელსა ესოდენ უყუარან მონანი მისნი, ვიდრელა სიყუარულსა მას მშობელთასა სძლევს, და ესოდენ სძლევს, რომელ უკუეთუ შესწორებად ვინებოთ ამათისა მის სიყუარულისა და მისისა, იპოოს სიყუარული იგი მშობელთად სიყუარულსა მას თანა ღმრთისასა არარად და უკეთურებისა მსგავსად. ამისთვისცა ესევეთარისა ამის სახისა გამოჩინებისათს თქუა უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „უკუეთუ თქუნ, უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუნთა, რავდენ უფროსლა მამამან თქუნმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!“ (7,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო არა თუ ბუნებასა კაცობრივსა სძაგებს და ამისთვის უკეთურად სახელ-სდებს, არამედ თქსსა მას სახიერებასა თანა სიყუარულსა ჯორციელთა მშობელთასა უკეთურებად სახელ-სდვა. ესოდენ გარდამატებულ არს და აღმაღლებულ დიდადშეუნიერებად იგი და სიმდიდრე კაცთმოყუარებისა მისისა.

იხილეა სიტყუად ჭემმარიტი და შემძლებელი სრულიად სასონარკუეთილისაცა მოყვანებად სასოებისა სიმტკიცედ? ხოლო არიან სხუანიცა აურაცხელნი სახენი მონყალებისა მისისანი. რამეთუ ამას ადგილსა მშობელნი შემოიყვანნა ძლეულნი სახიერებისა მისისაგან, ხოლო ზემორე, ოდეს-იგი თქუა განგებულებათა მისთა სიმდიდრე, და გჳრუნა, ვითარმედ მან მოგუცა სული, მან დაჰბადნა ჯორცნი და ვითარ-იგი თითოსახითა განგებულებითა გკლუნის. ხოლო ამას ყოველსა ზედა თავი იგი კეთილთად არა თქუა, არცა აჳსენა მოსლვად თქსი, რათამცა ეთქუა, ვითარმედ: რომელმან თქუნთს მხოლოდშობილი ძე თქსი სოფლად მოავლინა და სიკუდილად მისცა ბუნებითა მით კაცებისა მისისადათა, ვითარ ყოველივემცა არა მოგცა თქუნ?

ხოლო დაღაცათუ ესე უფალმან არა აჳსენა ამას ადგილსა, რამეთუ არლა აღსრულებულ იყო საიდუმლოდ იგი ჯუარისა, არამედ ჰავლე ღაღადებს და იტყვს: „რომელმან ძესაცა თქსსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ ყოველთათს მისცა იგი, ვითარ უკუე არა მითურთით ყოველივე მოგუანიჭოს ჩუენ?“¹ გარნა მაცხოვარმან არა თქუა ამათგანი, არამედ სხუათა ამათ კაცობრივთა იგავთაგან გულისჴმა-უყოფდა ერსა მას. და ამასცა გამოაჩინებს, ვითარმედ არცა ლოცვასა ხოლო ჯერ-არს სასოებად და სხვთ კერძო უდებებად, არცა კუალად მოსწრაფეთა უჴმს თქსსა მოსწრაფებასა ოდენ მინდობად, არამედ ზეგარდამოსაცა შეწევნისა ძიებად და თავით თქსითცა მოღუანებად. ამისთვის ორსავე ამას სახესა განანესებს: პირველ წარ-

¹რომ. 8,32.

მოთქუა სწავლად ფრიადი და შუენიერი და მერმე ლოცვად განგუნესა; და განანესა რად ლოცვად, კუალად სწავლად კეთილთა საქმეთად შემოილო, კუალად მისგან ლოცვადვე აღგკყვანნა და თქუა: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგელოს“.

ამისგან კუალად სათნოებისა მოქალაქობასა გვბრძანებს და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ყოველი, რომელი გინდეს, რადთა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინანარმეტყუელნი“ (7,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი: მოკლითა სიტყვთა ყოვლადბრძენმან მან მეუფემან ყოველივე ზემოთქუმული სწავლად შემოკრიბა და გკრუნენა, ვითარმედ მოკლედ გზად არს სათნოებად და ყოველთა მიერ საცნაური; რამეთუ თქუა რად, ვითარმედ: „ითხოვდით, და მოგეცეს; ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით, და განგელოს“, მეყსეულად წინამდებარე ესე სიტყუად შესძინა, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ გნებავს თხოათა თქუენთა სასმენელად ღმრთისა მიწვევად და კარისა მის წყალობათადასა განღებად თქუენ წინაშე, პირველთქუმულთა მათ თანა ესეცა დაიმარხეთ და „ყოველივე, რომელი გინდეს, რადთა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ“.

და არა თქუა ესრეთ, ვითარმედ: რადენიცა გნებავს, რადთა გიყოს შენ ღმერთმან, ეგრეთვე შენ ჰყვი მოყუსისა მიმართ, რადთა არა სთქუა, თუ: ვითარ შესაძლებელ არს ესე? რამეთუ იგი ღმერთი არს და მე – კაცი; ამისთვის თქუა: ყოველი, რომელი გინდეს, რადთა გიყოს მოყუსამან შენმან და შენ თანამონამან, ეგრეთვე შენ ჰყვი მოყუსისა მიმართ. რამცა იყო ამისა უსუბუქეს ანუ უჭეშმარიტეს და უსამართლეს? ამისთვისცა ისმინე, რაბამი ქებად თქუა ამის წესისა: „ესრეთ არსო შჯული და წინანარმეტყუელნი“. ამისთვისცა საცნაურ არს, ვითარმედ სათნოებათა თვსებად დიდი აქუს ჩუენდა მომართ, და ბუნებითი არიან ჩუენ თანა, და ყოველნი მეცნიერ ვართ კეთილისა, და ვერვინ დასდებს მიზეზსა უმეცრებისასა. ხოლო ან ვისმინოთ შემდგომიცა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „შევედით იწროსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზად, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედ არიან მავალნი მას შინა“ (7,13-14).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარ უკუე სხუასა ადგილსა იტყვს უფალი, ვითარმედ: „უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტკრთი ჩემი მცირე არს“, და აწ იწრო და საჭირველ უწოდა გზასა მას ცხოვრებისასა? ხოლო ორივე ესე ჭეშმარიტ არს, რამეთუ ტკბილ არს უღელი მისი და ტკრთი – მცირე სასობისა მისთვის მერმეთა მათ კეთილთადასა; რომელთა თუალნი გონებისანი ახილულ იყვნენ და მოელოდინ სასუფეველსა მას ცათასა და საშუებელსა

მას დაუსრულებელსა და ხილვასა პირისა ღმრთისასა, მათ ყოველივე ჭირი წარმავალი სუბუქ და ადვილად უჩნს; ესრეთ უკუე ტკბილ არს უღელი მისი და ტკრთი – მცირე. ხოლო რომელთა გონებანი ჯერეთ ზრქელ იყვნენ და მძლავრებანი ვნებათანი ჰბრძოდინ და ვერ ეძლოს განცხადებულთა თუა-ლითა განცდად დიდებასა ღმრთისასა, მათთვის იწრო არს ბჭე იგი სათნოე-ბათად და გზად იგი – საჭირო, არა მისისა მის ბუნებისაგან, არამედ ჩუენისა უგულისწმოებისაგან. ხოლო უკუეთუ ვინებოთ გულისწმის-ყოფად, ვიხი-ლოთ საჭიროდ იგი გზად ფრიად სუბუქ და ადვილ. თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არს სიტყუად ესე? ვითარ იტყვ, თუ იწროდ იგი და საჭიროდ ადვილ არს? ჰე, ეგრეთ არს ჭეშმარიტად, და ესე ესრეთ გულისწმა-ყავ: იწროდ ესე და საჭიროდ ბჭე არს და გზად; და ეგრეთვე ფართოდ იგი და ვრცელი ბჭევე არს და გზად; ესე იწროდ შეიყვანებს ფართობასა მას საუკუნოდას ცხორებისა-სა, და იგი ვრცელი მიიყვანებს იწროებასა ჯოჯოხეთისასა. ხოლო ბჭე და გზად ვითარცა იყოს, გინა თუ ვრცელი, გინა თუ იწროდ, დაუდგრომელი არს საქმე მისი და წარმავალი. რამეთუ იხილე, თუ რაოდენი ჟამი ვის ეჭმარების შესლვასა ბჭისასა, არა მეყსა შინა წარჰვლისა, გინა თუ იწროდ იყოს, გინა თუ ფართოდ? ეგრეთვე მგზავრმან მსწრაფლ წარჰვლის გზად და დაივიწყის.

ამისთვისცა არავინ უფალმან გონებისამან იწროდასა ბჭისათვს დაუტე-ვის სავანე კეთილი და შუენიერი და სავსე ფრიადითა დიდებითა და აღირ-ჩიის კარისა მიერ ფართოდასა შესლვად სავანესა საძაგელსა და სავსესა მრავლითა ბოროტითა.

ან უკუე ვინაფგან ორივე ბჭე არს და გზად, – ერთი იგი იწროდ არს და შეიყვანებს ცხორებად, და მეორე ვრცელ არს და შეიყვანებს წარწყმე-დად, – რომელი არს ჭეშმარიტად ადვილ და სანადელ: იწროდასა მიერ ბჭისა შესლვად სასუფეველად ანუ ფართოდასა მიერ შესლვად ჯოჯოხეთად? ჰე, ჭეშმარიტად უადვილეს არს იწროდასა მიერ შესლვად ფართობად, ვიდრედა ფართოდასა მიერ შესლვად იწროებად.

ესერა წინამდებარე არიან ჩუენდა ორნი სავანენი: ერთი იგი არს ქა-ლაქი მეუფისა დიდისა, რომლისათვს იტყოდა წინაწარმეტყუელი: „დი-დებული ითქუა შენთვის, ქალაქო ღმრთისაო, რადთა მხიარულ იყვნენ ყო-ველნი, რომელთა მკვდრობად მათი შენ შორის არს“;¹ და კუალად იტყოდა: „უფალო, შევიყუარე შუენიერებად სახლისა შენისა და ადგილი წმიდად, საყოფელი დიდებისა შენისა“;² „რამეთუ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო ძლიერო და ცხოელო. ოდეს-მე მივიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთი-სასა? ხოლო მე ესე მოვიწსენე და ნუგეშინის-ვეც სულსა ჩემსა, რამეთუ განვლო მე ადგილი საყოფელი საკრველი სახლსა ღმრთისასა“.³ მუნ არს ჴმად გალობისა და აღსარებისა, ჴმად ზატიკობისა მის საუკუნოდას, მუნ არს ნათელი და სიხარული დაუსრულებელი და ხილვად პირისა ღმრთისა,

¹ შდრ. ფსალმ. 86,3,7.

² ფსალმ. 25,8.

³ ფსალმ. 41,3,5.

რომელ-ესე უაღრესი არს და უზემთაესი ყოველთა მათ კეთილთა და საშუალებლთა სასუფეველისათა.

ამის სავანისათს იტყოდა მოციქული, ვითარმედ: „მსურის წარსლვად და ქრისტეს თანა ყოფად, რამეთუ მაქუს ჩუენ აღშენებული ღმრთისა მიერ სახლი ჴელითუქმნელი, საუკუნე ცათა შინა; რამეთუ ამისთს ვკუნესით, საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსად გუსურის“.¹

ამის სავანისათს ეტყოდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე: „მამაო, რომელნი მომცენ მე, მნებავს, რადთა სადაცა მე ვიყო, იგინიცა იყვნენ ჩემ თანა, რადთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა“.² ამისთს ეტყვს მეუფე მარჯუენითთა მათ: „მოედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთს სასუფეველი“.³ ხოლო ამის დიდებულისა და სანადელისა სავანისა ბჭე ინროდ არს.

არს კუალად მეორე იგი სავანე, სადა არს ბნელი იგი წყუდიადი და ცეცხლი უშრეტი, მატლი დაუძინებელი და ტარტაროზი ქუესკნელისა და განშორება პირისაგან ღმრთისა. ხოლო კარი სავანისა მის ბოროტისა ვრცელ არს და ფართო.

ან უკუე რად სიძნელე არს შესლვად ბჭისა მისგან ინროდსა და პოვნად ზემოთქუემულისა მის დიდებულისა სავანისა და დამკვდრება მას შინა საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა? ანუ რად სიადვილე არს შესლვად ბჭესა ფართოსა და დამკვდრება მეორესა მას სავანესა, არა ჩუენთს განმზადებულსა, არამედ ეშმაკისათს და მსახურთა მისთათს?

არა ჯერ-არს უკუე, ძმანო, წუთერთისა ამის ინროებისათს გარემიქცევა ინროდსა მისგან ბჭისა და საჭიროდსა გზისა, მიმყვანებელისა ცხორებად საუკუნოდ; რამეთუ ორკერძო არს სიადვილე კეთილისა მის გზისა სათნოებათადას: ერთად, რომელ ოფლნი და შრომანი მისნი წუთერთ არიან და წარმავალ, და მეორედ, რომელ აღსასრული მისი ცხორებად არს საუკუნოდ, რომელ-ესე დიდი ნუგეშინის-ცემად არს მოლუანეთად.

ან უკუე წუთერთობად იგი შრომათად და დაუსრულებლობად გკრგვნთად და რომელ პირველად შრომად არს და შემდგომად განსუენებად სამარადისოდ, დიდად აღმასუბუქებელ არიან შრომისა მის. ამისთსცა ნეტარმან პავლე ჭირსა მას სათნოებათასა მცირედ და სუბუქად სახელ-სდვა კეთილისა მისთს ნებისა მოლუანეთადასა და სასოებისა მისთს მერმეთა კეთილთადასა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „სანუთროდ ესე მცირე ჭირი ჩუენი გარდარეულსა დიდებასა შეიქმს ჩუენთს, რამეთუ არა ვხედავთ ჩუენ ხილულსა მას, არამედ არახილულსა; რამეთუ ხილული ესე სანუთროდ არს, ხოლო არახილული იგი საუკუნე არს“.⁴

და ჭემარითად ესე ესრეთ არს, რომელსა შინა არა არს ცილობად, არცა იჭვ. ან უკუე გულისწმა-ვყოთ, უკუეთუ მენავეთა ღელვანი ზღუათანი

¹ შდრ. 2 კორ. 5,1-2.

² იოან. 17,24.

³ მათ. 25,34.

⁴ 2 კორ. 4,17.

და სიმძაფრენი ნიავექართანი, და მწედართა წყლულებანი და სიკუდილნი, და მუშაკთა ნეფხვანი და ზამთარნი, და თეატრონისა მბრძოლთა დაბძარვანი ჯორცთა მათთანი ადვილ უჩნს და სუბუქ სასოებისა მისთჳს ნიჭთა და პატივთა მეფისა ამის მოკუდავისათა, გინა ნაყოფათჳს განხრწნადთა, გინა საფასეთათჳს წარმავალთა, რამეთუ ამათ ყოველთა ნაცვალი შრომათა და ჭირთა მათთად სანუთრო არს და წარმავალ, რავდენ უმეტესად სათნოებისა მუშაკთა და მოსაგრეთა ზეცისა მეუფისათა უჭმს არარად შერაცხვად შრომათა და ოფლთა ამათ მცირედ ჟამისათა, ვინადთგან იციან, ვითარმედ მოსაგებელად მათდა განწესებულ არს სასუფეველი ცათად და კეთილნი იგი მიუთხრობელნი და ნიჭნი წარუვალნი.

ხოლო უკუეთუ ამას ყოველსა ზედა ჯერეთ საჭირო ვიეთმე უჩნს კეთილი იგი და სანატრელი გზად და სანყინო, მათისა მის დაწსნილობისა და ჯორცთმოყუარებისაგან არს იჭჳ ესე.

ხოლო ესე მეზრ რომელ იწროდ სახელ-სდვა უფალმან გზასა მას, დიდად განაადვილებს სიძნელესა მისსა, რამეთუ განაფრთხოზს ამით სიტყვთა გონებასა მსმენელთასა, ვითარცა-იგი პავლე იტყოდა რად, ვითარმედ: „არა არს ბრძოლა ჩუენი ჯორცთა მიმართ და სისხლთა“;¹ არა თუ ამისთჳს თქუა, რადთა დაჰწსნნეს გონებანი სულიერთა მათ მწედართანი, არამედ რადთა განაღჳძნეს და საღმრთოდ იგი ყოვლადსაჭურველი შეჰმოსოს. ეგრეთვე – უფალი ჩუენი და მეუფე; ამათ სიტყუათა მიერ განკრძალვად და განფრთხოზად ენება მოგზაურთად მათ სამეუფოდსა გზისათა, ამისთჳს იწროდ და საჭიროდ სახელ-სდვა ბჭესა მას და გზასა ცხოვრებისასა, და არა ესე ოდენ თქუა განსაკრძალველად მათდა, არამედ სხუასაცა სახესა კრძალვისასა შემოიღებს ქუემორე და უჩუენებს, ვითარმედ მრავალნი არიან მბრძოლ და დამაბრკოლებელ, უხილავნიცა და ხილულნი, გარნა ამას ყოველსა ზედა შენ ნუ საჭიროსა მას მისსა და იწროებასა ჰხედავ, არამედ აღსასრული მისი იხილე, თუ სადა მიმყვანებელ არს, რამეთუ აღსასრული მისი ცხოვრებად საუკუნოდ არს; ნუცა კუალად წინააღმდეგომისა მის გზისა სივრცესა და ფართოებასა განიცდი, არამედ აღსასრული მისი გულისწმა-ყავ, წარსანყმედელი იგი ჯოჯოხეთისად.

ხოლო სხუასაცა ადგილსა თქუა, ვითარმედ: „რომელნი იიძულებდენ, მათ მოიტაცონ სასუფეველი ცათად“.² და ესე ყოველი ამისთჳს შორის შემოიღო, რადთა გულსმოდგინებად ჩუენი განაძლიეროს, რამეთუ ყოველმან მწედარმან იხილის რად, ვითარმედ მეფე ბრძოლასა მისსა ხედავს და განიცდის, გულსმოდგინედ შევალნ და ეწყებინ მბრძოლთა და არა ჰრიდის მახვლსა, არცა წყლულებასა.

ან უკუე ჩუენცა, ძმანო, გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ მეუფე ჩუენი, სახიერი იგი და ტკბილი, ყოველსავე ჭირსა და შრომასა ჩუენსა ხედავს და

¹ეფეს. 6,12.

²მათ. 11,12.

განიცდის და აღსწერს ცათა შინა. ნუმცა უკუე მწუხარე ვართ, ნუცა – მო-
შოშ და მოწყინე ინროებასა მას შინა და შრომასა ღმრთისმსახურებისასა;
რამეთუ დაღაცათუ „ინრო არს ბჭე და საჭირველ გზად“, არამედ ქალაქი
იგი, რომელსა შემავალ ვართ, ვრცელ არს და კეთილ და შუენიერ. ამისთვის
ნუცა გზასა ზედა ვეძიებთ განსუენებასა და შუებასა, ნუცა ქალაქსა მას ში-
ნა მოველით რას შრომასა ანუ ჭირსა, რამეთუ რომელნი ღირს იქმნენ მუნ
შესლვად, ვერ შესაძლებელ არს მოგონებად ანუ თქუმად, რაბამი აქუს შუ-
ებად, რაბამი დიდებად, რაბამი სიხარული, და ყოველივე იგი საუკუნე არს
და დაუსრულებელ, განუძღომელ და სამარადისო.

მათ კეთილთა ეტრფიალნეს წმიდანი მონამენი და არად შეჰრაცხეს
სოფელი ესე და საქმენი მისნი, არცა ჰრიდეს ჯორცთა თვსთა, არამედ მის-
ცნეს იგინი ცეცხლსა და მახვლსა და მწეცთა და ზღუასა და ძვრ-ძვრთა
მათ სიკუდილთა. და იხილელა საქმე მათი, ყოველივე სოფელი ნივთი-
თურთ მისით მბრძოლად აღუდგინნა ეშმაკმან: მეფენი და მთავარნი, კაც-
ნი და მწეცნი, ცეცხლი და წყალი, ქუეყანად და ჰაერი, შიმშილი და წყუ-
რილი, ნეფხვანი და ყინელნი, მახვლნი თითოსახენი, დუღილნი სიავთანი,
სიმძაფრენი ურმისთუალთანი, ძელნი აღმართებულნი და ლანძუნი გან-
ჯურვებულნი, ორღანონი იგი ნასხმანთა დამწსნელნი, სახუეტელნი გუ-
ერდთანი და დაჭედანი ტერფთანი, სიმძიმე ბორკილებისა და ჯუნდები-
სა, სიმყრალე დილეგისა და ორმოებისა, საგუმელნი შოლტებისა და
არგნებისანი, საშრიალნი კაპანთა და პარეხთანი, წყუდიადნი საყოფელთა
საჭირვებელთანი, კრულებით სლვანი ქუეყანითი ქუეყანად და სოფლითი
სოფლადნი, მოწყუედანი შვილთაგან და მშობელთა და მეუღლეთანი, კიც-
ხევანი და ბასრობანი და შეურაცხებანი შეურაცხთაგანნი, – და ყოვლით
კერძო იძლია მათისა მის დიდისა ახოვნებისაგან. და რაღლა-მე ვთქუა, რა-
მეთუ მოუძღურდების ენად ღუანლთა და ჭირთა მათთა სიმრავლისა და
სიფიცხისა მითხრობად, არამედ სასოებითა საუკუნეთა მათ კეთილთადათა
და სიყუარულითა მეუფისა მის უკუდავისადათა სიხარულით და უცონელად
წარვლეს საჭიროდ იგი გზად და შევიდეს ინროდსა მის მიერ ბჭისა სივრცესა
მას სასუფეველისასა.

ნეტარ არიან იგინი და სამგზის სანატრელ, რამეთუ ჭირითა მცირედ
ჟამითა მოიყიდეს დიდება წარუვალი, მისცეს სანუთროდ და მოიყიდეს სა-
უკუნოდ, მისცნეს ჯორცნი და სული აცხოვნეს, მცირედითა სისხლითა სა-
სუფეველი ცათად მოიყიდეს; ეჰა ვაჭრობად გონიერი! ეჰა ცვალებად ესე
შეუმსგავსებელი!

ეგრეთვე კულად ღმერთშემოსილთა მამათა მათივე გზად და ღუან-
ლი შეიშურვეს და მსწრაფლმსრბოლ იქმნეს ინროდსა მის და საჭიროდსა
გზისა; ყოველივე სოფელი უარ-ყვეს საქმითურთ მისით და გულისთქუმით,
მოაკუდინეს ჯორცნი ყოველთა ვნებათა თანა მისთა, და ესენიცა ახოვნად
ენყვნეს ბოროტსა მას მძლავრსა, სოფლისმპყრობელსა მას ბნელისასა. იქ-

ცეოდეს შიშუელნი, მშიერნი და წყურიელნი, „ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძკრხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცთომილნი, მათა და ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა“.¹ და ესრეთ პოეს მათ გზად იგი ცხორებისად და კარი სასუფეველისად. მცირედითა შრომითა ყოველნივე საუკუნენი საშუებლად მოიყიდნეს და ათასწილად მოიღეს სასყიდელი შრომათა მათთად ღმრთისა მიერ.

ვინ არა სურვიელ იყოს, ანუ ვინ არა ჰბაძვიდეს კეთილსა მას და გონიერსა ვაჭრობასა მათსა? ჭეშმარიტად ინროფსაგან ბჭისა შევიდეს ცხორებად საუკუნოდ.

არამედ ეჰა უბადრუკებად მრავალთად, ეჰა უგუნურებად და სიცოფე! ვითარ აღირჩევენ ბჭესა მას და გზასა ვრცელსა, რადთა ნუთერთ ფართოებასა შინა იყვნენ და საუკუნოდ – ინროებასა. ხოლო ჩუენ ნუმცა ვჰბაძავთ ვერაგობასა მას მრავალთასა, ნუცა გუნადის ნარმავალი ესე და ცუდი ფართოებად, არამედ მცირედნი იგი შევიყუარნეთ, საჭიროფსა მის გზისა მავალნი, და მათსა მას სიბრძნესა და გონიერებასა მივემსგავსნეთ და ყოვლითურთ შემოვიკრიბნეთ გონებანი ჩუენნი შესლვად ინროსა მას ბჭესა ცხორებისასა, რამეთუ არა ხოლო თუ ინროდ არს ბჭე მცირედ ჟამითა ამით ინროებითა, და გზად – საჭირველ, არამედ დამაბრკოლებელნიცა მრავალნი ჰქონან; ამისთვისცა შესძინა და თქუა უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ეკრძალენით ცრუნინანარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართაფთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (7,15).

თ ა რ გ მ ა ნ ი: აჰა ესერა ზემოწსენებულთა მათ თანა ძალთა და ღორთა სხუაფცა სახე წინააღმდეგომთად გუაუნყა, ფრიად მათსა უძკრესი, რამეთუ მათი განცხადებული არს ბრძოლად, ხოლო ამათი – დაფარული; ამისთვის მათგან განყენებად ბრძანა, ხოლო ამათგან – დიდად კრძალვად და გონიერად რიდობად. და ცრუნინანარმეტყუელად სახელ-სდვა, რადთა მოაწსენოს, ვითარმედ პირველ მათსაცა ყოფილ არიან ესევითარნი, და არა ფრიად შეშინდეს, ესმას რად, ვითარმედ ინროფსა და საჭიროფსა გზისა სლვად წინაუც და ესოდენნი წინააღმდეგომნი ებრძვიან. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ნუ სულმოკლე ხართ და მოშიშ, რამეთუ არა თქუენ ზედა ოდენ იქმნების ესე, არამედ პირველთაცა წინანარმეტყუელთა ზე იყვნეს ცრუნინანარმეტყუელნი და სხუანი ბევრეულნი განსაცდელნი; რამეთუ მარადის ეშმაკი მბრძოლი არს ჭეშმარიტებისად, პირველითგან ვიდრე აღსასრულადმდე.

ხოლო ცრუნინანარმეტყუელად აქა არა მწვალეებულთა ოდენ მოასწავებს, არამედ მათცა, რომელნი საქმეთა ბოროტთა მოქმედნი იყვნენ და

¹ებრ. 11,37-38.

სატნობასა იჩემებდენ, რომელთაცა მრავალნი მაუცრად სახელ-სდებენ. ამისთვისცა თქუა ესრეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი**“ (7,16).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს, ვითარმედ დაღაცათუ იჩემებდენ სატნობასა, არამედ ამისთვის განვანესე ინროებად გზისად მის, რადთა მაუცართა მათ ემხილოს, რამეთუ ვერ ძალ-უც მრავალ ჟამ ჩემებად კეთილთა საქმეთად, ოდეს შინაგან ბოროტითა სავსე იყვნენ; რამეთუ ვინაჲთგან მცირედნი არიან ჭეშმარიტებით მავალნი მის გზისანი, ნუ მათ ჰბაძავთ, რომელნი ორგულებით ვიდოდინ, არამედ ჭეშმარიტებით მავალთა მიემსგავსენით.

ხოლო არა თქუა, თუ: ტანჯენით ესევეითარნი იგი, არამედ: ეკრძალენით ოდენ თავთა თქუნთა, – რადთა თქსი სახიერებაჲ აქაცა გამოაჩინოს.

ხოლო რადთა არა თქუან, თუ: ვითარ განვარჩინეთ იგინი სხუათაგან? ამისთვის სახე შემოილო კაცობრივი, მიმსგავსებული საქმესა ამას ნინამდებარესა, და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**ნუჟუჟე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროდსთავთაგან ლედჳ? ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღის. ვერ ჳელ-ენიფების ხესა კეთილსა ნაყოფი ხენეში გამოიღებად, და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად**“ (7,16-18).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო სიტყუად ესე ესრეთ არს, ვითარმედ: ნუ ტყავსა მას ცხოვრისასა განიცდით, არამედ ძალი საქმეთა მათთად იხილეთ და ნაყოფთა მათთაგან იცნნით იგინი, რამეთუ ბოროტმან ნაყოფი კეთილი ვერ გამოიღის, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „ზრახვად იგი ჳორცთად სიკუდილ არს, რამეთუ რჩულსა მას ღმრთისასა ვერ დაემორჩილების, ვერცა ძალ-უც“.¹

ეგრეთვე უფალი აქა გულისჳმა-გვყოფს, რადთა არავინ თქუას, თუ: ხენეშმან ხემან ნაყოფი ხენეში გამოიღის, არამედ ოდესვე კეთილიცა გამოიღის. ამისთვის უფალი ორგზის შეჳკეცს სიტყუასა მას და იტყვს, ვითარმედ: არა ესრეთ არს, არამედ მარადის ხე ხენეში ნაყოფსაცა ხენეშსა გამოიღებს და კეთილისა გამოიღებად ვერ ჳელ-ენიფების, ვითარცა-იგი კეთილმან ხემან არაოდეს ყვის ნაყოფი ხენეში.

ხოლო იტყვან ვითენიმე, ვითარმედ: არა მრავალგზის კაცი კეთილი მიიქცისა ბოროტისა მიმართ, და კუალად ბოროტი მოიქცის და იქმნის კეთილ? რამეთუ მრავალნი იპოებიან სოფელსა შინა სახენი ამის საქმისანი. არამედ ესე ესრეთ გულისჳმა-ყავთ, ვითარმედ ქრისტე არა თუ ამას იტყვს, თუ: შეუძლებელ არს, რადთამცა ბოროტი მოიქცა კეთილისა მომართ, ანუ

¹ შდრ. რომ. 8,6-7.

კეთილიმცა მიიქცა ბოროტისა, – არა ამას იტყვს, არამედ ესრეთ გულის-
წმა-გკყოფს, ვითარმედ მას ჟამსა, ვიდრელა სიბოროტესა შინა იყოს, კე-
თილისა ნაყოფისა გამოღებად ვერ ჴელ-ენიფების, ხოლო მოქცევად ბო-
როტისაგან კეთილისა ჴელ-ენიფების. უკუეთუ კულა უკეთურებასა შინა
ეგოს, ნაყოფსა კეთილსა ვერ გამოიღებს, ვერცა კეთილი კაცი ნაყოფსა
ხენეშსა იქმს.

და ვითარ დავით კეთილი იყო და ნაყოფი ხენეში გამოიღო – მრუ-
შებად და კაცის-კლვად? არა თუ სიკეთესა თქსსა ეგო და ესრეთ ყო ნაყო-
ფი იგი ხენეში, – ნუ იყოფინ! – არამედ შეიცვალა სიკეთისაგან და ესრეთ
გამოიღო ნაყოფი იგი ხენეში. ხოლო უკუეთუმცა დადგრომილ იყო თქსსა
მას სიკეთესა, ვითარ მარადის არნ, იგიმცა ნაყოფი ვერ გამოეღო, არამედ
დააკლდა სიკეთესა მას სათნოებისასა და ამისთვის ყო ნაყოფი ცოდვისაჲ;
კუალად განიფრთხო და თქსსავე სიკეთესა აღვიდა და მერმე გამოიღო ნა-
ყოფი სინანულისაჲ.

ეგრეთ არს ყოველი კაცი: ვიდრემდის კეთილსა შინა იყოს, ბოროტსა
ვერ იქმს, ვერცა ბოროტი სიბოროტესა შინა თქსსა კეთილსა გამოიღებს
ნაყოფსა, უკუეთუ არა შეცვალოს გონებად თქსი.

ამისთვის ესრეთ კეთილად და განჩინებით თქუა უფალმან, რაჲთა არა
გარეშესა წესსა ვხედვიდეთ, არამედ შინაგანი საქმეთა მიერ განვიცადოთ
და ნაყოფთა მათთაგან ვიცნნეთ იგინი.

ხოლო ვინაჲთგან ტანჯვად და გუემად ესევითართად მათ არა გკბრძანა,
ამისთვის, რაჲთა მათცა ეშინოდის და ღმრთისმსახურთაცა ნუგეშინის-ცე-
მად აქუნდეს, გამოაჩინებს, ვითარსა საშჯელსა მიეცემიან მოქმედნი ბო-
როტისანი, და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთი-
ლი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“
(7,19-20).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, ვითარ არა კმა არს სარწმუნოებაჲ, არამედ
საქმენი კეთილნიცა ჯერ-არიან მოგებად? რამეთუ რომელმან არა გა-
მოიღოს ნაყოფი სათნოებისაჲ, მოეკუეთების და ცეცხლსა დაედების.
და კუალად ესეცა გულისწმა-ყავ, ვითარმედ სასწაულად მართლმორ-
წმუნეობისა სათნოდ მოქალაქობად განანესა და თქუა: „ნაყოფთა მათ-
თაგან იცნნეთ იგინი“. უკუეთუ ჭემმარიტად სათნონი იყვნენ, არა და-
იფარვის საქმე მათი, არამედ საცნაურ იქმნას. ხოლო სიტყუათა ამათ
მიერ უნაყოფობადცა ჰურიათად გამოსახა, რომელთა ვერსადა გამოი-
ღეს ნაყოფი რაჲმე კეთილი. ამისთვისცა სიტყუანი იოვანესნი ავსენნა,
რამეთუ იგიცა ამითვე წესითა ეტყოდა მათ, რაჲამს შემოიღო სახედ სა-
ხელი იგი ცულისაჲ და მოკუეთად ხისა მის უნაყოფოჲსაჲ და დადებად
ცეცხლსა უშრეტსა.

სწავლაჲ კბ

ვითარმედ უმძიმეს ჯოჯოხეთისა არს გამოვრდომად იგი სასუფეველისაგან, და ვითარმედ კეთილნი საქმენი უადრესად ბრწყინვალე-ჰყოფენ კაცსა, ვიდრე დიდება სოფლისაჲ

გულისჴმა-ვყოთ უკუე, მორწმუნენო, და ვისწრაფოთ გამოღებად ნა-ყოფისა კეთილისა, რადთა არა შთავცკვეთ ცეცხლსა მას საუკუნესა. რამეთუ საგონებელ არს, თუ შთავრდომად ცეცხლსა მას გეჴენისასა ერთი ოდენ სატანჯველი არს, ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: უკუეთუ ვინ გულის-ჴმა-ყოს, პოოს ორი სატანჯველი ამას შინა; რამეთუ რომელი ცეცხლად მიეცემის, პირველად სატანჯველად მისა არს გამოვრდომად სასუფეველი-საგან და მეორედ – შთავრდომად ცეცხლსა.

ხოლო გამოვრდომად იგი სასუფეველისაგან ფრიად უმძიმეს და უმ-ნარეს არს გეჴენისასა მას ცეცხლისასა; და ვიცი, ვითარმედ მრავალთა გე-ჴენისაგან უმეტესად ეშინის, ხოლო მე გამოვრდომად დიდებისა მისგან ფრიად უმნარეს მიჩნს სატანჯველსა მას გეჴენისასა. დაღაცათუ ვერ შემძლებელ ვარ სიტყვთ გამოჩინებაჲ ამის საქმისაჲ, არა საკრველ არს, რამეთუ არა უწყით ნეტარებაჲ იგი მიუთხრობელთა მათ კეთილთაჲ და ამისთვის ვერ გულისჴმა-ვჴყოფთ სიმნარესა მას და უბადრუკებასა მათგან განვრდომისასა.

ხოლო პავლე და მსგავსთა მისთა იცოდეს, ვითარმედ დაკლებაჲ დი-დებისა მისგან საუკუნოჲსა უძკრეს არს ყოვლისა სატანჯველისა; გარნა მეშინის, თუ მაშინ ვცნათ სიმნარე და სიმძიმე ამის სატანჯველისაჲ, ოდეს თავით თჴსით შთავცკვეთ მას შინა.

არამედ გევედრები, მხოლოდშობილო ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, და შეგივრდები, სახიერო და მონყალეო, ნუმცასადა გვხილავს გემოჲ აურაც-ხელისა ამის და სასტიკისა სატანჯველისა, რამეთუ სიმნარისა და სიძნე-ლისა მისისა სიტყვთ გამოჩინებაჲ შეუძლებელ არს. და ესე ესრეთ გულის-ჴმა-ყავთ, რაოდენ შემძლებელ არს კაცად-კაცადი გულისჴმის-ყოფად: გა-მოვსახოთ გონებათა ჩუენთა ჳაბუკი ვინმე შეუენიერი, რომლისა სიკეთისა არა არნ დასასრულ, არცა იპოებინ ვინ მსგავსი მისი. და აჴუნ მას სიჴველე და ახოვნებაჲ, შეუმსგავსებელი ყოვლისა სოფლისაგან, და შემკობილ არნ სიბრძნითა უფროჲს ყოველთა ძეთა კაცთაჲსა; და ყოველივე სათნოებაჲ ესოდენ არნ მის თანა, რომელ არცა თუ ერთი ვის კეთილთაგანი ძალ-ედ-ვის მოგებაჲ მსგავსად მისა, არა თუმცა ყოველთა მათ ქველისსაჴმეთა მისთა ვის ძალ-ედვა ბაძვად.

ხოლო კეთილთა მათ თანა ესოდენთა აჴუნ მას მეუფებაჲცა ყოვლისა-ვე სოფლისაჲ, და დიდებაჲ მისი აღემატის უფროჲს ძეთა კაცთასა. ხოლო სიკეთისა მის და შეუენიერებისა მისისათჴს, ახოვნებისა და სიჴველისა და გარდამატებულია მის პატიოსნებისა და უხუებისა და დიდადშუენიერისა

მეუფებისა მისისათვის ბუნებითთა სიყუარულითა შეიყუარის იგი ყოველ-
მან კაცმან, ვითარცა ვის უყუარნ თავი თვისი.

მოვიგონოთ უკუე, ვითარმედ ამის ესევითარისა კეთილისა, სახიერისა
და დიდებულისა ჭაბუკისაჲ მამამცა იყო და ხედვიდა მისსამცა ყოვლითა
კეთილითა შემკულობასა, რადმცა არა ინება მან თავს-დებად, რადამცა
არა დააკლდა მისსა ხილვასა, ვინაფთგან თვთცა ბუნებითთა სიყუარუ-
ლითა შეპყრობილ არნ მისა მიმართ და მისი იგი დიდადშუენიერებაჲ და
აღმატებული დიდებაჲ ბუნებითსა სიყუარულსა მრავალწილად განამრავ-
ლებდეს. რომელიმცა შრომაჲ, რომელიმცა ჭირი არა აღირჩია მან მოთმი-
ნებაჲ სამარადისოდ ხილვისათვის ესევითარისა მის შვილისა და მარადის
თანასუფევად მისისა მის მეუფებისა და დიდებისა.

ეგრეთვე უკუე საუკუნისა მისთვის დიდებისა გულისწმა-ვყოთ; რამეთუ
ამისთვის მამაჲ ვაწკენე და ძე ესევითარი გამოვსახე, რომელ უმეტეს არს
ყოველთავე სიყუარულითა ბუნებითთა მამისაჲ შვილისა მიმართ სოფელსა
ამას შინა, და უფროსად, ოდეს ესევითარი კეთილი და საყუარელი შვილი
იპოს. გარნა არარაჲ იპოების სახე მსგავსი სოფლისა საქმეთაგან მერმისა
მისთვის საუკუნისა, არამედ მცირედისაგან შემსგავსებისა მოვალთ გულის-
წმის-ყოფად უხილავთა მათ.

ან უკუე რომელიმცა საყუარელი და სანადელი შვილი იყო ესრეთ სა-
სურველ, ვითარ დიდებისა მის საუკუნოსა და კეთილთა მათ მოუგონე-
ბელთა დამკვდრებაჲ და ყოფად ქრისტეს თანა, ტკბილისა მის და სახიე-
რისა მეუფისა, რომლისა დიდადშუენიერებაჲ აღმაღლებულ არს უფროს
ზესკნელ ცათა და დიდებაჲ მისი თუალთშეუდგამ არს ყოველთავე ზეცისა
ძალთაგან; რადმცა იყო უსანადელეს, რადმცა იყო უსასურველეს მის წინაშე
ყოფასა და პირისა მისისა სიხარულით და კადნიერებით ხილვასა?

ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ მწარე არს და მოუთმენელ ცეცხლი იგი გე-
ჰენისაჲ და სხუანი იგი სატანჯველნი, გარნა დაღაცათუ ბევრეულნი ვინ
გეჰენიანი თქუნეს, ვერ შეასწორებს სასტიკებასა მას და სიმწარესა მის
მწუხარებისა და ჭირისასა, ოდეს განვვარდეთ სანატრელისა მის დიდები-
საგან; ოდეს მოძულეებულ ვიქმნეთ ქრისტესგან; ოდეს გუესმას, ვითარმედ:
„არა გიცნი თქუნენ“;¹ ოდეს გურქუას, ვითარმედ: „მშოოდა, და არა მეცით
მე ჭამადი“;² და სხუად ესევითარი; რამეთუ უმოლხინეს არს ბევრეულთა
სატანჯველთა შთავრდომად, ვიდრელა სახიერისა მის პირისა გარემიქცე-
ვად ჩუენგან და თუალისა მის ტკბილისაჲ არა მოხედვად ჩუენ ზედა. და
ესე ესრეთ გულისწმა-ვყოთ: უკუეთუ თავადმან ესოდენ შემყუარნა ჩუენ,
განდგომილნი ესე და მტერქმნულნი, ვიდრელა თავსაცა თვისსა არა ჰრი-
და, არამედ მისცა სიკუდილად, რადთა მომიძინეს წარწყმედილნი ესე და
შეცთომილნი მათა ზედა და უღალთა, შემკრიბნეს წყალობით, ოდეს ჩუენ

¹ მათ. 7,23 ; 25,12.

² მათ. 25,42.

ამას ყოველსა ზედა ვიხილოთ იგი მშვიერი და არცა თუ პური მიუპყრათ, რომლითადა თუალითა ვიკადროთ მერმე ხილვად მისა?

ხოლო გულისწმა-ყავ მისი იგი სახიერებად სიტყუათა მათგანცა, რომელთა ეტყვს მარცხენით მდგომარეთა მათ, რამეთუ არა წარმოიტყვს ქველისმოქმედებათა მისთა სიმრავლესა, არცა შემოიღებს შორის ყოველთა მათ კეთილთა მისთა და იტყვს, ვითარმედ: ეჰა, უბადრუკნო და სანყალობელნო, ვითარ უგულუბელს-მყავთ მე, რომელმან ესოდენი კეთილი გიყავ თქუენ, რომელმან არაარსისაგან არსად მოგიყვანენ, სული პირმეტყუელი მოგეც თქუენ, მთავრად სოფლისა დაგადგინენ; თქუენთს შევექმენ ცაჲ და ქუეყანაჲ და ზღუანი, ჰაერნი და ყოველნივე ნივთნი სოფლისანი და ამათ ყოველთა მეუფედ განგანესენ, და მერმე ურჩებითა მით თქუენითა და ლირბობითა განჰვარდით საშუებლისა მისგან, რომელი მიგეც. კუალად არავე უგულუბელს-გყვენ, არამედ მოვედ ძიებად და თქუენთს თავს-ვისხენ გინებანი და შეურაცხებანი; მონათა თანა შევირაცხე; თავს-ვიდევე ნერწყუაჲ და ყურიმლის-ცემად, გუემად და კიცხევაჲ, ჯუარ-ცუმაჲ და სიკუდილი შეურაცხი; და აღდგომითა ჩემითა განგაცხოელენ დაძულებულნი ეგე ჯოჯოხეთს შინა; განდგომილნი ეგე და რისხვეულნი დაგაგენ ღმერთსა და მამასა; სული წმიდაჲ მოგანიჭე; ბჭენი სასუფეველისანი განგიხუენ; გექმენ თქუენ თავ და გინოდე ასოებ ჩემდა; გექმენ თქუენ სამოსელ უკუდავებისა, სიძე უხრწნელებისა, სახლ შუენიერებისა, ძირ ცხორებისა, საჭმელ და სასუმელ უოხჭნოებისა, მწყემს კეთილ, მეუფე სახიერ, თავს-ვიდევე ძმად თქუენდა ნოდებად და თანამკვდრ ჩემდა გინოდე და ბნელისაგან ნათლად მოგიყვანენ, სიკუდილისაგან – ცხორებად, სიგლახაკისაგან – სიმდიდრედ.

ესე ყოველი და ამისა ფრიად უმრავლესი აქუნდა თქუემად და არა ეტყვს, არამედ ეგრეთცა რიდობითვე ცოდვასა ხოლო მათსა ამხილებს, და პირველად მოუწოდს მართალთა, რადთა უჩუენოს, ვითარმედ მათიცა ეგრეთვე ენება, არამედ მათ არა ინებეს; და მერმე არა ეტყვს, თუ: წარვედით ცეცხლსა მას თქუენთს განმზადებულსა, ვითარცა-იგი მართალთა ჰრქუა, ვითარმედ: „მოვედით და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთს სასუფეველი დაბადებითგან სოფლისაჲთ“;¹ ხოლო მათ ეტყვს: „წარვედით ცეცხლსა მას განმზადებულსა არა თქუენთს, არამედ ეშმაკისათს და მსახურთა მისთათს, რამეთუ მშობდა, და არა მეცით მე ჭამადი“;² და შემდგომი ამისი. რავდენისამცა სატანჯველისა არა უმწარეს იყვნეს ესე სიტყუანი და უძნელეს? რამეთუ უკუეთუ კაცი ვინ ქველისმოქმედი თვისა და კეთილისმყოფელი იხილოს შიმშილსა შინა და წყურილსა ანუ სხუასა რასმე ჭირსა, და ძალ-ედვას ჴელის-აპყრობად მისა და შეწევნად და არა ქმნას ესე, არამედ ცარიელი გარემიაქციოს და შეურაცხებით თანაწარჰყდეს, და

¹მათ. 25,34.

²შდრ. მათ. 25,41-42.

მერმე მოვიდეს დიდებული იგი კაცი სახედ თვსად და შევიდეს დიდებასა-ვე თვსა, და მივიდეს მისა კაცი იგი უმაღლოდ მოქენედ საჭიროდსა რადსმე და თანაწარუვალისა საქმისა, და დააყუედროს მან მისი იგი უმაღლოებად ორთა წინაშე გინა სამთა მეგობართა, გულისწმა-ყავთ, თუ რაბამიცა სირ-ცხელი მოინია მის ზედა? არამცა სნადოდაა, რადთამცა მას ჟამსა განელო ქუეყანად და დაფარა იგი? ჭეშმარიტად!

რად-მე უკუე ვყოთ ჩუენ, ოდეს წინაშე ყოველთავე დაბადებულთასა გუესმას სახიერისა მის მეუფისაგან უზომოდსა მის უმაღლოებისა ჩუენისა ყუედრებად და განვისხმოდით პირისა მისისაგან, რაჟამს გურქუას: „წარ-ვედით ჩემგან!“ ესე იგი არს, გამოუთქუმელთა მათ კეთილთაგან და მო-უგონებელისა მის დიდებისაგან. რად-მე იყოს ჩუენდა, ესე რად გუესმას, რაჟამს წინაშე ესოდენისა მის კრებულისა წარმოგვდგენ ბოროტნი საქმენი ჩუენნი წინაშე ჩუენსა, ოდეს შევიკრნეთ ჳელით და ფერწით და განვითხი-ნეთ ბნელსა მას გარესკნელსა და ცეცხლსა მას უშრეტსა, სადა იყოს ტირი-ლი და ღრჭენად კბილთად?

შევიშინოთ, საყუარელნო, თქუმულთა ამათ სიტყუათაგან: არა სამ-ლერელსა შინა არს ცხორებად ჩუენი, და უფროდსა ესე ვთქუა, ვითარ-მედ: საწუთროდ ესე ცხორებად სამლერელ არს, ხოლო საუკუნოდ იგი – არა ესრეთ. და უკუეთუ კეთილად ვინ გულისწმა-ყოს, სამლერლისაცა უძკრეს არს საწუთროდ ესე, რამეთუ არა სიცილად განილევის, არამედ დიდისა ზღვევისა და ვნებისა მომატყუებელ გუექმნების. და გულისწმა-ყავთ საქმე ამის სოფლისად: ვაშენებთ ტაძართა, მოვიგებთ აგარაკთა და სოფელთა, ვიმოსებთ ძონეულითა და პორფირითა, ვჭამთ და ვსუამთ და განვსცხრებთ. ესე ყოველი ამაოებითა და მსწრაფლწარმავალობითა სამ-ლერელსა მცირეთა ყრმათასა უარეს არს და უმეტესად ამაო; ხოლო სა-ტანჯველნი ამათ ესევითართა საქმეთათვს შემზადებულნი მტკიცე არი-ან და წარუვალ. ხოლო რომელ-ესე ვერ გულისწმა-ვჰყოფთ, ნუ გჰკვირს, რამეთუ ჯერეთ ყრმა ვართ გონებითა და უგუნურ. ოდეს სრულ ვიქმნათ ცნობითა, მაშინ ვცნათ, ვითარმედ ესე ყოველი სამლერელი არს ყრმათად. ვითარცა-იგი სოფელსა შინა ყრმა რად ვიყვნით, ვიმლერდით, შევიკრიბით თიხად და ღინჭოდ და აღვაშენებდით ტაძართა, და კუალად ვიქმნით მე-ფე და მთავარ, და სხუად ესევითარი მრავალი არნ საძიებელ ჩუენდა; ხო-ლო აღვიზარდნით რად, ვეცინოდით ესევითარისა მოქმედთა. ეგრეთვე აწ რად-ესე ჩუენდა საწადელ არს და საყუარელ, აღსრულებულთა სულიერი-თა ჰასაკითა საცინელ უჩნს და საკიცხელ. ხოლო ყრმათაცა აღაშენნიან რად ხინჭოთაგანი სახენი ტაძართანი, უკუეთუ ვინ დაარღვის, გოდებდიან. ეგრეთვე ჩუენ დაკლებასა ზედა და დაჭირვებასა ჳორციელთა საქმეთასა მწუხარე ვართ და მგლოარე. ამისთვისცა ყოველნივე წმიდანი და ღმრთის-მსახურნი მწუხარე არიან ამის ესევითარისა უბადრუკებისა ჩუენისათვს და სიცოფისა.

არამედ განვიფრთხოთ, ძმანო, და მოვიდეთ ჩუენცა ჰასაკსა და ცნობასა სულიერსა; ვიდრემდის ვიმღერით და საკიცხელ-ვჰყოფთ თავთა ჩუენტა და თანამდებ ვიქმნებით საუკუნოვანსა მის სასჯელისა, ვინაჲ-იგი ვერვის ჴელ-ენიფების ჴსნად ჩუენდა: არცა მშობელთა, არცა შვილთა, არცა ძმათა გინა მეგობართა. აჰა ესერა ყოველი ესე დიდებაჲ და შუებაჲ საწუთროვსაჲ წარჴდეს, და გემონი და გულისთქუემანი მისნი უჩინო იქმნენ, ხოლო ამათმიერი სატანჯველი ეგოს ჩუენ ზედა უკუნისამდე. განვიფრთხოთ უკუე, გვედრები, და შევიყუარნეთ კეთილნი საქმენი, რომელნი იგი პირველ ამიერ მიცვალებებისა და მუნ მისლვისა, სადა-იგი სასყიდელი საქმეთაჲ განწესებულ არს, მეზრ აქავე სანატრელ და ბრწყინვალე იქმან მოქმედთა მათთა.

და ესე ესრეთ გულისჴმა-ყავთ: გამოვსახოთ კაცნი ორნი: ერთი იგი შეიკრებდინ საფასეთა და ვაჭრობდინ ზღვთ და ჴმელით და ყოვლით კერძო განმდიდრდებოდენ, და არა ვიტყვ ანგაჰრებისათჴს, დაღაცათუ ძნიად იპოების ესევითარი კაცი გარეშე ანგაჰრებისა, გარნა ვთქუათ, თუ არა იყოს მის თანა ანგაჰრებაჲ, არამედ მოსწრაფებითა და გონიერებითა მისითა შეიკრებდინ სიმრავლესა საფასეთასა, მოიგებდინ სოფელთა და მონათა მრავალთა და წარებატებოდენ სიმდიდრესა შინა, რაოდენცა ენებოს; ხოლო მეორე იგი სწორ იყავნ მისდა სიმდიდრითა და მისცემდინ ყოველსავე გლახაკთა, შეჰმოსდინ შიშუელთა, ზრდიდინ მშიერთა, შეენეოდენ ჴირვეულთა, განათავისუფლებდინ ჰყრობილთა, გამოიჴსნიდინ ძკრხილულთა, მოიყიდდინ წარტყუენულთა. ვინ უკუე ამათ ორთაგანი შეგირაცხიეს საყუარელ და სანატრელ?

არა ვიტყვ მერმისა მის საუკუნისასა, არამედ ამას მეზრ საწუთროსა: რომელი უაღრესად და უმჯობესად გიჩნს: შემკრებელი იგი ოქროსა და ვეცხლისაჲ ანუ ქველისმოქმედი იგი ჴირვეულთაჲ, ნავთსაყუდელი დელვაგუემულთაჲ? არა ერთი იგი მსგავს არსა ანგელოზსა ღმრთისასა და მეორე ესე – არცა თუ კაცსა კეთილსა, არამედ ყრმასა რასმე ცოფსა და უგუნურსა? ან უკუეთუ თვნიერ ანგაჰრებისა და მოხუეჴისა მოგებული სიმდიდრე ესრეთ არარაჲ არს, რაჲ-მე ვთქუათ მათთჴს, რომელნი უკეთურებითა და ანგაჰრებითა განმდიდრდებოდინ, რომელნი ამაოებასა თანა და უგუნურებასა საუკუნოთაცა სატანჯველთა თანამდებ-ჰყოფენ თავთა თჴსთა? ჴემმარიტად ტირილისა და გლოისა ღირს არიან ესევითარნი იგი!

ხოლო გნებაჴს თუ, სხუაჲცა სახე სათნოებისაჲ შემოვილოთ სიტყუასა ამას შინა. გამოვსახნეთ ორნი კაცნი სხუანი: იყავნ ერთი იგი შემოსილ დიდებითა ფრიადითა, ქებული ერთა მიერ და წინამძღუარი ლაშქართაჲ, შემკობილი ოქროქსოილითა და აღმჴედრებული ეტლთა ოქროლესულთა, და წინამსრბოლნი მახკლოსანნი, და სხჴთა ყოვლითავე დიდებითა აღმალლებული. არა სანატრელად საგონებელ არსა ესევითარი

იგი? მოედით უკუე, ამასცა წინააღმდეგინოთ ღმრთისმსახურებისა სახე: იყავნ მეორე იგი კაცი მშკდი და ძკრუწსენებლი, მდაბალი და სულგრძელი, და თავს-იდებდინ გინებათა და შეურაცხებათა, მანყევართა მისთა აკურთხევდინ, მდევართა მისთა კეთილსა უყოფდინ, მოძულეთა მისთა ჰყუარობდინ და სხვთა ყოვლითავე სათნოებითა შემკულ იყავნ. ან უკუე ამათ შორის ვინ არს საკრველ და სანადელ: ზუავი იგი და ანპარტავანი ანუ ღმრთისმოყუარე ესე და მდაბალი? არა მსგავს არსა ესე ანგელოზთა ზეცისათა, შემკობილთა უვნებლობითა და ღმრთისმოყუარებითა და მკურნალსა კაცობრივისა ბუნებისასა? ხოლო მეორე იგი – სამარესა განგლეხილსა, გარეშე და შინაგან სავსესა სიმყრალითა და ძულებითა მკუდართაჲთა, გინა თუ მჯდომსა განსივებულსა, რომელი სავსე არნ წუთხითა და შალლითა, რამეთუ ნანდკლვე ესევეითართა სახეთა მსგავს არს ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ. რადსათვს-მე ჰზუაობ, კაცო, და ჰმალლომ ეტლთათვს შუენიერთა და ცხენთა მრავალფასისათა და სამოსელთა წარჩინებულთა? ესე ყოველი „ამაოებაჲ არს ამაოებათაჲ“, ვითარცა სოლომონ იტყვს; უუძღურეს არს შროშანთა ველისათა, ადრე დაჭნობადთა; წარმავალ არს, ვითარცა აჩრდილი; დავინყებად არს, ვითარცა სიზმარი.

ხოლო მუშაკი იგი სათნოებისაჲ და მოღუანე ღმრთისმსახურებისაჲ ჭემმარიტად სანატრელ არს, რამეთუ მსგავს არს ხესა ნაყოფიერსა, სავსესა სურნელებითა და ბრწყინვალელებითა, და ახარებს ყოველთა, რომელნი ხედვიდენ მას.

შენ გმოსიეს სამოსელი, შესაჭმელი მლილთაჲ და ქმნული მატლთაგან, რამეთუ ოქროჲ და ვეცხლი და ძონეული და პორფირი – რომელიმე მიწა არს და ნაცარ, და რომელიმე მატლთა მიერ და ჭიათა შემოღებული სოფლად; ხოლო რომელი შემკობილ იყოს სათნოებითა, მისსა მას სამკაულსა არა ხოლო თუ მატლი და მლილი ვერ ავნებს, არამედ ვერცა თუ სიკუდილი შეეხების. და ესე სამართალ არს და ჭემმარიტ, რამეთუ არა მიწისაგან და ქუეყანისა არს შობაჲ სათნოებათაჲ, არამედ ნაყოფნი არიან სოფლისანი და ზეცისა საუნჯეთა შინა დამარხულ არიან. ამისთვს არა შეეხების მათ არცა მლილი, არცა მპარავი, არამედ უვნებელ არიან და საუკუნო.

რომელი უკუე არს უმჯობეს და უპატიოსნეს, მითხარ, კაცო, სიმდიდრე ანუ სიგლახაკე? პატივი ანუ შეურაცხებაჲ? შუებაჲ ანუ სიყმილი? საცნაურ არს, ვითარმედ სიმდიდრე უაღრეს არს და პატივი და შუებაჲ. და ამათ შორის კულად სახელი უმჯობეს არს ანუ საქმე? ჰე, ჭემმარიტად, საქმე! უკუეთუ საქმე არა იყოს, რადმცა იყო სარგებელი სახელისაჲ? ან უკუეთუ სახელსა ეძიებ, საქმისაგან ცარიელსა, რადთამცა გენოდებოდა მდიდარ, და შენ იყო პურისმთხოელ; და გენოდებოდამცა პატიოსანი და შუებულ, და შენ იყო მომყმარ და ყოველთაგან გინებულ; უკუეთუ ესე

გთნავს, გიყუარდინ სანუთროდ ესე და საქმენი მისნი და ნაყოფი უგუნურებისა შენისად მოისთლო.

ხოლო უკუეთუ ჭემმარიტებასა საქმეთასა ეძიებ, დაუტევე ქუეყანად და ყოველი, რად არს მას შინა; მოიძულე სოფელი და გულისთქუმანი მისნი და ყოველივე ცხორებად შენი ზეცად მიცვალე, რადთა ჰპოო ჭემმარიტი იგი სიმდიდრე, პატივი საუკუნოდ და შუებად სამარადისოდ, ყოფად ანგელოზთა თანა, ხილვად პირისა ღმრთისად, რომელი-იგი უაღრესი არს და უზეშთაესი ყოველთა კეთილთა.

არა უწყია, რამეთუ სანუთროდსად ამის ყოველივე ცრუ არს და ამო, მაცთური არს და წარმწყმედელი? ხოლო მის საუკუნოდსად ყოველივე ჭემმარიტ არს, მტკიცე და შეურყეველ და სამარადისო.

იგი გამოვირჩიოთ, მორწმუნენო, იგი შევიყუაროთ, იგი მოვიგოთ, რადთა შფოთისა ამის და ამბოხებისაგან სოფლიოდსა განვერნეთ და დიდითა სიმდიდრითა ნავთსაყუდელსა მას მყუდროსა შევევედრნეთ, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი კდ

სიტყუად ესე: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებად მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (7,21).

თარგმანი: რად არა თქუა, თუ: რომელმან ყოს ნებად ჩემი? ერთად, ამისთვის, რამეთუ ვერ ეძლო ერსა მას უძღურსა გულისწმის-ყოფად ღმრთეებისა მისისა; და მეორედ, ესრეთ გულისწმა-ყავ, ვითარმედ ნებად მამისაჲ რად ავსენა, თვისიკა თანამოასწავა, რამეთუ არა არს სხუად ნებად მისი, გარეშე ნებასა მას მამისასა, არამედ ვითარცა ერთ არს ბუნებად მათი, ეგრეთვე ნებად ერთ არს. ვინაჲთგან უგუნურნი იგი ჰურიანი საქმეთა კეთილთათჳს არა ფრიად ზრუნვიდეს, არამედ რჩულითა ხოლო იქადოდეს, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „შენ ჰურიად სახელ-გედების და განისუენებ სჯულსა ზედა და იქადი ღმრთისა და იცი ნებად იგი“¹; და შემდგომი ამისი, არამედ არარას სარგებელ გეყოსო, უკუეთუ საქმენი არა გქონდინ. ამისვე ჯერისათჳს უფალი განანესებს სიტყუასა ამას და იტყვს:

სახარებად: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებად მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ. რამეთუ მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვინაჲსწარმეტყუელებდით და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით? მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ; განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმენი ურჩულოებისანი“ (7,21-23).

თარგმანი: ხოლო ძალი სიტყუათა ამათ ესრეთ არს, ვითარმედ: არა თუ რომელსა აქუნდეს სარწმუნოებად ხოლო თვნიერ საქმეთასა, განვარდეს იგი სასუფეველისაგან, არამედ დაღაცათუ სარწმუნოებასა თანა სასწაულთაცა იქმოდის და საქმენი კეთილნი არა აქუნდენ, არავე ღირს იქმნას იგი შესლვად კარსა მას ცხორებისასა. ამისთვის იტყვს: „მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვინაჲსწარმეტყუელებდით?“

ვინაჲთგან ყოველივე იგი მოძღურებად სრულ-ყო, ან ნელიად გამოუცხადებს თავსა თვისსა და გულისწმა-უყოფს, ვითარმედ იგი თავადი არს მსაჯული ყოველთაჲ; რამეთუ ცოდვილთათჳს განმზადებულნი სატანჯველნი ზემო მოასწავნა, ხოლო თუ ვინ არს განმკითხველი მათი, ან გამოაჩინა, რაჟამს თქუა: „მას ჟამსა ვჰრქუა მათო: განმეშორენით ჩემგან, არა გიცნი თქუენ“. ესე იგი არს, ვითარმედ: არა თუ ან, ოდენ ჟამსა განკითხვისასა,

¹ რომ. 2,17-18.

არამედ არცა თუ მაშინ, იქმოდით რად სასწაულთა, გიცნენ თქუენ. და კუა-
ლად სხუასა ადგილსა ეტყოდა მოწაფეთა, ვითარმედ: „ამას ზედა ნუ გი-
ხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ,
რამეთუ სახელები თქუენი დაწერილ არს ცათა შინა“.¹ და ყოველსავე ად-
გილსა მოძღურებისა თვისისა გამოაჩინებს, ვითარმედ დიდად საძიებელ
არს მის მიერ მოქალაქობად საღმრთოდ. რამეთუ არა ეგების ყოვლადვე,
თუმცა კაცი, სიმაართლით მავალი და ვნებათაგან განყენებული, უგულე-
ბელს-ყო ღმერთმან, არამედ დაღაცათუ შესცთეს უმეცრებით, ადრე მოიყ-
ვანებს მას ღმერთი ჭეშმარიტებისა გზასა.

გარნა არიან ვიეთნიმე, რომელნი იტყვან, ვითარმედ: ტყუოდესო, რო-
მელთა თქუეს, თუ: სახელითა შენითა სასწაულთა ვიქმოდეთ; ამისთვისა
არა ცხონდეს. არამედ ცუდ არს სიტყუად ესე მათი, რამეთუ უკუეთუმცა
ესრეთ იყო, წინააღმდეგომიცა იყო იგავი ესე სიტყვსა მისისა. და იხილე,
რად არს სიტყუად მისი: ეგრეთ ჰნებავს უფალსა გამოჩინებად, ვითარმედ
არარად ძალ-უც სარწმუნოებასა თვნიერ საქმეთასა. და ამის პირისა უმე-
ტესად დასამტკიცებლად ესეცა შესძინა, ვითარმედ: არა ხოლო თუ სარ-
წმუნოებად მარტივი, არამედ არცა თუ სასწაულთა საქმე ერგოს სასწა-
ულთა მოქმედსა მას, თვნიერ კეთილთა საქმეთასა. და ვინაფთგან ძალი
სიტყვსა მისისადა ესე არს, უკუეთუმცა არა ექმნეს სასწაულნი კაცთა მათ,
რომელნი სახედ შემოიხუნა, ვითარმცა მოეხუნეს იგინი სახედ?

და ესეცა გულისგმა-გყოთ, ვითარმედ უკუეთუმცა არა ექმნეს სას-
წაულნი, ვითარმცა იკადრეს ჟამსა მას განკითხვისასა ტყუილისა თქუმად,
არამედ კითხვისსახედ სიტყუად მათი გამოაჩინებს, ვითარმედ ჭეშმარიტსა
იტყოდეს. რამეთუ იხილეს რად აღსასრული წინააღმდეგომი მოლოდებისა
მათისა, რამეთუ აქა საკვრველნი კაცნი იყვნეს და პატივცემულნი ყოველ-
თა მიერ და მოქმედნი სასწაულთანი, ხოლო მუნ იხილნეს რად თავნი თვისნი
სატანჯველისა თანამდებად, ვითარცა განცვრებულნი და განკვრებულ-
ნი იტყვან: „უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინააღმარმეტყუე-
ლებდითა და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენით?“ და ვითარ ან
გარემიიქცევ პირსა შენსა ჩუენგან? რად არს უცხოდა ესე და მოულოდებელი
აღსასრული? ამისთვის განკვრებულნი და განცვრებულნი იტყოდეს სიტ-
ყუათა ამათ.

ხოლო შენ ესე ნუ გიკვრს, კაცო, ნუცა იტყვ, თუ: ვითარ ეგების, თუმცა
ვინ სასწაულთა იქმოდა და არა ცხონდა? რამეთუ მადლი იგი სასწაულთად
ნიჭთა მათ საღმრთოთაგან იყო, ხოლო მათ ვინაფთგან თავით თვისითცა
ნაყოფი ვერარად აჩუენეს, ამისთვის სამართლად იტანჯნეს, რამეთუ ესრეთ
უმადლო და უნაყოფო იპოვნეს ღმრთისა მიმართ, რამეთუ ესოდენ პატივ-
სცა მათ და ესევითარი მადლი უღირსთა მათ მიანიჭა. იტყვან უკუე მეძი-

¹ ლუკ. 10,20.

ებელნი ამის სიტყვსანი, ვითარმედ: ცოდვათა შინა რად იყვნეს, იქმოდესა სასწაულთა ეგვევითარნი იგი? სხუანი იტყვან, ვითარმედ: არა ესრეთ, არამედ ვიდრელა სათნოებასა შინა იყვნეს, იქმოდეს სასწაულთა და არა ოდეს მიიქციან ცოდვად. ხოლო მე არა ესრეთ ვიტყვ, რამეთუ უკუეთუმცა ესრეთ იყო, კუალად სახემცა იგი ვითარ კეთილად აღესრულა? რამეთუ უფალი ამას გამოაჩინებს, ვითარცა ვთქუ, იგავითა ამით, ვითარმედ: თვნიერ კეთილთა საქმეთასა არცა სარწმუნოებად ვის ერგების, არცა სასწაულნი, ვითარცა იტყვს ნეტარი პავლე: „მაქუნდეს ღათუ წინადასწარმეტყუელებად და უწყოდი ყოველი საიდუმლოდ და ყოველი მეცნიერებად, მაქუნდეს ღათუ სარწმუნოებად ვიდრე მათათა ცვალებადმდე და სიყუარული არა მაქუნდეს, არაჲ-ვე-რად ვარ“.¹

კუალად მეტყვან კითხვისმოყუარენი, ვითარმედ: ვინ არიან ესევეითარნი იგი კაცნი, მოქმედნი სასწაულთანი და ზიარნი წარწყმედისანი? – მრავალნი ყოფილ არიან და ყოფად არიან. არა ესრეთ იყო იუდა, სავსე ყოვლითა უკეთურებითა, და მიეცა მას მადლი სასწაულთაჲ? ესრეთ იყო, რომელი-იგი სახელითა ქრისტესითა განასხმიდა ეშმაკთა და არა შეუდგა მას, და სხუანი მრავალნი.

და კუალად ძუელსაცა შჯულთასა შინა იპოების ესევეითარი, რომელ აღასრულა მადლმან საღმერთმან ძალნი უღირსთა მიერ, რადთა სხუათა სარგებელ ეყოს. რამეთუ არა ყოველნი ყოველსა შინა იყვნეს მომზავებელ, არამედ რომელთამე აქუნდა ცხორებად სინმიდისაჲ და სარწმუნოებად ძლიერი ვერ უძლეს მოგებად; სხუათა სარწმუნოებად აქუნდა და საქმენი არა აქუნდეს. ამისთჳს მისცა ამათ ღმერთმან მადლი სასწაულთაჲ, რადთა იგინიცა ხადნეს სარწმუნოებასა მტკიცესა და ესენი მიუთხრობელითა მით ნიჭითა მოიყვანნეს კეთილისსაქმედ. ამისთჳს უხუებით მისცა სასწაულთა საქმე, და მრავალთა შეიკდიმეს მადლისა მისგან და მოიპოეს მოქალაქობად კეთილი. ხოლო რომელნი თჳსსავე ცოდვასა შინა დაადგრეს, მათ ესმას მას დღესა: „არა გიცნი თქუნ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი“.

და რად გიკვრს, უკუეთუ კაცთა, რომელთა ჰრწმენა იგი და საქმენი კეთილნი არა ჰქონდეს, მისცა ნიჭები სასწაულთაჲ, რადთა სხუათაცა ერგოს და მათცა შეიკდიმონ, ვინადთგან ვხედავთ, ვითარმედ მრავალგზის აჩუენა ძალი მადლისა თჳსისაჲ კაცთა ზედა, რომელთა თანა არცა სარწმუნოებად იყო, არცა საქმენი კეთილნი. რამეთუ ბალაამი სარწმუნოებისაგანცა და კეთილთა საქმეთაგან უცხო იყო, არამედ მიეცა ძალი მადლისაჲ განგებულებისათჳს სხუათაჲსა; და ფარაო ესევეითარივე იყო, არამედ მასცა უჩუენნა ღმერთმან ყოფადნი საქმენი; და ნაბუქოდონოსორ ურჩულოდ იყო, არამედ გამოუცხადნა მას საქმენი შემდგომად მრავალთა ნათესავთა

¹ 1 კორ. 13,2.

აღსრულებადნი; და კუალად ძესა მისსა, რომელი უკეთურებითა სძლევდა-
ლა მამასა, მომავალი უჩუენა ღმერთმან, რადთა აღასრულნეს საკვრველნი
განგებულბანი და დიდებულნი საქმენი.

ეგრეთვე ახალსა ამას შჯულსა შინა ყო ღმერთმან, რამეთუ დაწყებად
იყო მაშინ ქადაგებისა მის სახარებისად და ჯერ-იყო, რადთა ფრიადი სახე
ძალისა მისისად გამოჩნდეს სასწაულთა მიერ. ამისთვის არა ღირსთა ოდენ,
არამედ მრავალგზის არაღირსთაცა მისცა მადლი საკვრველებისად, გინა თუ
კურნებათად, გინა თუ წინაღსწარმცნობელობათად; და რომელთაცა შეიკრ-
ძალნიან თავნი თვსნი და აჩუენიან სინმიდით ცხორებად, თავთაცა თვსთა
სარგებელ ეყვნიან და სხუათაცა, ხოლო რომელნი ცოდვათა ერეოდნიან,
არარად სარგებელ ეყვის მადლისა მისგან, არამედ უფროხსად დასასჯელად
მათდა იქმნის. ამისთვისცა საშინელსა მას სიტყუასა ეტყვს უფალი, ოდეს მო-
ვიდეს განკითხვად, ვითარმედ: „არასადა გიცნენ თქუენ“. რამეთუ მრავალ-
ნი გარდამატებულთა მათ ბოროტთა მათათვს აქავე სძულან, და პირველ
საშინელისა მის სასჯელისა გარემიქცეულ არს მათგან პირი მისი.

შევიშინოთ, საყუარელნო, ჩუენცა და შევიკრძალნეთ თავნი ჩუენნი
საქმეთა მიერ კეთილთა. და უკუეთუ მოქალაქობად სათნოდ ღმრთისად მო-
ვიგოთ, ნუ ვჰგონებთ, თუ არაქმნისათვს სასწაულთადას უდარესმცა რად-
მე ვიქმნენით, რამეთუ არცა სასწაულთა თუ ვიქმოდით, არს რად მათგან
სარგებელი ჩუენი, არცა თუ არა ვიქმოდით, არს რად სავნებელ, უკუეთუ
ოდენ სათნოებისა მოგებად ვისწრაფოთ. რამეთუ მოგუეცეს თუ სასწა-
ულთა მოქმედებად, ჩუენ ვართ თანამდებ უმაღლესთა მიერ სათნოებათა
– მადლობად ღმრთისა ესევეითართა მათ ნიჭთათვს; ხოლო საქმეთა თუ
კეთილთა ვიქმოდით და სათნოდ ღმრთისა ვიქცეოდით და არა მოგუეცეს
სასწაულთა საქმე, მაშინ უმეტესადლა თანამდებად გუაქუს ღმერთი მოცე-
მად ჩუენდა უმეტესისა სასყიდლისა მერმესა მას საუკუნესა.

ვინაფთგან უკუე ესრეთ კეთილად აღასრულა დიდებული ესე მოძღუ-
რებად მეუფემან და ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტე და განანესა ჯეროვ-
ნად სათნოებათათვს საღმრთოთა სწავლად და გამოაჩინნა იგინი, რომელნი
არა ჭეშმარიტებით აღასრულებენ მას, არამედ საჩუენებელად კაცთა იჩე-
მებენ თითოსახითა წესითა: რომელნიმე იმარხვენ და ილოცვენ კაცთმოთ-
ნეობით, სხუანი სამოსლითა ცხოვართაფთა ვლენან, სხუანი წინააღმდგომ-
ნი არიან კეთილისანი, რომელთაცა ძალლად და ღორად უწესა; ვინაფთგან
ესე ყოველი წარმოთქუა, ჰნებავს ან ჩუენებად, თუ რაოდენ სარგებელ
ეყოფის აქავე სათნოებად მოქმედთა მისთა, ანუ ვითარ უკეთურებად ყოვ-
ლით კერძო ავნებს. ამისთვის იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და
ყვენეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა მას გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი
თვსი კლდესა ზედა. და გარდამოჰდა წკმად, და მოვიდეს მდინარენი, ქრო-

დეს ქარნი, ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა“ (7,24-25).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ, ვითარ განანესებს სიტყუასა თვსსა? ოდესმე იტყვს: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო!“ ოდესმე იტყვს: „რომელმან ყოს ნებად მამისა ჩემისაჲ“; და კუალად თავსა თვსსა აჩუენებს მსაჯულად და განმკითხავად ყოველთა და იტყვს, ვითარმედ: „მას ჟამსა ვპრქუა მათ: არა გიცნი თქუენ“; რადთა ორივე გულისწმა-უყოს კაცთა: განგებულებადცა იგი მამისაჲ და ყოვლისა მპყრობელობაჲ და თანაარსობაჲცა თვისი და წელმნიფებაჲ.

და ან კუალად გამოაჩინებს უფლებასა თვსსა და იტყვს: „ყოველმან, რომელმან ისმინეს სიტყუანი ესე ჩემნი“. ვინაჲთგან საუკუნისა მისთვის მერმისა თქუა და წარმოილო სიტყუაჲ სასუფეველისათვს და მადლთა მათთვს გამოუთქუმელთა და ნუგეშინის-ცემისა მისთვის მიუთხრობელისა და სხუად ესევეითარი მრავალი გულისწმა-გკყო, ჰნებავს ან ჩუენებად, თუ რაოდენი ძალი აქუს სათნოებასა ამასვე სანუთროსა შინა. ხოლო რად არს ძალი მისი? – რომელ უცთომელ-ჰყოფს მუშაკსა თვსსა და უზეშთაეს ყოველთა წინააღმდგომთა მისთა გამოაჩინებს და არა შეუნდობს მავნებელთა მისთა ძლევად მისდა. რამცა იყო უკუე უაღრეს ამისა? რამეთუ ამას საქმესა ვერცა თუ მეფესა ყოვლისა სოფლისასა წელ-ენიფების თავისა თვისისათვს მოგებად.

ხოლო რომელი იქმოდის მცნებათა უფლისათა, ფრიადითა სიმტკიცითა მოუგიეს ესე და შფოთსა ამას შინა და ლელვააღტეხილობასა ამის სანუთროსასა დიდითა მყუდროებითა იყოფის. რამეთუ საკვრველი ესე არს, რომელ სიმძაფრესა მას შინა ზამთრისასა და სიფიცხესა ლელვათასა და სიმრავლესა განსაცდელთასა არცა ერთი რად ვნებაჲ შეემთხვის მას, ვითარცა იტყვს: „გარდამოწდა წკმად, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი, ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა“. ხოლო აქა წკმად და მდინარედ და ქარად კაცობრივთა მათ ამის სანუთროსა განსაცდელთა სახელ-სდებს: ცილისწამებათა, მტერობათა სხუათაგან, მწუხარებათა, სიკუდილთა საყუარელთასა, ძვრის-ხილვათა სხუათა მიერ და თითოსახეთა მათ განსაცდელთა ეშმაკთა მიერ და კაცთა მოწვენულთა სანუთროსა ამას შინა და მრავალფერთა მათ სოფლისა შფოთთა და უწესოებათა. გარნა სული იგი ჩემთა ამათ სიტყუათა აღმასრულებელიო არა შეშინდეს ამის ყოვლისაგან, არცა იძლიოს, რამეთუ დაფუძნებულ არს კლდესა ზედა მცნებათა ჩემთასა, რომელნი-ესე ყოვლისა სიმტკიცისა უძლიერეს ჰყოფენ სულსა და ყოველთავე კაცობრივთა ლელვათა უზეშთაეს გამოაჩინებენ. რამეთუ რომელმან შეურყეველად დაიმარხნეს სიტყუანი ჩემნი, არა კაცთა ოდენ ბოროტისყოფელთა მძლე ექმნას, არამედ სიმრავლესა ეშმაკთაჲ იოტოს და მახეთა მათთაგან უვნებელად

განერეს. და ჭეშმარიტებად ამათ სიტყუათად შეურყეველ არს, ვითარცა-იგი მრავალთა მიერ ნებისყოფელთა ღმრთისათა გამოჩინებულ არს; რამეთუ აჰა ესერა იხილეთ იობ, ვითარ შეინყნარნა ყოველნივე ეშმაკისა ბრძოლანი და შეურყეველად ეგო; იხილენით კუალად წმიდანი მოციქულნი, ვითარ ეკუეთნეს მათ ღელვანი სოფლისანი, და აღიძრა მათ ზედა ეშმაკი ყოვლითა ძალითა მსახურთა მისთაჲთა: მეფენი და მთავარნი, მძლავრნი და მტარვალნი, ერნი მრავალნი და კაცნი ბოროტისყოფელნი, შრომანი და ტანჯვანი, პყრობილობანი და სიკუდილნი, ჭირნი მდინარეთანი, ჭირნი ავაზაკთანი, ჭირნი წარმართთაგანი, ჭირნი ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა ზედა, ჭირნი ზღუათა შინა, შიმშილნი და წყურილნი, ყინელნი და შიშულობანი და სხუად მრავალი სიმრავლე განსაცდელთაჲ. და ესე ყოველნი ღელვანი და ქარნი ეკუეთნეს რაჲ, ყოველნივე დაიჭსნეს, ხოლო იგინი უმტკიცეს კლდისა ეგნეს.

რამცა უკუე იყო ამის ესევითარისა მოქალაქობისა უსანატრელეს? ამას ვერარაჲ ჳორციელი და სოფლიოჲ საქმე შემძლებელ არს მონჭებად: არცა სიმდიდრე, არცა დიდებაჲ, არცა ძლიერებაჲ, არცა სხუად რამე საქმე კაცობრივი, არამედ მოგებაჲ სათნოებათაჲ და აღსრულებაჲ მცნებათა ქრისტესთაჲ. რამეთუ არა იპოების სხუად ცხორებაჲ სოფელსა შინა განთავისუფლებული განსაცდელთაგან, გარნა ხოლო სათნოდ ღმრთისა მოქალაქობაჲ.

იხილენითლა, რავდენნი ბოროტნი არიან სამეუფოთა პალატთა შინა და ტაძრებსა შინა მთავართასა: შფოთნი, ამბოხებანი, ცილისწამებანი, ბრალობანი, გუემანი, ტყუენვანი და ყოველივე ბოროტი; ხოლო მოციქულთა შორის არარაჲ ესევითარი იყო. თქუას ვინმე უმეცართაგანმან, ვითარმედ: რასა იტყვ, არარაჲ ვისგან ძკრი შეემთხვა მოციქულთა? არამედ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ საკვრველ ესე არს, რომელ მრავალი ძკრი შეემთხვა და მრავალნი ღელვანი ეკუეთნეს, და გოდოლი იგი სულისა მათისაჲ შეურყეველად ეგო; და გუამითა შიშულითა ეწყვნეს აღჭურვილთა სპარაზენტა და კეთილად მძლე ექმნეს, რამეთუ დაფუძნებულ იყვნეს კლდესა ზედა.

და შენცა, ღმრთისმოყუარეო, უკუეთუ სახლი სულისა შენისაჲ დააფუძნო კლდესა მას ზედა ქრისტეს მცნებათასა, ვერარამან სოფლისა საქმემან გავნოს შენ, არამედ ყოველთავე განსაცდელთა მძლე ექმნე. რამეთუ რომლითამცა სახითა ვინ შეგანუხა, უკუეთუ წარტყუენოს ყოველივე მონაგები შენი, პირველ წარტყუენვისაცა განბნევაჲ მისი ბრძანებულ იყო შენდა და ესოდენ სივლტოლაჲ სიმდიდრისაგან, რომელ არცა თუ მეუფისაგან თხოაჲ ესევითარისა რაჲსმე ჳორციელისაჲ გაქუს ჳელმწიფებაჲ; უკუეთუ საპყრობილედ მიგცეს, პირველ ამისაცა მიგელო მცნებაჲ, რაჲთა ჯუარს-ეცუა სოფლისა; უკუეთუ გაგინოს და ძკრი გიზრახოს, ამისცა მწუხარებისაგან განგათავისუფლა ქრისტემან, რაჲჟამს დიდნი იგი სასყიდელნი უშრომელად აღგითქუნა ძკრუჭსენებლობისა მიერ, და ესრეთ წმიდა-გყო

რისხვისა და მწუხარებისაგან, ვიდრეღა გიბრძანაცა მტერთათჳს ლოცვაჲ; უკუეთუ გდევნიდეს და ბევრეული ძკრი შეგამთხვოს, უმეტეს განაბრწყინ-
ვებს გკრგვსა შენსა; უკუეთუ წყლულებანი და სიკუდილი მოაწიოს შენ
ზედა, უზეშთაჲს ყოვლისა სარგებელისა მოგატყუას სარგებელი, რამეთუ
ღირს-გყო შენ სასყიდელსა მას მონამეთასა და ადრე წარგგზავნა მყუდრო-
სა მას ნავთსაყუდელსა.

ესე არს უკუე, ვითარცა ვთქუ, ყოვლისა უსაკრველეს, რომელ არა
თუ ვერარას ხოლო ავნებენ ძკრისმყოფელნი მოშიშთა ღმრთისათა, არა-
მედ უმეტესადღა განაბრწყინებენ და გამოცდილ და მწნე ჰყოფენ მათ.
რადმცა უკუე შეესწორებოდა ქუეყანასა ზედა ესევეითარსა ამას მოქალა-
ქობასა? რამეთუ ვინაჲთგან გზასა მას სათნოებათასა იწრო და საჭირო
უნოდა, ამისთჳს ნუგეშინის-სცემს იწროებასა მისსა და გამოაჩინებს, ვი-
თარმედ დიდი უცთომელობაჲ აქუს, დიდი სიტკობეჲ, ვითარცა-იგი წი-
ნააღმდგომსა მას ფრიადი აქუს უძლურებაჲ და ზღვევაჲ. რამეთუ ვითარ-
ცა სათნოებისა სიმტკიცე გამოაჩინა, ეგრეთვე – უკეთურებისა ვერაგო-
ბაჲ, რადთა ორკერძოვე გულისწმა-გკყოს და მოგკყვანნეს ძიებაჲ კეთი-
ლისა, შურითაცა სათნოებისაჲთა და სიძულილითა უკეთურებისაჲთა.
რამეთუ იცოდა უფალმან, ვითარმედ მრავალნი ყოფად არიან, რომელთა
უკვრდეს სიკეთე მოძღურებისა ამის, ხოლო საქმით არარას მისგანსა აჩუ-
ენებდენ, ამისთჳს წინაჲთვე განგუაკრძალებს და იტყვს, ვითარმედ: და-
ღაცათუ კეთილ არიან თქუმულნი ესე, არამედ არა კმა არს სმენად ხოლო
მათი, რამეთუ საქმით ქმნად ჯერ-არს. ამისთჳს გამოაჩინა საცთური იგი
არამოქმედთაჲ მათ და ამას ზედა აღასრულა სიტყუაჲ თჳსი, რადთა შიში
უდებებისაჲ გულთა შინა ჩუენთა დაჰწერგოს, რამეთუ ვითარცა-იგი სათ-
ნოებისა მიმართ მიგვზიდავს ყოვლით კერძო, არა აღთქუმითა ხოლო სა-
სუფეველისაჲთა და სასყიდლისა მის გამოუთქუმელისაჲთა და ნუგეშინის-
ცემითა მით ბევრეულთა კეთილთაჲთა, არამედ აქავე შეურყეველობაჲ
იგი კლდისაჲ სახედ მისა მოილო, რადთა უცთომელობაჲ მისი გამოაჩინოს.
ეგრეთვე მოსწრაფე არს განშორებაჲ ჩუენდა ყოვლისა უკეთურებისა და
უდებებისაგან; ამისთჳსცა არა მომავალისა მისგან ხოლო წინაგკყო შიში
(რომელი ზემო აწსენა – მოკუეთაჲ ხისაჲ და დადებაჲ ცეცხლსა უშრეტსა,
და არაშესლვაჲ სასუფეველსა ცათასა, და ვითარმედ ვჰრქუა მას დღესა:
„არა გიცნი თქუენ“, და სხუაჲ იგი მსგავსი ამისი), არამედ ამასვე საწუთ-
როსა გამოაჩინა ცთომილებაჲ იგი ცოდვისაჲ იგავითა მით სახლისაჲთა;
ამისთჳსცა იტყვს განცხადებულად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე და არა
ყვნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა მას ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი
ქვშასა ზედა. და გარდამოვდა წვმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი, ეკუ-
თნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაჲ მისი ღიდ ფრიაღ“ (7,26-27).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კეთილად ცოფ უნოდა მას, რამეთუ რამცა იყო უცოფეს მისა, რომელმან აღაშენოს სახლი ქვშასა ზედა და შრომად თავს-იდვას, ხოლო განსუენებად ვერ პოოს, არამედ ესოდენი ზღვევად შეემთხვოს მას.

სწავლად კდ

ვითარმედ მოქმედი სათნოებისად მარადის უშიშ არს, ხოლო ცოდვასა შინა მყოფსა ყოვლისაგანვე ეშინის

ესრეთ არიან ყოველნი მოქმედნი ბოროტისანი, უსარგებლო არს შრომად მათი და სავენებელ მათდა, რამეთუ იგინიცა შრომასავე შინა არიან ცუდსა და ამოსა, რამეთუ მტაცებელნი და მემრუშენი და ცილისმნამებელნი ფრიადსა ჭირსა და უბადრუკებასა შეიმთხუევენ, რათამცა უკეთურებად თვისი სრულ-ყვეს. და არა თუ უსარგებლო ხოლო არს ჭირი მათი, არამედ ფრიადისაცა ზღვევისა მომატყუებელ ექმნების, და ამას მოასწავებს მოციქული პავლე სიტყვთა მით, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „რომელმან სთესოს ჯორცთა შინა თვსთა, ჯორცთაგან თვსთა მოიმკოს ხრწნილება“.¹ ესენი არიან ჭეშმარიტად, რომელნი აღაშენებენ ქვშასა ზედა, ესე იგი არს, გინა თუ სიძვასა ზედა, გინა თუ ბილწებასა, ანუ თუ მთრვალობასა, ანუ გულისწყრომასა, ანუ ანგაჰრებასა, ანუ სხუასა რომელსამე ვნებასა. ესრეთ იყო აქაბ, არამედ ელია – არა ესრეთ, რამეთუ ამას აღეშენა სახლი თვისი კლდესა ზედა, ხოლო მას დაეფუძნა ქვშასა ზედა, ამისთვისცა არას ერგო მეფობად, არამედ ძრწოდა წინადაწარმეტყუელისა მისგან ხალენითა მოსილისა. ეგრეთვე ჰურიათა აღაშენეს ქვშასა ზედა, ხოლო მოციქულთა – კლდესა ზედა. ამისთვისცა დაღაცათუ მცირედნი იყვნეს, არამედ სიმტკიცესა კლდისასა აჩუენებდეს, და იგინი დაღაცათუ მრავალნი იყვნეს, არამედ – უუძღურეს ქვშისა. ამისთვის იტყოდეს: „რად-მე უყოთ კაცთა ამათ?“² ჰხედავა უღლონობასა მას არა მცირედთა მათ და საპყრობილედ შევრდომილთასა, არამედ მრავალთა მათ და ჴელმწიფებით მყოფთასა? რამეთუ ქვშასა ზედა იყო შენებული მათი, ამისთვის უძღურ იყვნეს; და კუალად ეტყოდეს მოციქულთა: „რადსათვს იქმთ ესრეთ და გნებავს ჩუენ ზედა მოწვენად სისხლი ამის კაცისად?“³ ეჴა უძღურებად მათი! უბადრუკნო, თქუენ პყრობილად გყვანან იგინი და თქუენვე გეშინისა? თქუენ სტანჯავთ და თქუენ სძრწითა?

ხოლო მოციქულნი არა ესრეთ იყვნეს, არამედ კადნიერებით ეტყოდეს: „ვერ ჴელ-გუენიფების ჩუენ, რომელი-იგი ვიხილეთ და გუესმა, ვითარმცა არა ვიტყოდით“.⁴ იხილენა გონებანი მაღალნი? იხილენა კლდე შეურყეველი, რომელსა არა ეშინოდა ღელვათა კუეთებისაგან? რამეთუ რაოდენიცა

¹ გალ. 6,8.

² საქმე 4,16.

³ შდრ. საქმე 5,28.

⁴ საქმე 4,20.

შეემთხუეოდა, იგინი უმტკიცეს იქმნებოდეს და მათ უმეტესად შეადრწუნებდეს; რამეთუ რომელი დეზსა წიხნიდეს, არა მას ავნებს, არამედ თავსა თვსსა მოიწყლავს; და რომელი ანდამატსა სცემდეს, არა მას შეჰმუსრავს, არამედ თავსა თვსსა; და რომელი წინადასწარმეტყუელთა ჰბრძოდის, არა მათ ავნებს, არამედ თავსა თვსსა, რამეთუ უკეთურებად რაოდენცა სათნოებასა ეწყებოდეს, უმეტესად მოუძღურდების; ვითარცა უკუეთუ ცეცხლი ვინ შეხვოს სამოსელსა შინა ანუ დაჰფლას ძნეულსა შინა სელისასა, არა თუ ცეცხლსა მას დაშრეტს, არამედ ნივთსა მას უძღურსა დასწავს; ეგრეთვე რომელი ღმრთისმსახურთა ავნებდეს და სტანჯვიდეს, მათ უმეტესად განაბრწყინებებს, ხოლო თავსა თვსსა წარსწყმედს; რამეთუ ღმრთისმსახურთა, ვითარცა არავის ჯორციელისა, მოქენე არიან, ეგრეთვე ყოველთასა უმაღლეს არიან. ეგრეთ იყო დიდი იგი წინამორბედი იოვანე, ამისთვის მას ვერვინ შეაწუხებდა, ხოლო იგი დიდად შეაწუხებდა ჰეროდეს, და უპოარი იგი ზედაადგრა მეფესა მას და ურიდად ამხილებდა. ხოლო მეფე იგი და მძლავრი, შემოსილი ყოვლითა დიდებითა, ძრწოდა მისგან და ვერცალა თუ რაჟამს თავი წარჰკუეთა, განუქარდა მას შიში. ამისთვისცა ისმინე, რასა იტყვს: „ესე არსო იოვანე, რომელი-იგი მე მოვკალ, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით“.¹ – ესოდენ დიდ იყო შიში მისი.

ესრეთ უკუე წმიდანი შემდგომად სიკუდილისაცა უძლიერეს ცხოვლთასა არიან. ამისთვისცა რაჟამს იგი ნათელს-სცემდა, მოვიდოდეს მისა მდიდარნი და დიდებულნი და ეტყოდეს: „რაჲ-მე ვყოთ ჩუენ?“² ესოდენი გაქუს, კაცნო, და გლახაკისა მისგან ეძიებთა პოვნად ალაცა ცხორებისა თქუენისასა? მეუდაბნოესა მისგან – სოფლისა გამოცდილნი ეგე? ესრეთ იყო ელიაცა. ამისთვის კადნიერებით ეტყოდა და ამხილებდა უღმრთოთა. იოვანე ლაღადებდა: „ნაშობნო იქედნეთანო!“³ ელია იტყოდა: „ვიდრემდის ჰკელობდეთ ორითავე გოჯითა თქუენითა?“⁴ და კუალად მეფეთა ორნივე ამხილებდეს; ერთი იგი იტყოდა: „მოჰკალ და დაიმკვდრე!“⁵ ამისთვისცა ჰრქუა აქაბ: „ან მპოე მტერმან მაგან ჩემმან“;⁶ ხოლო მეორე ესე ეტყოდა ჰეროდეს: „არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა ცოლად ცოლი ძმისა შენისაჲ“.⁷ იხილეა კლდეთა მათ შეურყეველთა სიმტკიცე? იხილეა უძღურებად იგი ქვშისაჲ, ვითარ ადრე დაეცემის, ადრე შეიმუსრვის? გინა თუ მეფესა თანა იყოს, გინა თუ მთავართა, უძღურ არს და საწყალობელ, და მოქმედთა მისთა ყოვლითა უბადრუკებითა აღავსებს. ამისთვისცა გამოაჩინა უფალმან საწყალობელი იგი საქმე ესე ვითართა მათ შენებათაჲ: „და იყო დაცემად სახლისა მის დიდ ფრიადო“. ამისთვის იყო დიდ ფრიად, რამეთუ განსაცდელი იგი არა ჯორციელთა საქმეთათვის იყო, არამედ – წარწყმედად სულისაჲ, გამოვრდომად სასუფეველისაგან ცათაჲსა და კეთილთა მათგან

¹ შდრ. მათ. 14,2; ლუკ. 9,7-9. ² ლუკ. 3,10. ³ მათ. 3,7. ⁴ 3 მეფ. 18,21. ⁵ 3 მეფ. 21,19.

⁶ შდრ. 3 მეფ. 21,20. ⁷ მათ. 14,4.

წარუვალთა; და პირველ მერმისა მის ჭირისა აქავე ყოველთა უსაწყალობელეს არს ესევეთარი იგი კაცი, მარადის მწუხარე არნ, მარადის ეშინინ, მარადის ზრუნავნ, მარადის იურვინ. ამისთვის ბრძენი იგი იტყოდა: „ივლტინ უღმრთოჲო, რაჟამს-იგი სდევნ არავინ“;¹ რამეთუ ესევეთართა მათ ეშინინ აჩრდილისაგანცა თვისისა და პირველ მერმისა მის სატანჯველისა აქავე იტანჯვიან. ამას მოასწავებდა უფალი და იტყოდა: „იყო დაცემად სახლისა მის დიდ ფრიადო“. ჯეროანი აღსასრული ყო კეთილთა მათ მოძღურებათაჲ, რადთა ყოველთა ასწაოს სივლტოლაჲ ცოდვისაგან და შეყუარებაჲ სათნოებისაჲ.

ან უკუე, ძმანო, ესე ყოველი გულისწმა-ვყოთ და ვივლტოდით ყოვლისაგანვე ბოროტისა საქმისა, შევიყუაროთ სათნოებაჲ, შევიტკბნეთ მცნებანი ქრისტესნი, რადთა აქაცა მტკიცე და შეურყეველ ვიყვნეთ და საუკუნოჲ იგი დიდებაჲ დავიმკვდროთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ იგავ. 28,1.

თავი კე

სიტყუად ესე: **„და იყო, რაჟამს დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, განუკრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი“ (7,28).**

თარგმანი: ნესისაებრ ბუნებითისა უმეტესად ჯერ-იყო მწუხარებაჲ სიძნელისა მისთვის თქუმულთაჲსა და შეურვებაჲ სიმაღლისა მისთვის დიდებულთა მათ მცნებათაჲსა. არამედ ესოდენ იყო ძალი სახიერისა მის მოძღურისა და მეუფისაჲ, ვიდრეღა საკრველებად შეცვალნა გონებანი მათნი, და ესოდენ დაუტკბეს სიტყუანი ესე გონებათა მათთა, ვიდრეღა შემდგომად დადუმებისაჲცა სუროდა კუალად სმენად მოძღურებისა მის და უკრდა სიკეთე იგი და ჭეშმარიტებაჲ მათი. და არცა თუ გარდამოვიდა რაჲ მთით, მოსწყდეს მას, არამედ შეუდგა ყოველივე იგი კრებული, ესოდენ დაჰნერგა უფალმან გონებათა მათთა ტრფიალებაჲ და სურვილი სიტყუათა მისთაჲ. ამისთვის იტყვს მახარებელი, ვითარმედ:

სახარებაჲ: **„განუკრდებოდა მოძღურებაჲ მისი, რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჴელმწიფებაჲ აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი“ (7,28-29).**

თარგმანი: და კუალად ესეცა მადლისა მისისა საქმე იყო, რამეთუ უმეტესად აღშფოთებაჲ შეჰგვანდა; რამეთუ უკუეთუ საქმით ხედვიდეს სასწაულთა მისთა და დაქოლვად მისი ენება მწიგნობართა და ფარისეველთა და გულისწყრომით სდევნიდეს, ვითარ ან, ოდესღა დაწყებაჲ ოდენ იყო მოძღურებისა მისისაჲ და სასწაული არარაჲ უჩუენა მათსა მას ზედა, არამედ სიტყვთ ხოლო წარმოუთხრა სწავლაჲ იგი მაღალი, და არა ვითარცა მწიგნობარნი; რად ვიტყვ მწიგნობართა? არამედ არცა თუ ვითარცა წინაჲსწარმეტყუელნი; არამედ ყოველსავე ჴელმწიფებითა ღმრთივშუენიერიტა ეტყოდა, ვითარმედ ესე რაჲმე ითქუაო პირველთა მათ მიმართ, ხოლო მე ესრეთ გეტყვ; და კუალად თავი თჳსი მოასწავა მსაჯულად და განმკითხველად ყოველთა. ვითარმცა არა უმეტესად შეჰგვანდა განკრთომად მოძღურებასა ამას ზედა? გარნა არარაჲ ესევეთარი შეემთხვა, არამედ უფროჲსად განკრვებულ იყვნეს. ესე ამისთვის: პირველად, რამეთუ მადლი უფლისაჲ განუღებდა კარსა გულთა მათთაჲსა, და მეორედ, რამეთუ არა იყვნეს მუნ უღმრთონი იგი და უკეთურნი მწიგნობარნი და ფარისეველნი, არამედ ერი იყო მარტივი და წრფელი; ხოლო ოდეს ესრეთ სული წრფელი იპოოს, ადრე შეინწყნარებს სარწმუნოებასა ჭეშმარიტებისაჲსა და ადრე შევალს მას შინა მადლი იგი საღმრთოდ. ამისთვისცა მთავარნი იგი და მღდელნი ჰურიათანი, რამეთუ საჲსე იყვნეს უკეთურებითა, ხედვიდეს ძალთა მათ და სასწაულთა უფლისათა და დაბრკოლდებოდეს, ხოლო ერი ესე უმანკოდ სიტყუათათჳს მარტივთა გან-

კვრდებოდეს და სარწმუნოებით მისდევდეს, ვითარცა მოასწავებს მახარებელი და იტყვს:

სახარება: „**და გარდამოვიდოდა იგი მიერ მითით, და მოსდევდა მას ერი მრავალი**“ (8,1).

თარგმანი: არავინ იყო მუნ მთავართაგანი და მნიგნობართა, არამედ რავდენნიცა თავისუფალ იყვნეს უკეთურებისაგან და აქუნდა გონება ნრფელი. ესენი უკუე არა ან ოდენ, არამედ ყოველსავე სახარებასა შინა იხილვებიან შემსჭულაღულად სარწმუნოებასა მისსა და მოსურნე მოძღურებისა მისისა. ამისთვისცა, ასწავლიდა რად, დუმილით ისმენდეს, არცა გარდაუნყუედდეს სიტყუასა, არცა გამოსაცდელთა ზრახვათა წინაუყოფდეს, ვითარ-იგი ფარისეველი იქმოდეს; და კუალად, აღასრულა რად მოძღურებად იგი და გარდამოვიდოდა მიერ მითით, სარწმუნოებით მისდევდეს მას და განკვრვებულ იყვნეს სიტყუათა მათ ზედა.

ხოლო შენ გულისწმა-ყავ სახიერებად და სიბრძნით განგებულებად მეუფისად, ვითარ თითოსახედ განანესებს სარგებელსა მას ერისასა, სიტყუტცა და საქმით, და სასწაულთაგან მოვიდა სწავლად და კუალად სწავლისაგან მიიქცა სასწაულთა საქმედ. რამეთუ პირველ მთად აღსლვისა მრავალნი კურნებანი ქმნნა, რადთა მოიყვანოს ერი იგი სმენად სწავლისა მის, და კუალად, ვინაფთგან მრავალი ესე და კეთილი მოძღურებად სრულყო, სასწაულივე უჩუენა, რადთა არა სიტყვთ ხოლო ჩნდეს ჳელმნიფებად მისი, არამედ საქმითცა. ამისთვის იტყვს მახარებელი:

სახარება: „**და აჰა ესერა კეთროანი ვინმე მოუწდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედა ჩემი. და მიყო ჳელი თვისი იესუ, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განწმიდნი! და მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან. და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელთა და შეწირე შესანირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე საწამებულად მათდა**“ (8,2-4).

თარგმანი: დიდ არს გონიერებად და სარწმუნოებად კეთროვნი-სად მის, რამეთუ ვიდრელა საღმრთოსა მას მოძღურებასა წარმოიტყოდა უფალი, არა დახრწევა-სცა, არცა კრებული იგი შეაშფოთა, არამედ მოელოდა ჟამსა მარჯუესა, და გარდამო-რად-წდა მითით, მაშინლა მოუწდა, და მოუწდა არა ლიტონად, არამედ დიდითა სარწმუნოებითა და მწურვალეებითა ფრიადითა, თაყუანის-სცემდა და შეუვრდებოდა მას, ვითარცა ჯერ-იყო; და არა ჰრქუა: უკუეთუ ევედრო ღმერთსა ანუ ილოცო, არამედ: „უკუეთუ გინდესო, ძალ-გიც განწმედა ჩემი“; და ეგრეთცა მისსა ნება-სა და განგებულებასა მიაგდო ყოველივე. ამისთვისცა უფალმან დაამტკიცა მისისა მის გონებისა კეთილი ზრახვად და ჰრქუა: „მნებავს, განწმიდნი!“

რადთა ცნან ყოველთა ძალი ჴელმწიფებისა მისისაჲ. ხოლო მოციქულნი არა ესრეთ იქმოდეს, არამედ იტყოდეს: „კაცნო ისრაიტელნო, რაჲსა გიკვრს ამას ზედა? ანუ ჩუენ რაჲსა გუხედავთ, ვითარცა თჳსითა ძალითა ანუ ჴელმწიფებითამცა გუექმნა სლვაჲ მაგისი?“¹ გარნა მეუფემან დაღაცათუ მრავალგზის სიტყუანი სიმდაბლისანი თქუნის და არა შემსგავსებულნი დიდებასა თჳსსა, არამედ ან დასამტკიცებელად გონებათა მათთა, რომელნი განკვრვებულ იყვნეს სწავლათა მათ მისთა ზედა ჴელმწიფებით თქუმულთა, ჰრქუა კეთროანსა მას: „მნებავს, განწმიდნი!“

ხოლო სხუათა მათ აურაცხელთა სასწაულთა მისთა შინა არასადა ჩანს, თუ ესე სიტყუამცა ეთქუა, არამედ აქა – დასამტკიცებელად იჭჳსა მის, ერისაცა და კეთროვნისა მის, ჴელმწიფებისა მისისათჳს. ამისთჳს ჰრქუა: „მნებავს, განწმიდნი!“ და მეყსეულად სიტყუასა მისსა საქმეცა შეუდგა, რამეთუ უფალი იყო და ღმერთი ყოველთაჲ. და არა სიტყვთ ხოლო ჰრქუა: „მნებავს, განწმიდნი“, არამედ ჴელიცა თჳსი მიყო და შეახო მას, რომელ-ესე ღირს არს ძიებისა, თუ ვინაჲთგან ნებითა ხოლო და სიტყვთა განსწმედდა მას, რაჲსათჳს ჴელიცა შეახო? მე ვჰგონებ, თუ ამისთჳს, რაჲთა აჩუენოს ყოვლით კერძო ჴელმწიფებაჲ თჳსი, ვითარმედ არა მონებასა შინა არს შჯულისასა, არამედ უფალი არს მისი, და ვითარმედ წმიდისა მის თანა ვერცა ერთი რაჲ არანმიდებაჲ შემძლებელ არს დადგრომად. ამისთჳსცა ელისე წინაჲსწარმეტყუელმან არცა თუ იხილა კეთროანი იგი ნემან მთავარი ასურთაჲ, არამედ დაბრკოლდა თუ იგი არახილვისა მისისათჳს, გარნა მან დამარხვისათჳს წესსა მას შჯულისასა არა თავს-იდვა განსლვად მისა, არამედ მიუმცნო იორდანედ წარსლვაჲ. ხოლო უფალმან გამოაჩინა, ვითარმედ არა ვითარცა მონაჲ, არამედ ვითარცა უფალი ჰყოფს კურნებასა მას. ამისთჳს მიყო ჴელი თჳსი და შეახო მას, რამეთუ არა თუ ჴელი იგი კეთროვნებისა მისგან შე-რაჲ-მე-იმწინკულოდა, არამედ გუამი იგი კეთროვნისაჲ შეხებითა ჴელისა მის წმიდისაჲთა განწმიდნებოდა, და არა ჴორცნი ხოლო, არამედ სულიცა, რამეთუ არა ჴორცთა კურნებაჲ ოდენ მოსრულ იყო, არამედ უფროჲსად სულთაცა.

და ვითარცა ჴელითა უბანელითა ჭამად არღარა აყენებდა, არამედ გულისა უბრძანებდა განწმედად, ეგრეთვე აქა ასწავებს, ვითარმედ სულისაჲ ჯერ-არს მოღუანებაჲ და მისისა მის კეთროვნებისაგან საჴმარ არს კრძალვაჲ, რომელ არს ცოდვათა ბილწებაჲ; ხოლო კეთროვნებაჲ ჴორცთაჲ არარად სავენებელ არს სულისა. ამისთჳს პირველად თავადმან მიყო ჴელი და შეახო კეთროვანსა მას, და მას ზედა არაჲინ აბრალა მას, რამეთუ არა იყო სამსჯავროსა მას კრებული უკეთურთაჲ, არცა შურითა სავსე იყო ერი იგი, რომელი ხედვიდა სასწაულსა მას. ამისთჳს არა ხოლო თუ დაუბრკოლებელად ეგნეს, არამედ უფროჲსად განკვრვებულ იყვნეს დიდებულთა

¹საქმე 3,12.

მათვს სიტყუათა და საქმეთა, და მიუნთომელსა მას ძალსა მისსა თაყუანის-სცეს დიდითა გულსმოდგინებითა.

ხოლო განკურნა რად კეთროანი იგი, ჰრქუა მას: „იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ, უჩუენე თავი შენი მღდელთა და შენირე შესანირა-ვი შენი, რომელი ბრძანა მოსე სანამებელად მათდა“. თქუეს ვიეთმე: ვინათგან შჯულსა შინა წერილ არს, ვითარმედ: ოდეს განწმიდნეს კეთრო-ანი, იხილონ იგი მღდელთა და, უკუეთუ ჭეშმარიტად განწმიდელ იყოს, მაშინ შეჰრაცხონ იგი განწმიდელთა თანა და შენირონ შესანირა-ვი მისი; ხოლო უფალმან ამისთვის ამცნო არავისდა თხრობად, რადთა არა შური-სათვს თქუან მღდელთა მათ, ვითარმედ: არა კეთილად განწმიდელ ხარ. არამედ მე სიტყუად ესე შეუნყნარებელად მაქუს და უგუნურებით თქუმულად. რამეთუ არა თუ ესრეთ ყო უფალმან განწმიდად მისი, რადთა იტყუელ რამემცა იყო, ანუმცა ძალ-ედვა თქუმად ვის, თუ: შესაძლებელ არს უადრესად განწმიდად, არამედ ესრეთ განწმიდა, ვიდრელა მრავალთა შუენიერ-თა და სრულიად უვნებელთასა უკეთეს და უშუენიერეს იყო.

ხოლო არავისდა თხრობად ამისთვის ამცნო, რადთა წესი და მოძღურე-ბად მოგუცეს სიმდაბლისად და კეთილთა საქმეთა დაფარვისად. არა თუ არა იცოდა უფალმან, ვითარმედ არა ეგულებოდა მას დაფარვად სასწაულისად მის, არამედ ყოველთა შორის ქადაგებად, გარნა ეგრეთცა, რად-იგი ჯერ-იყო, თავისა მიერ თვისსა ქმნა და არავისდა თხრობად უბრძანა.

ხოლო სხუასა ადგილსა ვითარ ბრძანა თქუმად სასწაულისა მის? არარად არს ამას შინა წინააღმდეგომი, რამეთუ ყოვლისა კეთილისა ენება უფალსა სწავლად კაცთა. ამისთვის ამას კეთროვანსა ჰრქუა არავისდა თქუმად, რად-თა გუასწაოს დაფარვად კეთილისსაქმეთად, და უფროსად, უკუეთუ ვინ მოილოს ღმრთისაგან მადლი კურნებათად. ხოლო მუნ ამცნო ქადაგებად, რადთა მისცეს ღმერთსა დიდებად განკურნებულმან მან, და რადთა ჩუენ ვისწაოთ მადლობად ღმრთისად და ქადაგებად დიდებულებათა მისთად; რამეთუ უმრავლესნი კაცნი, სნებასა რად შთავარდენ, მოიწესენებენ ღმერთსა, ხოლო განიკურნენ რად, კუალად უდებებასა შთავარდებიან. ამისთვის ბრძანებს, რადთა გინა თუ უძღურ ვიყვნეთ, გინა თუ მრთელ, ვჰმადლობდეთ ღმერთსა; ამისთვის იტყვს მას ადგილსა: „მიეც ღმერთსა დიდებაო“.

ხოლო რადსათვს უბრძანა კეთროანსა ამას ჩუენებად თავი თვისი მღდელთა და შენირვად შესანირა-ვი? რამეთუ წესი შჯულისად ინება ამას საქმესა ზედა აღსრულებად. რამეთუ არცა ყოველსავე წესსა მისსა იმარ-ხვიდა, არცა ყოველსავე დაჰჰსნიდა, არამედ ოდესმე ამას იქმოდა და ოდესმე – მას, რადთა დაჰსნითა რომელთამე წესთადთა ყოფადისა ამის სრულისა წესისა და ახლისა შჯულისა საიდუმლოდ მოასწაოს, ხოლო აღ-სრულებითა რომელთამე წესთადთა ურცხვონი იგი პირნი ჰურიათანი და-უყვნეს და უძღურებასა მათსა თანამიჰყვეს. და რად გიკვრს, უკუეთუ იგი დანყებასა მას ქადაგებისა თვისსასა იმარხვიდა რომელთამე წესთა შჯუ-

ლისათა, ვინაიდან ვჰპოვებთ მოციქულთა შემდგომად ამაღლებისა უფლისა და დანყებისა სრულიად ახალსა ამას შჯულსა და ძუელისა მის წესთა დაცხრომისა, ვითარმედ რომელსამე ზედა იმარხვიდეს შჯულსა სიტყვთა უფლისადათა და რომელსამე თანანარჰყდებოდეს. და ანცა ქრისტემან აღსრულებად წესსა მას შჯულისასა უბრძანა კეთროანსა მას შენირვად შესანირავისა მის, რომელი განწესებულ იყო, რამეთუ ესრეთ იყო ძუელისა მის შჯულისა ბრძანებად, რაათა ოდეს კეთროანი განმდეს, უჩუენოს თავი თჳსი მღდელთმოძღუარსა და მისითა ნამებითა შეერაცხოს განმდელითა თანა. და უკუეთუმცა არა ჰრქუა მღდელმან, თუ: წმიდა ხარ, გარეგან შესაკრებელისა არნ, ვითარცა არანმიდაა. ამისთჳს ჰრქუა: „უჩუენე თავი შენი მღდელთა და შენირე შესანირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე“, რაათა გამოაჩინოს, ვითარმედ წესსა მას შჯულისასა მიავლინებს მას, და დაუყოს პირი მათი, რაათა ვერ იტყოდინ, თუ: პატივი მღდელთად მიიტაცა. ამისთჳს სასწაული იგი თავადმან ქმნა, ხოლო ხილვად საკვრველისად მის და განცდად მისი მღდელთა მიუშუა.

ხოლო რად არს ესე, თუ: „სანამებელად მათდა“? ესე იგი არს, სამხილებელად, შესანამებელად, საკდემელად ურწმუნოებისა მათისა, ვინაიდან იტყოდეს, თუ: ამისთჳს ვსდევნით, რამეთუ წინააღმდგომ არს ღმრთისა და შჯულისა მის მოსესისა. ამისთჳს ჰრქუა ამას კეთროანსა ჩუენებად თავი თჳსი მღდელთა და შენირვად შესანირავი, მოსეს მიერ განწესებული, რაათა იყოს საქმე ესე სანამებელად უკეთურებისა მის მღდელთადასა, რაჟამს ჩნდეს, ვითარმედ კეთროანი იგი განკურნა რად, აღსრულებად წესთა მათ შჯულისათა უბრძანა, რაათა გამოაჩინოს, ვითარმედ არა წინააღმდგომ არს; რამეთუ დაღაცათუ იცოდა, ვითარმედ რადცა ყოს, არარას ერგების უკეთურთა მათ, გარნა იგი ყოველსავე აღასრულებს, რაათა უსიტყუელ-ყვნეს იგინი. ამისთჳს არა ჰრქუა, თუ: მივედ, უჩუენე თავი შენი მღდელთა და შენირე შესანირავი სარგებელად მათდა და განსამართებელად, არამედ „სანამებელადო“, ესე იგი არს, შესასმენელად და სამხილებელად და პირის დასაყოფელად; რაათა გამოჩნდეს, ვითარმედ ჩემ მიერ ყოველივე ვქმენ, არამედ იგინი თჳსსავე უკეთურებასა ზედა ეგნეს; ვითარცა სხუასა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „იქადაგოს სახარებად ესე ყოველსა სოფელსა სანამებელად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოინიოს აღსასრული“;¹ ესე იგი არს, სანამებელად და სამხილებელად მათდა, რომელთა არა ინებონ მოსლვად სარწმუნოებად, რამეთუ ვერვინ უძლოს თქუმად, თუ: მე არა მესმა. ამისთჳს განვაგლენ ქადაგებასა ამას ყოველსა სოფელსა, რაათა შესანამებდეს ყოველთა წარმართთა ქადაგებად იგი, ვითარმედ ესმა და არა შეინყნარეს. ამისთჳს კიდეთა ქუეყანისათა ისმა სიტყუად სახარებისად.

¹მათ. 24,14.

სწავლად კე

ვითარმედ ჯერ-არს მარადის მადლობად ღმრთისად

ან უკუე, საყუარელნო, ესე ყოველი გულისწმა-ვყოთ და მოსწრაფე ვიყვნეთ ჩუენცა ჩუენებად მოყუასთა ზედა ყოვლისავე ხარკებისა სარგებელად სულთა მათთა, ვითარცა უფალმან აჩუენა ჩუენ ყოველთა ზედა და დღითი-დღე აჩუენებს აურაცხელთა მათ ქველისმოქმედებათა მისთა, რომელთათვის თანაგუაც მარადის მადლობისა შეწირვად მისა საქმით და სიტყვით. არა თუ მას ეწმარების ჩუენმიერი მადლობად, არამედ ჩუენ მადლობითა მისითა თავთა ჩუენთა კეთილსა უყოფთ და სიყუარულად მეუფისა ჩუენისა მოვალთ, რამეთუ უკუეთუ კაცისა მიერ ყოფილი ჩუენ ზედა კეთილი მოვიწსენით რად, სიყუარულად კეთილისმყოფელისა მის აღვიძრნით გონებითა, ვითარ უფროდსად, მოვიწსენებდეთ რად კეთილთა მათ ღმრთისამიერთა, არამცა სიყუარულიცა მისი აღორძნდა გულთა შინა ჩუენთა და უმეტესი მოსწრაფებად მოვიგეთ აღსრულებად მცნებათა მისთა?

რამეთუ ნანდვლვე მცველი დიდი არს ქველისმოქმედებისად სამარადისოდ ქველისმოქმედისა მის წსენებად და მადლობით დიდებად. ამისთვისცა შესაძრწუნებელსა მასცა საიდუმლოსა ცხორებისა ჩუენისასა, რომელ არს წმიდად ჟამისწირვად, მადლობა ეწოდების; რამეთუ მრავალთა ქველისმოქმედებათა მისთა წსენებად აღსრულების, და თავი იგი განგებულებისა მისისად გამოჩნდების და ყოვლით კერძო მადლობად გუაწუევს; რამეთუ უკუეთუ ქალწულისაგან შობად მისი საკვრველ არს, რომლისათვისცა განკვრევით იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ესე ყოველი იქმნაო“¹; უკუეთუ შობასა „ყოველივე“ ეწოდა, რად-მე ვთქუათ, ოდეს მოვიწსენოთ ჯუარ-ცუამად, დათხევად სისხლისად, სიკუდილი, და რომელ-ესე თავი თვისი მოგუცა ჩუენ ტაბლად სულიერად და საქმლად ცხორებისად?

ვჰმადლობდეთ უკუე სახიერებასა და სიტკობებასა მისსა დაუცხრომელად. და ესე იყავნ დასაბამ ყოველთა საქმეთა და სიტყუათა ჩუენთა, მადლობად ღმრთისად. და ნუ ხოლო თავთა თვისთათვის ვჰმადლობთ, არამედ ძმათათვისცა ჩუენთა, რადთა აღმასრულებელ ვიპოვნეთ სიყუარულისა. ამისთვისცა მღდელი ჟამსა მას საიდუმლოთასა შესწირავს მადლობასა ყოვლისა სოფლისათვის, პირველქმნულთა კეთილთა მისთათვის ჩუენ ზედა და აწ ყოფადთა და მერმე მომავალთა. და ჩუენცა ეგრეთვე გვბრძანებს ყოფად, რადთა ჭეშმარიტისა მის სიყუარულისა მიერ ქუეყანისაგან ზეცად ავმალდდეთ და ანგელოზთა მობაძავ ვიქმნეთ, რამეთუ იგინიცა ჩუენ ზედა ქმნილთა კეთილთათვის განწყობილნი მადლობასა შესწირვიდეს ღმრთისა და იტყოდეს: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშკდობად, და კაცთა შორის სათნობად!“² და არა თქუეს, ვითარმედ: რად არს

¹მათ. 1,22.

²ლუკ. 2,14.

ჩუენი საქმესა ამას შინა, რომელნი-ესე არა ქუეყანისანი ვართ, არცა კაცთა თანა შერაცხილ? არამედ უმეტესადლა მხიარულ იყვნეს, ვითარმცა იტყოდეს, ვითარმედ: ჩუენი არს კეთილი ესე ჩუენ თანამონათა მათ, რამეთუ ესრეთ ბრძანებულ არს ჩუენდა სიყუარული მათი, ვიდრელა კეთილნი მათნი თვსად შეგვრაცხიან. ეგრეთვე ნეტარი პავლე მარადის ყოვლისა სოფლისათვს შესწირავს მადლობასა. ამისთვის ჩუენცა მარადის ვჰმადლობდეთ მას ჩუენთვისცა და მოყუასათვს, აურაცხელთა მათ კეთილთა მისთა ზედა, დიდთა და მცირეთა, და უფროსად არარაჲ არს მის მიერ მოცემული მცირე, არამედ ყოველნივე კეთილნი მისნი დიდ არიან და დიდებულ.

და რაჲთა სხუათა მათ თანანარვჰჰდე, რომელნი უმრავლეს არიან ქვშისა, ესე ხოლო ვაჰსენო: რაჲმცა სწორ იყო ჩუენთვის ქმნილისა მის განგებულებისა მისისა, ვითარ მხოლოდშობილი ძე მისი ჩუენთვის სიკუდილად მოავლინა, ჩუენთვის – მტერთა ამათ და განდგომილთა; და შემდგომად სიკუდილისა და აღდგომისა მისისა კუალად მოგუცა იგი ტაბლად სამარადისოდ და სანოაგედ სულთა გამომზრდელად; და ამას ყოველსა ზედა მადლობაჲ მანვე გუასწავა, რამეთუ ამისთვის საიდუმლოჲსა მის აღსრულებაჲ სამარადისოდ განანესა, რაჲთა მარადის ვსენებად ესევეითარისა მის ქველისმოქმედებისა მისისა მომიყვანებდეს და მადლობად მისა აღგუადგენდეს.

ესრეთ ყოვლით კერძო მოსწრაფე არს დამბადებელი ჩუენი კეთილთა ჩუენთათვს, ამისთვის მრავალგზის თვნიერ ჩუენისაცა ნებისა და თვნიერ ჩუენისა მეცნიერებისა კეთილი გვყვის. და გულისჴმა-ყავთ ესე ნეტარისა პავლესგან, რამეთუ ვინაჲთგან მრავალთა მათ ჭირთა და განსაცდელთა მისთათვს ევედრა ღმერთსა მრავალგზის, რაჲთა აღუსუბუქნეს, არა მისსა მას თხოასა მიხედნა ღმერთმან, არამედ უმჯობესისათვს იზრუნა; ამისთვის ჰრქუა მას: „კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“. ¹ საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ვიდრელა არა ეთქუა მისდა მიზეზი ესე, თვნიერ ნებისა მისისა კეთილსა უყოფდა. ესრეთ უკუე იქმს ყოველთავე ზედა სახიერი იგი უფალი.

ან უკუე ესე უწყოდით და მარადის ვჰმადლობდეთ ღმერთსა ყოველსავე ზედა, რამეთუ დიდი ბოროტი არს უმადლოებაჲ, ამან წარწყმიდნა ჰურიანი, უმადლოებაჲმან მათმან, ამან დააქცინა იგინი სულიერად და ჴორციელად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „სასოებაჲ უმადლოთაჲ, ვითარცა თრთვლი ზამთრისაჲ“; ² ესრეთ მოაკუდიანებს უმადლოებაჲ სულსა, ვითარიგი განჰყინავს და ავნებს ჴორცთა. ხოლო იქმნების უმადლოებაჲ ანპარტავნებისაგან, რაჲჟამს აქუნდეს კაცსა თავი თვსი ღირსად; ხოლო გული შემუხრვილი და მდაბალი ყოველსავე ზედა ჰმადლობნ ღმერთსა, გინა თუ კეთილი შეემთხვის, გინა თუ განსაცდელი, რამეთუ კეთილისა უღირსად

¹ 2 კორ. 12,9.

² სიბრძ. სოლ. 16,29.

შეპრაცხის თავი თვისი, ხოლო განსაცდელი რაოდენიცა შეემთხვის, იტყვნ, ვითარმედ უმეტესისა ღირს არს.

ან უკუე ჩუენცა რავდენლა წარვემატებოდით სათნოებასა შინა, უმეტესად შევმუსრნეთ თავნი ჩუენნი, რამეთუ ესე არს სათნოებაჲ ქეშმარიტი. და ვითარცა-იგი რაოდენცა კეთილად ვხედვიდეთ და სიმაღლესა ცათასა განვიცდიდეთ, უმეტესად ვსცნობთ, რაჲზომ შორს ვართ მისგან, ეგრეთვე რაოდენცა მივინინეთ საზომსა სათნოებისასა, უმეტეს ვჰპოვებთ თავთა ჩუენთა ნაკლულევან დიდებისაგან ღმრთისა.

ხოლო ესეცა დიდი სიბრძნე არს, უკუეთუ კაცმან ცნას საზომი თვისი; რამეთუ მან იცის ქეშმარიტად საზომი თვისი, რომელსა შეერაცხას არარად თავი თვისი, ვითარცა აბრაჰამ და დავით და სხუათა ყოველთა წმიდათა, ოდეს მიინინეს სიმაღლედ სათნოებისა, მაშინ უფროდსად დააკნინეს თავნი მათნი. და აბრაჰამ „მინა და ნაცარ“¹ უწოდა თავსა თვისსა, ხოლო დავით – „მატლ და არა კაც“;² და ესაია იხილა რაჲ უფალი, ღალატ-ყო: „ჰ უბადრუკსაო!“³ და ყოველნი წმიდანი ესრეთ აბრალებენ თავთა თვისთა, ხოლო ზუავთა და ანჰარტავანთა ყოლადვე არა იციან საზომი თვისი. და რომელმან თავი თვისი არა იცოდის, მან სხუად რაჲმცა იცოდა? ესევეთარი იყო იგი, რომელმან თქუა: „დავდგა საყდარი ჩემი მალალთა ზედა“;⁴ ვინაჲთგან თავი თვისი არა იცოდა, თუ ვინ არს. ამისთვის სრულიად უგუხურ იქმნა. არამედ არა ესრეთ იყო პავლე. ამისთვის წარჩევად ყოველთა უწესსა თავსა თვისსა და არადირსად მოციქულებასა ესოდენტა მათ კეთილთა მისთა ზედა. მას უკუე ვჰბაძვიდეთ, მორწმუნენო. ხოლო ესე წარვეშართოთ, უკუეთუ განვეშორნეთ საქმეთა და ზრუნვათა სოფლისათა; რამეთუ არარად ესრეთ დაგუაბრკოლებს ცნობად თავთა თვისთა, ვითარ შემსჭუალვად სოფლისა საქმეთა, და არარად ესრეთ შეგუამსჭუალავს სოფლისა საქმეთა, ვითარ უცნაურობად თავისა თვისისაჲ. ხოლო რომელმან უგულებელს-ყვნეს სოფლისა საქმენი, მან თავიცა თვისი იცნას და სხუათაცა სათნოებათა შინა წარვემატოს.

ან უკუე, ძმანო, ჩუენცა კეთილი ესე წესი შევიკრძალოთ, განვეყენნეთ სიყუარულსა ცუდთა ამით და წარმავალთასა, ვიცნათ უნდოებაჲ თავთა თვისთაჲ და შევიტკობთ წესი სიმდაბლისაჲ, რაჲთა საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ დაბ. 18,27.

² ფსალმ. 21,7.

³ ესაია 6,5.

⁴ ესაია 14,13.

თავი 33

სიტყუად ესე: „და შე-რად-ვიდა იგი კაფარნაუმდ, მოუჭდა მას ასისთავი, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, მონად ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული და ფრიად იგუემების“ (8,5-6).

თარგმანი: კეთროანი იგი ზემონერილი მოუჭდა უფალსა, გარდა-მოვიდოდა რად მთით, ხოლო ასისთავი – შესლვასა ოდენ მისსა კაფარნა-უმდ. რადსათს უკუე არცა იგი, არცა ესე აღვიდეს მთად? არა თუ უდებე-ბისათს, – ნუ იყოფინ! – არამედ უმეტესისა კრძალულებისათს, რადთა არა ჟამსა მას მოძღურებისა მისისასა სანყინოდ ექმნენ მას. ხოლო მოუჭდა რად ასისთავი ესე, ეტყოდა: „უფალო, მონად ჩემი დაცემულ არს სახლსა ში-ნა ჩემსა განრღუეული და ფრიად იგუემების“.

ვიეთნიმე იტყვან, ვითარმედ არამოყვანებისა მისთს ყრმისა მის ეტყვს ესრეთ, რადთა აუნყოს, ვითარმედ ამისთს ვერ უძლო მოყვანებად, რომელ მძიმითა სნებითა შეპყრობილ იყო. ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ ესეცა ფრიადისა მის სარწმუნოებისა მისისა სახე არს, რამეთუ ესოდენ გულსავე იყო, ვითარმედ კმა არს ბრძანებად ხოლო მეუფისა ადგი-ნებად განრღუეულისა მის, ვიდრელა არცა თუ საჯმარ იჩინა აღებად და წინაშე მისსა მიყვანებად, ვითარ-იგი ქმნეს მათ, რომელთა განრღუეული იგი სართულით გარდაუტევეს, რამეთუ უმეტეს იყო ამისი, ვიდრელა მათი სარწმუნობა.

იხილეთ უკუე, ვითარ შეინყნარა იგი უფალმან და, რომელ სხუად არ-ლასადა ექმნა, ან აღასრულა, რამეთუ მარადის გონებასა მვედრებელთა მისთასა მიჰყვის, ხოლო აქა უმეტესიცა აჩუენა და არა განკურნებად ხოლო აღუთქუა, არამედ მისლვადაცა სახედ მისა; და ესე ამისთს ქმნა, რადთა გუ-ლისგმა-გკყოს სათნობად ასისთავისა მის, რამეთუ უკუეთუმცა არა ეს-რეთ ეთქუა, ვერმცა გუეცნა სიკეთე კაცისა მის.

ხოლო ესე საქმე ქანანელისა მის დედაკაცისა ზე წინააღმდგომად ქმნა, რამეთუ აქა არა უწოდდა მისლვად, და თავით თვსით მოსწრაფე არს მი-სლვად და კურნებისა მის მიცემად, რადთა საცნაურ-ყოს ასისთავისა მის სარწმუნობად და ფრიადი სიმდაბლე. ხოლო ქანანელი იგი ევედრებოდა ღმერთსა, და ჰყოვნიდა უფალი მიცემად თხოისა მისისასა და უჯეროდ სახელ-სდებდა მინიჭებად მისდა კურნებისა მის, რამეთუ მკურნალი არს ბრძენი და ღონიერი და მრავალსახედ ჰკურნებს სულთა; აქა უხუად მიმ-ნიჭებელობითა განაცხადა სარწმუნობად ასისთავისა მის და კუალად მუნ დაყოვნებითა მით და მკსინვარედ მიგებითა გუაუნყა სარწმუნობად დედა-კაცისა მის. ეგრეთვე აბრაჰამის ზე და ლოთისა იქმნა, რამეთუ აბრაჰამს გამოუცხადა დაქცევა იგი სოდომელთად, რადთა საცნაურ იქმნას საზომი სიყუარულისა მისისა, ვითარ მჭურვალედ ევედრებოდა სოდომელთათს;

და კუალად ლოთს არარა აუნყეს ანგელოზთა მათ, რაათა გამოჩნდეს უცხოთმოყუარებისა მისისა სათნოებაჲ.

იხილეთ უკუე, რასა ეტყჳს ასისთავი იგი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „**უფალო, არა ღირს ვარ მე, რაათამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ**“ (8,8).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვისმინოთ, მორწმუნენო, რომელნი-ესე ქრისტეს შევიწყნარებთ, რამეთუ შესაძლებელ არს ანცა შეწყნარებაჲ მისი. ვისმინოთ და ვჰბაძვიდეთ მას და ესევითარითავე მოსწრაფებითა შევიწყნაროთ, რამეთუ ოდეს გლახაკი შევიწყნაროთ, მშვიერი და შიშუელი, ქრისტესა შევიწყნარებთ სახედ ჩუენდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „**არამედ სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ ჩემი**“ (8,8).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, ვითარ მსგავსად კეთროვნისა მის ესეცა ჯეროვნად ეტყჳს, რამეთუ არა ჰრქუა, თუ: ევედრე ღმერთსა ანუ ილოცე, არამედ: „**თქუ სიტყვთ**“. ჩუენცა მარადის ესრეთ ვიტყოდით: უფალო, სული ჩემი დაცემულ არს ცოდვათა შინა განრლეული და ფრიად იგუემების მძლავრებისაგან ვნებათაჲსა; თქუ სიტყვთა, და განიკურნენ უკურნებელნი იგი ნყლულებანი მისნი. უკუეთუ გულითა მჭურვალითა და სარწმუნოებითა შეუორგულებელითა მოუწყინებელად ესრეთ ევედრებოდით, გურქუას ჩუენ სახიერმან მან: „**ნარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ**“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „**სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ იგი ჩემი. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჳელმწიფებასა ქუეშე და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი; და ვჰრქჳ მას: ნარვედ! და ნარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! და ქმნის. ესმა რაჲ ესე იესუს, დაუკვრდა და ჰრქუა ერსა მას, რომელნი მისდევედეს მას: ამენ გეტყჳ თქუენ: არცა ისრაჳტლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვჰოე**“ (8,8-10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რამცა იყო უზეშთაჲს ამის სარწმუნოებისა, ვინათგან თავადსა უფალსა დაუკვრდა იგი და ერსა მას სახედ მისცა საქმე იგი მისი, რაათა ჰბაძვიდენ მას. ჰხედავა, ვითარ რომელთაცა ნამეს ჳელმწიფებაჲ მისი და ჰრწმენა ძალი და უფლებაჲ მისი, ყოველნი ქებისა ღირს იქმნეს? პირველ ამისა „**განუკვრდებოდა ერსა მას მოძღურებაჲ მისი, რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჳელმწიფებაჲ აქუნ**“;² და არარაჲ ამას ზედა აბრალა, არამედ უფროჲსად გარდამოიყვანნა მითითავისა თჳსისა თანა და წინაშე მათსა კეთროანი იგი განწმიდა დასამტკიცებელად გულისსიტყჳსა მის მათისა.

¹ მათ. 8,13.

² მათ. 7,28-29.

კუალად კეთროანი იგი იტყოდა: „უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედად ჩემი“. და არა აბრალა, არამედ დაამტკიცა სიტყუად მისი და ჰრქუა: „მნეზავს, განწმინდნი!“ და კუალად ან თქუა ასისთავმან ამან: „სიტყუთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონად იგი ჩემი“. და განუკურდა უფალსა სარწმუნოებად მისი და თქუა: „არცა თუ ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოებად ვპოე“.

ესენი უკუე ესრეთ საქებელ იქმნეს, ხოლო მართა ვინადთგან არარად ესრეთ თქუა, არამედ ეტყოდა: „ვიცი, რამეთუ რადცა სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან“,¹ არა ხოლო თუ ქებისა არა ღირს იქმნა, არამედ მეცნიერ ღათუ იყო და საყუარელ და ფრიად მოსწრაფე მსახურებად უფლისა, გარნა შეჰრისხნაცა და განჰმართა ცთომილი გულისსიტყუად მისი, რამეთუ ეტყოდა: „არა გარქუა შენ, ვითარმედ: უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებად ღმერთისად?“² რომელ-ესე ბრალობად იყო, ვითარმცა არღა კეთილად ჰრწმენა. და კუალად, ოდეს იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ვიცი, რადცა სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან“, განაყენებდა ესევითარისა გულისსიტყუსაგან და გულისწმა-უყოფდა, ვითარმედ არა საწმარ არს მისდა თხოად, არამედ იგი თავადი არს წყაროდ კეთილთად. ამისთვს ჰრქუა: „მე ვარ აღდგომად და ცხორებად“.³ ესე იგი არს, ვითარმედ არა საწმარ არს ჩემდა მოცემად ძალი ზეგარდამო, არამედ უფალი ვარ ყოფად, რადცა მენებოს.

ხოლო აქა ვინადთგან ასისთავმან მან ესოდენი წამა ჴელმწიფებად მისი, აქო და უაღრესად ყოვლისა მის ერისა გამოაჩინა და ღირს-ყო სასუფეველსა ცათასა და სხუათა ბაძვად მისისა სათნოებისა მოუწოდა, ვითარცა იტყუს მახარებელი, ვითარმედ: „ჰრქუა ერსა მას: არცა თუ ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოებად ვპოე“. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ რომელ-იგი გულისწმა-ყო დიდი ჴელმწიფებად და ძალი მისი, ესე ექმნა მიზეზ სარწმუნოებისა და სასუფეველისა და სხუათა მათ კეთილთა. რამეთუ არა თუ სიტყუთ ხოლო აქო, არამედ უძღურებდაცა იგი მონისა მისისად განკურნა და ნიჭი დიდი აღუთქუა მას, რამეთუ იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ: მრავალნი მზისაღმოცავალით და დასავალით მოვიდოდინან და ინაწ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთად. და ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა მონად იგი მისი მას დღესა შინა“ (8,11-13).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინადთგან ლუკაცა აწსენებს ამას სასწაულსა და მცირედრე შეცვალებულად იტყუს, რადთა არავინ თქუას, თუ ურთიერთას წინააღუდგებიან, ჯერ-არს ამისი განმარტებად.

¹ იოან. 11,22.

² იოან. 11,40.

³ იოან. 11,25.

ვითარ უკუე იტყვს ლუკა? ვითარმედ: „შევიდა იესუ კაპერნაუმდ. და ასისტავისა ვისმე მონად სნეულ იყო და მიახდა აღსრულებად, რომელი იყო მისა პატიოსან. და ესმა მას იესუსთვს და მიავლინა მისა მოხუცებულნი ჰური-ათანი ვედრებად მისა, რადთა მოვიდეს და განკურნოს მონად იგი მისი“.¹ ხოლო მათე იტყვს, ვითარმედ: თავით თვსით მოუჭდა ასისტავი იგი და ევედრა.

თქუეს ვიეთმე, ვითარმედ: სხუად არს ესე და სხუად არს იგი, დალაცა-თუ მსგავსებად აქუს, რამეთუ მისთვს ჰურიანი იტყვან, ვითარმედ: „შესაკ-რებელი მან აღმიშენა ჩუენ“,² ხოლო ამისთვს თქუა უფალმან, ვითარმედ: „არცა თუ ისრაჴლსა შორის ესოდენი სარწმუნოებად ვპოვე“. და სხუასა მრავალსა იტყვან, რადთამცა გამოაჩინეს, თუ არა ერთისათვს არს ორთავე მახარებელთა სიტყუა.

ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: ერთ არს ასისტავი ესე, ორთავე მიერ თქუმული, და ესე სიტყუად ჭემარიტ არს. ვითარ უკუე მათე იტყვს, ვითარმედ: იგი თვთ მივიდა იესუასა, ხოლო ლუკა იტყვს, ვითარმედ: სხუანი მიავლინა? მე ესრეთ გულისჴმა-ვჴყოფ, ვითარმედ ლუკა ლიქნისსიტყუა-ობასა მას ჰურიათასა მოასწავებს; რამეთუ ესმა რად ასისტავსა მას უფლისა მოსლვად, ენება მისლვად, ხოლო ჰურიანი ჰლიქნიდეს მას და ეტყოდეს: ნუ შრომასა შეიმთხუევ, ჩუენ წარვიდეთ და მოვიყვანოთ იგი. და დააყენეს იგი მისლვად. ამისთვსცა იხილენ სიტყუანი იგი ლიქნისა მათისანი, ვითარ ეტყოდეს უფალსა, ვითარმედ: „უყუარს ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ“. არცა თუ იცოდეს, თუ ვინად ჯერ-იყო ქებად მისი, რადთამცა ეთქუა, ვითარმედ: ენება მოსლვად თავით თვსით, არამედ ჩუენ დავაყენეთ იგი მწუხარებისა მისთვს, რომელი შეემთხვა მას, – რადთამცა ესრეთ გამოაჩინეს სარწმუნოებად მისი. ხოლო მათ ესევითარი არარად თქუეს, რამეთუ შურისაგან არა ენება სარწმუნოებისა მისისა გამოცხადებად, არამედ ფარვიდეს მას, რადთა არა დიდად შეჴრაცხოს იგი უფალმან, რამეთუ შემძლებელ არს შური სრულიად დაბნელებად გონებისა. გარნა მხედველმან მან გულთამან და მეცნიერმან დაფარულთამან თვნიერ მათისა ცა უწყებისა აქო გონებად კაცისად მის, ვითარცა ლუკავე განჴმარტებს სიტყუასა ამას, ვითარმედ: „იესუ წარვიდა მათ თანა. და ესმა რად ასისტავსა მოსლვად მისი, მიავლინა მეგობარნი და ჰრქუა: უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რადთა სართულსა ქუეშე სახლისა ჩემისასა შემოხვდე, რომლისაგან არცა თავი ჩემი ღირს-ვიჩინე მისლვად შენდა“.³ აქამდე იტყვს ლუკა. ხოლო ამისა შემდგომად, ეუწყა რად მოსლვად უფლისად, აღდგა და თავით თვსით მიეგებვოდა და ჰრქუა მას: „უფალო, არა ღირს ვარ, რადთამცა სართულსა ქუეშე ჩემსა შემოხუედ, არამედ სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონად იგი ჩემი“, და შემდგომი ამისი, ვითარცა მათე წამო-იტყვს. ხოლო რომელ ლუკა მისი იგი მისლვად არა თქუა, არცა მათე – ჰუ-

¹ ლუკ. 7,1-3.

² ლუკ. 7,5.

³ ლუკ. 7,6-7.

რიათა მივლინებად, ესე არა ურთიერთას წინააღმდეგობად არს, არცა ცილობად, – ნუ იყოფინ! – არამედ უფროსად თითოეულისა მეორისაგან დაკლებულისა აღსრულებად. და კუალად რომელ მათე იტყვს, ვითარმედ თქუა იესუ: „არცა თუ ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოებად ვპოვე“, – და ამით გამოაჩინა, ვითარმედ არა ისრაჲლთაგანი იყო იგი, არამედ კეისრისა მიერ მივლინებულთა მათ ასისტავთაგანი, ანუ ჰრომი, ანუ ბერძენი; ხოლო ლუკა იტყვს, ვითარმედ: ჰრქუეს ჰურიათა, რამეთუ: „უყუარსო ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ“, არცა ესე წინააღმდეგობი რამედ არს, რამეთუ იგიცა ამასვე მოასწავებს, ვითარმედ არა ჰურიათაგანი იყო, არამედ უყუარდა ნათესავი იგი და აღუშენა მათ შესაკრებელი.

ხოლო გულისწმა-ყავთ თითოეული სიტყუად მისი, როდენითა სიმდაბლითა და სარწმუნოებითა საესე არს. შორს იყო იგი ზუაობისა მისგან და ანპარტავანებისა მთავართადასა, ვითარ-იგი წერილ არს იოვანეს თავსა შინა სამეუფოდას მის კაცისათვს, რომლისა ძე სნეულ იყო, ვითარმედ იტყოდა, რადთა მივიდეს და განკურნოს: „მოვედ პირველ მოსიკუდილ ყრმისა მის“. ¹ არამედ ამან არა ესრეთ თქუა, რამეთუ ფრიადი აქუნდა სიმდაბლე და სარწმუნოებად. ამისთვის არცა უფალსა ეტყოდა მისლვად, არცა უძღური იგი მიიყვანა მისა, არამედ ჰრქუა: „სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს“. და ფრიადისა სიმდაბლისაგან პირველად არცა თუ მოელოდა, თუ ღირს-ყოს იგი უფალმან სიტყუად მისა. ვინაფთგან უკუე იხილა, რამეთუ ენება უფალსა მისლვად, მაშინ ჰრქუა: „სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს“. რამეთუ ეშინოდა უფლისა მიყვანებად სახედ თვსა გულისსიტყვთა ფრიადისა სიმდაბლისაფთა.

იხილეა გონიერებად მისი? ამისთვის სამართლად აქო უფალმან სარწმუნოებად მისი და უაღრესად გამოაჩინა ყოვლისავე კრებულისა ჰურიათადასა და მონად იგი განკურნა და ღირსად სასუფეველისა გამოაჩინა. რამეთუ ვინაფთგან მან შეწყნარებადცა უფლისა სახედ თვსა უღირსად შეჰრაცხა თავი თვსი, უფალმან ღირსად სასუფეველისა გამოაჩინა იგი და თანამკვდრად აბრაჰამისა.

თქუეს ვიეთმე, ვითარმედ: რად არა კეთროანიცა იგი ზემონერილი ღირს იქმნა ესევითარსა ქებასა, რომელმან უმეტესილა სარწმუნოებად აჩუენა? რამეთუ არცა თუ ესე თქუა მან, ვითარმედ: „სიტყვთ თქუ“, არამედ უაღრესად: „უკუეთუ გინდეს“ ² ოდენო (ვითარცა წინააღმდეგობი იტყვს, ვითარმედ: „ყოველივე, რადცა უნდა, ქმნა“ ³). გარნა გულისწმა-ყავთ, ვითარმედ იგიცა შემსგავსებულად თვსისა სარწმუნოებისა საქებელ იქმნა. ამისთვის მიყო ჴელი თვსი სახიერმან და ჰრქუა: „მნებავს, განწმიდენი!“ და მერმე ჰრქუა: „შენირე შესანირავი შენი სანამებულად მათდა“. ესე იგი არს, შენ ამხილო მათ და პირი დაუყო სარწმუნოებითა შენითა. და კუა-

¹ იოან. 4,49.

² მათ. 8,2.

³ ფსალმ. 113,11.

ლად, კეთროანი იგი ჰურიათაგანი იყო, ხოლო ასისტავი ესე – წარმართ. და არა ერთ იყო მაშინ ჰურიისა მის სარწმუნოებად, რომელსა თანანადე-ბად ედვა ესე, და წარმართისა, უფროსად ჯელმნიფებასა შინა მყოფისად, მოსლვად სარწმუნოებად, და ვითარ-იგი მას ჰრწმენა ესრეთ ძლიერად და მტკიცედ, რამეთუ გულისჯმა-ყო უფლებად მისი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და ცნა, ვითარმედ ესრეთ ჰმორჩილობენ მას სნებანი და სიკუდილი, ვითარ-იგი ერჩდეს მას მწედარნი. ამისთვის იტყვს: „რამეთუ მე კაცი ვარ ჯელმნიფებასა ქუეშე“, ესე იგი არს, ვითარმედ: მე კაცი ვარ ჯელმნიფებასა ქუეშე სხუათასა, ხოლო შენ ღმერთი ხარ, არავისსა ჯელმნიფებასა ქუეშე. ან უკუეთუ მე, რომელი-ესე კაცი ვარ დამონებული ჯელმნიფებასა მეფეთა და მთავართასა, მყვანან ერისაგანნი ჩემ ქუეშე, და უბრძანებ მათ და მერ-ჩიან, რავდენ უმეტესად შენ, რომელი-ეგე ღმერთ ხარ, არავისსა ჯელმნი-ფებასა ქუეშე, არამედ ყოველთავე უფალი და ჯელმნიფე, ყოველივე გმო-ნებს და გმორჩილობს. „რამეთუ მე კაცი ვარო ჯელმნიფებასა ქუეშე და მყვანან ერისაგანნი“, მსგავსნი ჩემისავე ბუნებისანი, არამედ ეგრეთცა არა წინააღმდეგებიან, რამეთუ „ვჰრქვ მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! და ქმნის“. რავდენ უმე-ტესად შენ ყოველივე ძალ-გიც, რადთა ვითარცა უფალმან მონასა, ესრეთ უბრძანო სიკუდილსა გინა თუ მოსლვად, და მოვიდეს, გინა თუ წარსლვად, და წარვიდეს.

ჰხედავა მორწმუნეობასა მისსა? რამეთუ რომელი-იგი უკუანადსკნელ ყოველთა მიერ საცნაურ-ყოფად იყო, ამან აწვე საცნაურ-ყო, ვითარმედ აქუს უფალსა ჯელმნიფებად სიკუდილისა და ცხორებისად, შთაყვანებად ჯოჯოხეთად და აღმოყვანებად. რამეთუ არა კმა-ყო სახე იგი ერისაგან-თად, არამედ მონადცა აწსენა უმეტესისა მორჩილებისა სახედ. ვინადთგან უკუე ესევითარისა კეთილისა გონებისა მიერ შემკობილ იყო, სამართლად პატივცემულ იქმნა ქრისტესგან და უმეტესი თხოისა თვისსად მიიღო; რა-მეთუ მოვიდა თხოად სიმრთელე ჯორციელი მონისა თვისსად და მკუდრო-ბად სასუფეველისად მიიღო და წარვიდა. ჭემმარიტად მის ზედა აღესრუ-ლა, ვითარმედ: „ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შე-გეძინოს თქუენ“;¹ რამეთუ ვინადთგან დიდი სარწმუნოებად და სიმდაბლე აჩუენა, ამისთვის უფალმან მისცა მას სასუფეველი და შესძინა კურნებად მონისად მის მისისად; და არა ამით ხოლო ჯერითა პატივ-სცა, არამედ – რომელ გამოაჩინა, თუ ვინ განისხმიან სასუფეველისაგან, და იგი შეიყვა-ნების. რამეთუ ამიერვე ყოველთა ეუნყების, ვითარმედ სარწმუნოებისა-გან არს ცხორებად და არა საქმეთაგან შჯულისათა; ამისთვისცა არა ჰური-ათა ხოლო, არამედ წარმართთაცა ნიჭი ესე დიდი მიეცეს, და უფროსლა მათ, ვიდრე ამათ. რამეთუ ამას მოასწავებს უფალი, ვითარმცა იტყოდა,

¹ მათ. 6,33.

ვითარმედ: არა თუ ამას ზედა ხოლო ყოფად არს ესე, არამედ ყოველსავე სოფელსა ზედა აღსრულებად არს; რამეთუ ვინაფთგან მაშინ წარმართთაგანნიცა მისდევდეს მას გალილეად, ესე სიტყუანი წარმოთქუნა, რაფთა წარმართთაგანთაცა სასოებად ცხორებისად მისცეს და ჰურიათაცა ზუაობად დაამწუხას. ხოლო რაფთა არა სრულიად დაბრკოლება-სცეს მათ, არა შემოიღებს განცხადებულად სიტყუასა მას წარმართთა ნოდებისასა, არამედ მიზეზი მიიღო ასისტავისა მისგან, და ეგრეთცა არავე თქუა განცხადებულად სახელი წარმართთა, ვითარმედ: მრავალნი მოვიდენ წარმართთაგან, არამედ მრავალნი მოვიდენო აღმოსავალით და დასავალით, რომელ-ესე წარმართთა მოსწავებად იყო, დაღაცათუ ცხადად არა სახელ-სდვა მათ არადაბრკოლებისათვს ჰურიათაფსა. რამეთუ ამისთვს, სასუფეველსა რაფ ავსენებდა, სახელი აბრაჰამისი შორის შემოიღო, რაფთა უმეტესად ეტიკინოს გული ჰურიათა, ესმას რაფ წიაღთა მისთაგან განვრდომად, რომლისა მიმართ იყო ყოველი სიქადული მათი, ვითარცა ნათლისმცემელი ეტიყოდა, ვითარმედ: „ნუ იტყუთ: მამად გვვის აბრაჰამ“.¹ ამისთვს უფალი განვრდომასა წიაღთა მისთაგან აუნყებს, რომელ-ესე დიდ არს ზღვევად მათ ზედა, – ერთად, რომელ განვარდეს, და მეორედ, რომელ მათდა განჩემებულისა და განწესებულისაგან იქმნა განვრდომად.

ხოლო წარმართთა სიხარული ორკერძოვე იქმნა, რამეთუ მიემთხვნეს კეთილთა, რომელთა მიმთხუევასა არა მოელოდეს. ხოლო ძედ სასუფეველისა ჰურიათა უწოდა, რომელთადა განმზადებულ იყო სასუფეველი, არამედ მათ უცხო-ყვნეს მისგან თავნი თვსნი; რამეთუ მათდა მოცემულ იყვნეს წიაღნი აბრაჰამისნი, არამედ განცკვეს უბადრუკნი და წარმართთაგანთა მორწმუნეთა ინაწ-იდგეს სასუფეველსა ცათასა.

ვინაფთგან უკუე განჩინებად იყო სიტყუად იგი და უწყებად ყოფადისად მის, ამისთვს დაამტკიცა სიტყუად თვსი აღსრულებითა მით სასწულისაფთა, ვითარცა-იგი სასწაულთა მათ, აღსრულებითა მის მიერ პირველვე თქუმულთაფთა, სარწმუნო-ჰყოფს; რამეთუ უკუეთუ ვინ ურწმუნო იქმნებოდის აღწერილთა მათ სასწაულთა, გულისწმა-ყოს უცთომელი იგი აღსრულებად მის მიერ წინაფსწარ თქუმულთაფ და ჰრწმენეს ყოველივე. და კუალად წინაფსწარმეტყუელებად სასწაულთა მათგან სარწმუნო იყო მაშინ მხილველთა მათ.

ამისთვსცა უფალმან პირველ თქუნა სიტყუანი ესე და მერმე განრლეული იგი განკურნა, რაფთა ხილულთაგან ყოფადი სარწმუნო-ყოს. და ჰრქუა ასისტავსა მას: „წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა მონად იგი მისი მას დღესა შინა“.

ერთითა ჯერითა ყრმასა მასცა სიმრთელე მისცა და ასისტავი სრულიად სარწმუნოებად მოიყვანა სასწაულითა მით. და ჭემმარიტად საკვრველ

¹ მათ. 3,9.

იყო მწრაფლი იგი კურნებად, ვითარ განრღუეული და სიკუდილად განწირული მეყსა შინა მრთელი აღდგა. ეგრეთვე კეთროვნისა მისთვის წერილ არს, „მეყსეულად განწმინდაო“, რამეთუ არა კურნებანი ხოლო იყვნეს განსაკურვებელ, არამედ წამსა შინა თუალისასაცა აღსრულებად სასწაულთა მათ, რომელ-ესე სრულიად უგულისწმოთაცა შემძლებელ იყო გულისწმის-ყოფად. ხოლო არა სასწაულთა მიერ ოდენ წინაუყოფდა უფალი სარგებელსა, არამედ რომელ-იგი სასწაულთა საქმისა თანა დაუცხრომელად სიტყუასა წინადაუდებდა სასუფეველისასა და ყოველთა მოიზიდვიდა თავისა თვისისა მომართ, რაფთა შეიყვანნეს სასუფეველად; რამეთუ რომელთა განგდებასა მიერ უთქუმიდა, არა ამისთვის უთქუმიდა, რაფთა განყარნეს, არამედ რაფთა შიშითა მით მოაქცინეს ბოროტთა საქმეთაგან. ხოლო უკუეთუ სიტყუათა მათგან არარად სარგებელ ეყო, მათისა მის უკეთურებისა იყო ცთომად და ყოველთა, რომელნი მათსა მას უკეთურებასა მიემსგავსებიან, რამეთუ არა ჰურიათა ხოლო შეემთხვა ესე, არამედ მრავალთა მორწმუნეთაგანცა. რამეთუ იუდაცა ძეთაგან სასუფეველისათა იყო, და ესმა მასცა მოციქულთა თანა, ვითარმედ: „დასხდეთ თქუენ ათორმეტთა საყდართა“,¹ არამედ მიიქცა და იქმნა იგი შვილ გეჰენისა. ხოლო ჰინდო იგი, საჭურისი დედუფლისა მის ჰინდოეთისაჲ, უცხოთესლი და ბარბაროზი, მოვიდა აღმოსავალით და დასავალით და ღირს იქმნა აბრაჰამის თანა, ისაკისა და იაკობისა.²

ესე საქმე აწცა ჩუენ ზე ფრიად იქმნების, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მრავალნი იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი – წინა“.³ ამისთვის ესრეთ იტყვს, რაფთა არცა ცოდვილნი სასონარკუეთილ იყვნენ, ვითარმცა ვერ ეძლო მოქცევად, არცა რომელთა ეგონოს დგომად, უდებ იქმნენ, ვითარმცა არღარა შეემთხუეოდა დაცემად. ამას იოვანეცა წინაფევე ქადაგებდა, ვითარმედ: „შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აღდგინებად შვილად აბრაჰამისა“,⁴ არამედ მან, ვითარცა მონამან, ესრეთ განცხადებულად არა თქუა, ხოლო ქრისტემან, ვითარცა უფალმან და მეუფემან, განჩინებით ბრძანა, ვითარმედ: „მრავალნი მზისაღმოსავალით და დასავალით მოვიდოდნიან და ინაწ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა. ხოლო ძენი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთაჲ“.⁵

¹ მათ. 19,28.

² შდრ. საქმე 8,27-39.

³ მათ. 19,30.

⁴ მათ. 3,9.

⁵ მათ. 8,11-12.

სწავლად კვ

ვითარმედ არა უწყმს მდგომარესა ვიდრე აღსასრულადმდე მინდობაჲ თავისა თვისისაჲ, არცა რომელი დაეცეს, უწყმს სასონარკუეთილებაჲ

ამისთვის, საყუარელნო, ნუმცა ვინ მინდობილ არს თავსა თვისსა, არამედ სიტყუასა მას მარადის ვიტყოდით: „რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს“;¹ ნუცა კუალად დაცემულნი ესე და ქუემდე-ბარენი ცოდვათა შინა წარვიკუეთთ სასობასა, არამედ ვიტყოდით: „ნუ-უკუე დაცემული იგი არა აღდგისა?“² რამეთუ მრავალნი სიმაღლესა ცათა-სა მისწუთეს სათნოებითა და ყოველივე მოთმინებაჲ უჩუენეს მათათა შინა და უდაბნოთა და არცა თუ ძილსა შინა თავს-იდებდეს ხილვად დედაკაცი-სა; და მერმე უდებ იქმნეს და დაეცნეს და მღკმესა მას ცოდვისასა შთაც-ვეს. სხუანი კუალად უფსკრულთაგან ჯოჯოხეთისათა ზეცისა სასუფე-ველსა მიინნეს და შებლალულნი აურაცხელითა ცოდვითა მოქალაქობასა მას ანგელოზთასა მიიცვალნეს და ესოდენი სათნოებაჲ აჩუენეს, ვიდრეღა ეშმაკთა განასხმიდეს და მრავალთა სასწაულთა იქმოდეს; და ამის საქმი-სა სახითა სავსე არიან წერილნი, სავსე არს ყოველი სოფელი. ამისთვისცა მრავალნი მეძავნი და მემრუშენი და ჩუკენნი პირსა დაუყოფენ მანიქეველ-თა, რომელნი-იგი ნებისყოფელნი არიან ეშმაკისანი და იტყვან, ვითარმედ უკეთურებაჲ შეუცვალებელ არს, და სასონარკუეთილ-ჰყოფენ ყოველთა, რომელნი ისმენდენ მათსა, და ფრიადსა შფოთსა შემოიღებენ კაცთა შო-რის, რადთამცა არავის შეუენდვეს მოქცევაჲ ცოდვისაგან უშჯულოთა მათ და უღმრთოთა.

არამედ ჩუენ გულისწმა-ვყოთ მრავალლონეობაჲ ეშმაკისაჲ და ვისწა-ოთ ქრისტესგან და ყოველთა წმიდათაგან და თვთ ბუნებითისა მეზრ წე-სისაგან და რჩულთა მათგან სოფლიოთა. რამეთუ ყოვლით კერძო ჩანს განცხადებულად, ვითარმედ მოციქულნი ეშმაკისანი არიან, რომელნი იტ-ყვან, თუ უკეთურებაჲ შეუცვალებელ არს, და მსგავს მათსა არიან, რო-მელნი იტყვან, თუ შობასა კაცისასა შეუდგს სათნოებაჲ გინა უკეთურებაჲ. ამისთვის ესე ყოველი საეშმაკონი გულისსიტყუანი განვიოტნეთ ჩუენგან და გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ სათნოებაჲცა და ცოდვაჲცა ნებასა ჩუენსა არს, და ვინაჲცა გუენებოს, მივალთ. რამეთუ უკუეთუ ვინებოთ მოქცე-ვაჲ ბოროტისაგან და ქმნად კეთილისაჲ, არავინ არს დამაყენებელ ჩუენდა, ვერცა რად ძალ-უც ეშმაკსა დაბრკოლებად ჩუენდა, რამეთუ უძღურ არს იგი ძალითა ქრისტესითა და შეურაცხ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მტერისა მახვლსა მოაკლდა სრულიად“.³

და კუალად, უკუეთუ გუენებოს მიცემად თავნი ჩუენნი უკეთურებასა, იძულებით და უნებლიეთ ღმერთი არა დაგუაყენებს, რამეთუ თვთმფლო-

¹ 1 კორ. 10,12.

² იერ. 8,4.

³ ფსალმ. 9,7.

ბელად დაჰბადა ბუნებაჲ პირმეტყუელთაჲ. ვინათგან უკუე ესე ესრეთ არს და არა არს ცილობაჲ, შვევიკრძალნეთ თავნი ჩუენნი სლვად ინროსა მას გზასა სათნოებისასა შიშით და სასოებით: შიშით – ორკერძოთა მათ კაპანთათჳს, ხოლო სასოებით – წინამძღურისა მის ჩუენისა ქრისტესთჳს. ვიდოდით ფრთხილად და მღჳძარედ, რამეთუ უკუეთუ ვის მიერულოს უდებებით, დაცემად არს ანუ მარჯუენით, ანუ მარცხენით. არა ჰხედავთა დავით წინაღსწარმეტყუელსა, ვითარ ოდეს იგი მცირედ უდებ იქმნა, მეყსეულად შთავარდა მთხრებლსა მას ცოდვისასა, გარნა ადრე აღდგა მადლითა ღმრთისაჲთა.

ან უკუე, კაცო, ნუ ამას ხოლო ხედავ, თუ ცოდა, არამედ იგი განიცადე, ვითარ განიბანა ცოდვაჲ იგი; რამეთუ ამისთჳს აღწერილ არს საქმე იგი, არა თუ რაჲთა დაცემად მისი იხილო, არამედ რაჲთა აღდგომად მისი გიკვრდეს და ისწაო, თუ ოდეს შენცა შეგემთხვოს დაცემად, ვითარ გიღირს აღდგომად. რამეთუ ვითარცა მკურნალნი გამოარჩევენ ძნელოვანთა სნებათა და აღსწერენ ღონესა კურნებისა მათისასა, რაჲთა, განანესონ რაჲ უძნელესთა კურნებაჲ, უდარესთა ადვილად მძლე ექმნენ, ეგრეთვე ღმერთმან განანესა დიდთა მათ ცოდვათა სინანული და უბრძანა წმიდათა თჳსთა აღწერად, რაჲთა ისწაონ კაცთა მცირეთაცა ზედა ეგრეთ ჳმარებაჲ სინანულისაჲ; რამეთუ უკუეთუ დიდთა მათ ეპოების ადვილად კურნებაჲ, რავდენ უფროხლა უდარესნი ადვილად განიკურნენ სინანულითა, ვინებოთ თუ.

ვიხილოთ უკუე, ვითარ მოუძღურდა ანუ თუ ვითარ განიკურნა ნეტარი იგი. რაჲ იყო სახე სნეულებისა მისისაჲ? მრუშებაჲ და კაცის-კლვაჲ; რამეთუ არა მრცხუენის ჳმითა მადლითა თქუმაჲდ ესე. უკუეთუ სულმან წმიდამან ბრძანა ურცხვნელად აღწერად საქმისა მის, მე რაჲსათჳსმცა ვფარვიდი? და უფროხლა ამას ვიტყჳ, ვითარმედ: რომელნი საქმესა ამას ჳფარვიდენ, იგინი უმეტესად ჳფარვენ სათნოებასა მისსა, რამეთუ არა ესრეთ გამოაჩინებს ახოვნებასა მისსა ბრძოლად იგი გოლიათისი, ვითარ წინამდებარე ესე საქმე. და ნუ გიკვრს ესე, რამეთუ ამისთჳს განვადიდებ ცოდვასა მას, რაჲთა უაღრესად გიჩუენო ძლევად მისი. რაჲ არს უკუე განდიდებაჲ მის ცოდვისაჲ? სათნოებაჲ კაცისაჲ მის. რამეთუ არა სწორად განიკითხვის ყოველთა კაცთა ცოდვაჲ, არამედ „ძლიერნი ძლიერად განიკითხნენო“;¹ და „რომელმან იცოდის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა ყოს, იგუემოს ფრიად“.² საცნაურ არს უკუე, ვითარმედ უმეტესი გულისჳმის-ყოფად უმეტესისა ტანჯვისა მიზეზ ექმნების გარდამავალთა მცნებისათა. ამისთჳს უკუეთუ მდღელმან სწორად სხუათასა ცოდოს, არა სწორად მათსა მიეჯადოსო სასჯელი, არამედ ფრიად უძკრესი. ნუუკუე გიკვრს, ვითარ-ესე განვადიდებ ბრალსა მის მართლისასა, და ჳგონებთ, თუ ძნელ არს სიტყუად ჩემი და უგზოსა ვალ მე. გარნა რაოდენცა ესე ვყო, უმეტესად გამოვაჩინებ

¹ სიბრძ. სოლ. 6,7. ² ლუკ. 12,47.

ქებასა და ვითისსა. რად არს უკუე სხუად უმეტესი განდიდება ბრალისად მის? ჰე, არს სხუადცა აღორძინება: ვითარცა-იგი კაცის-კლვად კაენისი უმეტეს სხუათა იყო, რამეთუ არა უცხოვ ვინ მოკლა, არამედ ძმა თვისი, რომელსა არა ევნო მისდა, და რამეთუ პირველ ყოველთასა მოიპოვა ესე ბოროტი, ეგრეთვე აქაცა უძკრეს იყო ესე კაცის-კლვად, ვიდრელა სხუათა კაცთად; ერთად, რამეთუ არა ლიტონი კაცი იყო, რომელმან ბოროტი იგი ქმნა, არამედ წინაღწარმეტყუელი, ღირსქმნული მადლსა მას სულისა წმიდისასა და მეცნიერი ყოველსა კეთილსა და ბოროტსა; მეორედ, რომელ არა თუ მტერი და მავნებელი მოკლა, არამედ კაცი, რომელსა არარად ევნო მისდა და უფროვლად ვნებულ იყო მის მიერ; და არა კმა-ეყო ერთი იგი ვნება – მისლვად მეუღლისა მისისა, არამედ მოკლვადცა დაურთო; მესამედ, ჰასაკსალა სიბერისასა ქმნა ესე, რომელ უმეტესად აღმაორძინებელ იყო ბრალისა მისისა.

იხილეთა, ვითარ არა ვჰრიდე მართალსა მას თქუმად სიდიდე ცოდვისა მისისა? გარნა ამას ყოველსა ზედა მინდა, რადთამცა იყო ვინ ან აქა მანიქველთა ანუ მარკიანელთა წვალეებისაგანი, რადთა უძლიერესადმცა დაუყავ პირი მათი. იგინი იტყუნ, იმრუშა და კაც-კლაო, ხოლო მე უმეტესადლა აღვაორძინე ცოდვად მისი პატივისა მისისათვის და ჰასაკისა და სხვსა მრავლისა. არამედ ამას ყოველსა ზედა უსაკრველეს არს საქმე ახოვნებისა მისისა, რომელ უფსკრულსა რად ცოდვისასა შთავარდა, არა დაიწნა, არცა წარიკუეთა სასოებად, არცა მოუძღურდა ესევეითარისა მის სასიკუდინოვსა წყლულებისაგან, არამედ მეყსეულად აღდგა და ფრიად უძლიერესად მოწყლა მომწყლველი იგი მისი ეშმაკი. და მსგავს იყო საქმე იგი მწედარსა ახოანსა, რომელი შევიდის წყობად ბარბაროზისა ვისმე; და სცის ბარბაროზმან მან ჰორლითა გულსა მისსა ანუ ღვძლსა და დასცის, და მეყსეულად დაურთის მეორე წყლულებად, უძკრესი პირველისა. ხოლო ახოანი იგი, დაეცის რად ესევეითართა მათ სასიკუდინეთა წყლულებათაგან და ყოვლით კერძო შებლალულ არნ სისხლითა, არა დაიწნის, არამედ აღხლდის და სცის მახვლითა მკლველსა მას თვისსა და მყის მოაკუდინის და აღსძუარცის საჭურველი მისი და ძლევით შემოსილი მიიქცის თვისთა მიმართ. ეგრეთვე აქა, რავდენიცა სიფიცხე სთქუა წყლულებათა დავითისთად, ესოდენ უსაკრველესად გამოაჩინებ სულსა მისსა; რამეთუ უძლო ახოვნად აღდგომად და ყოვლისა მის მბრძოლთა განწყობილისა ოტებად და ბოროტისა მის ერისთვისა მათისა მოკლვად. იციან ესე საქმე, რომელნიცა ძნელოვანთა ცოდვათა შთავრდომილ არიან. რამეთუ არა ესრეთ ახოანი და ძლიერი საწმარ არს სული მართლიად მსრბოლთათვის და დაუბრკოლებლად მავალთა (რამეთუ ესევეითარსა მას მოგზაურობასა აქუს სასოებად იგი კეთილი თანამავალად და შრომისა მის აღმასუბუქებლად და უმეტესისა გულსმოდგინებისა მიმცემელად), ვითარ-იგი უჭმს ფრიადი სიმწნე და გული აღვსებული სიქველითა დიდითა, ოდეს შემდგომად მრავლისა ძლევისა და გვრგვონოს-

ნობისა შეემთხვოს ბოროტი დაცემად და მის ყოვლისა სიმდიდრისაგან ცარიელი დაშთეს, რადთა კუალად უცონელად ჴელ-ყოს თჳსსა მას საგრობასა საგრობად. და კუალად პირველითგან ინყოს ჭირით და ოფლით სლვად და სიმდიდრე იგი წარწყმედული მრავალწილად მოიგოს.

და ამის საქმისა სხუადცა სახე შემოვილო: გულისჴმა-ყავ, ვითარმცა იყო ვინ მენავეთმოძღუარი, რომელმან თავს-იდვა შრომად ფრიადი და წარვიდა ქუეყანათა შორთა და აღავსო ნავი დიდი სიმდიდრითა ფრიადითა; მრავალთა ლელვათა ებრძოლა, მრავალთა ნიაჴქართა წინააღუდგა, მრავალთა ავაზკთა მძლე ექმნა და, მოინია რად ქალაქსა მას სამეუფოსა და ენება საფასისა დიდძალისა შეღებად სახედ თჳსად, პირსა წინაშე ნავთსადგურისასა შემუსრა ნავი იგი დიდი და წარწყმიდა ყოველივე სიმდიდრე თჳსი წყალთა შინა და ძლით შიშუელი განვიდა ჴმელად. ან უკუეთუ ესევეთარი იგი არა კაცი იყოს მჴნე და სულგრძელი, იკადრამცა მერმელა ნავისა მოგებად და კუალად ზღუათა ბრძოლად და კუალად სიმდიდრისა მორენად? ნუ იყოფინ! უკუეთუ მცონარი იყოს და სულმოკლე, აღირჩევს თხოასა პურისასა, ვიდრელა კუალად შეკადრებად პირველსავე სიძნელესა. ხოლო ახოვანმან და გონიერმან მენავეთმოძღუარმან კუალად ჴელ-ყვის ჴელოვნებასა თჳსსა სასოებითა ღმრთისადათა, და შეენიის ღმერთი და ორწილად განამრავლის სიმდიდრე იგი, რომელ წარწყმიდა, ანუ მრავალწილადცა. ეგრეთვე ქმნა ნეტარმან დავით: შეემთხვა დაქცევად ნავისა მის სულიერისად შემდგომად ბევრეულთა მათ შრომათა და ოფლთა, და არავე დაიჴსნა უსასოებითა, არამედ კუალად ნავი იგი აღავსო და აფრანი აღუჴყრნა ნიავსა მას სულიერსა და საჭენი ჴელად იხუნა და პირველივე შრომად თავს-იდვა და შეიკრიბა სიმდიდრე მიუთხრობელი. და რავდენი საქმე აიძულებდა მას სასოებისა წარკუეთად! პირველად, სიდიდე იგი ცოდვისადა მის; მეორედ, რომელ არა სიჭაბუკესა თჳსსა შეემთხვა, ოდეს-იგი უმეტესად შეეძლო სინანული, არამედ ჟამსა ოდენ სიბერისასა; მესამედ, რომელ ესოდენი სიმდიდრე სათნოებათად წარწყმიდა, რავდენი მოეგო სიჭაბუკესა თჳსსა, ოდეს მწყსიდა სამწყსოსა; რავდენი ილუანა გოლიათის მიმართ სახელისათჳს ღმრთისა; რავდენი სათნოებად აჩუენა საულის ზედა, რამეთუ სულგრძელებად იგი, სახარებასა შინა აღწერილი, და ძკრუჴსენებლობად აჩუენა მის ზედა; რავდენგზის მტერი თჳსი ჴელთ-იდო და არა ავნო მას, არამედ აღირჩია დევნულებად და ქუეყანითი ქუეყანად სივლტოლად, ვიდრელა უჯეროდა მის და უსამართლოდ მტერისა თჳსისა, რომელი ეძიებდა მას მოკლვად, ნაცვლისა მიგებად. და შემდგომად მეფობისა მრავალი იყო სათნოებისა მისისა სიმრავლე, და ამას ყოველსა ზედა მაღლი იგი წინანარმეტყუელობისადა და ყოველთა მიერ დიდებად სათნოებისა მისისადა.

ესე ყოველი მიზეზ იყო დაჴსნად გონებისა მისისა ცოდვასა მას ზედა, არამედ ესე ყოველნი ისარნი მტერისანი მისდა დასობილნი სიმჴნით აღმო-

ინუადნა და გულსავე მტერისასა დაასვნა; და ესოდენ განაბრწყინვა სული თვისი, ესოდენ წმიდა-ყო, ვიდრელა შემდგომად სიკუდილისა ნაშობთა მისთა ცოდვისა მლხინებელ იყო ღმერთი მისისა მის სათნოებისათვის. და ვითარცა აბრაჰამისთვის იტყოდა, ეგრეთვე და უმეტესადლა ამისთვის თქუა ღმერთმან; რამეთუ აბრაჰამისთვის ესრეთ იტყვს: „მოვიწსენე აღთქუმაჲ ჩემი აბრაჰამის მიმართ“;¹ ხოლო აქა არა აღთქუმაჲ აწსენა, არამედ ესრეთ თქუა: „დავითისთვის, მონისა ჩემისა, ჴელისამპყრობელ ვექმნე ქალაქსა ამას“.²

და სოლომონ შემდგომად ესევეითარისა მის ცოდვისა, რომელ ცოდა, წსენებისათვის სათნოებათა დავითისთა არა განაგდო მეფობისაგან. და ესოდენ იყო დიდებაჲ მისი, ვიდრელა პეტრე მოციქული შემდგომად ესოდენთა წელთა ეტყოდა ერსა, ვითარმედ: „ჯერ-არს განცხადებულად თქუმაჲ მამათმთავრისა დავითისთვის, რამეთუ აღესრულა და დაეფლა“.³ და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ეტყოდა რაჲ ჰურიათა, გამოაჩინებს, ვითარმედ შემდგომად ცოდვისა მის ესრეთ მოეცა კუალად მაღლი სულისა წმიდისაჲ, ვიდრელა ღმრთეებისა მისისათვის წინაჲსწარმეტყუელებად ღირს იქმნა; რამეთუ ენება რაჲ პირთა მათ ურცხვნოთა დაყოფაჲ, ესრეთ ეტყოდა: „ვითარ დავით სულითა ხადის მას უფლით და იტყვს: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა?“⁴

ესე ყოველი კმა არს გამოჩინებად სათნოებათა მის ნეტარისათა, რამეთუ რომელი ღმერთმან განამართლოს, ვინ არს დამსჯელ მისა? ხოლო გნებავს თუ თითოეულად მოღუანებისა მისისა ცნობად, რომელი შემდგომად ცოდვისა მის აჩუენა, იხილოთ იგი წიგნსა შინა „მეფეთასა“ და წიგნსა შინა „ფსალმუნთასა“. მუნ იხილოთ კადნიერებაჲ მისი ღმრთისა მიმართ, სიყუარული, ერთგულებაჲ, ვიდრე აღსასრულამდე კეთილისმოყუარებაჲ. კუალად წიგნსა შინა „ფსალმუნთასა“ იხილოთ, რავდენი გლოვაჲ აჩუენა, რავდენი სინანული; ცრემლნი მისნი იყვნეს საჭმელ მისა დღე და ღამე, დამაშურალ იყო მარადის სულთქუმათაგან, ცრემლითა თვისითა სარეცელსა თვისსა დაჰბანდა, შეემოსა მას ძაძაჲ, ნაცარსა, ვითარცა პურსა, ჭამდა მწუხარებისაგან და სასუმელსა თვისსა ცრემლითა თვისითა განზავებდა, დამაშურალ იყო ღმრთისა მიმართ ღალატებითა, დასრულ იყო ჴმაჲ მისი ჴმითა კუნესისა მისისაჲთა, შემჴმარ იყვნეს ჴორცნი მისნი ძუალთა მისთა, მუწლნი მისნი მოუძღურებულ იყვნეს მარხვისაგან, რამეთუ ფრიადისა გლოისაგან დაავიწყდებოდა ჭამად პური მისი.

ან უკუე, საყუარელნო, რომელთა წინაგვსხენ ესოდენნი ესე სახენი კეთილისანი, განვიფრთხოთ და ვისწრაფოთ არა დაცემაჲ. უკუეთუ კულა შეგუემთხვოს სადა დაცემაჲ, ვისწრაფოთ არა დადგრომად დაცემასა შინა. რამეთუ არა თუ ამისთვის წარმოგიტხარ სახე ესე დავითისი, რაჲთა უდე-

¹ გამ. 2,24.

² 4 მეფ. 19,34.

³ საქმე 2,29.

⁴ მათ. 22,43-44.

ბებად მოგიყვანნე, არამედ რაღათა უმეტესი შიში გაქუნდეს. რამეთუ უკუეთუ დავით მცირედ უდებ იქმნა, ესევეთარნი წყლულეზანი შეემთხვნეს, რაჲ-მე იყოს ჩუენდა, რომელნი-ესე მარადლე უდებებასა და დაჴსნილობასა შინა ვართ?

ნუ ამას ვხედავთ, თუ იგი დაეცა და აღდგა, და ადვილად გჴჩნს საქმე ესე, არამედ გულისჴმა-ვეყვნეთ შრომანი იგი სინანულისა მისისანი: ვითარ მეფე ძაძასა შეიმოსდა, ვითარ დაუცხრომელად ტიროდა, ვითარ დაუცადებელად სულთ-ითქუმიდა, ვითარ ტკივილისაგან გულისა ჴამადიცა დაავინყდებოდა, ვითარ ექმნეს ცრემლნი საჭმელად მისა დღე და ღამე. უკუეთუ მას ესოდენი ჴირი და შრომაჲ ეჴმარა, ვითარ-მე ვცხონდეთ ჩუენ, რომელნი ესოდენტა ცოდვათა თანამდებნი ვართ და ესრეთ უღმობელად ვიქცევით? რამეთუ რომელსა მრავალნი აქუნდენ სათნოებანი, ადვილად უძლის დაფარვად ცოდვისა ერთისა ანუ ორისა, ვითარცა-იგი კეთილად აღჴურვილსა ვერ მსწრაფლ განენონების ისარი, ხოლო შიშუელსა სადაცა ეცის, მყის განენონის.

ან უკუე, საყუარელნო, რაღათა არა ჩუენცა ეგრეთ შემემთხვოს, ალვიჴურნეთ კეთილთა საქმეთა მიერ, მოვიგოთ სინანული მჴურვალე და ყოველნი ცოდვანი ჩუენნი განვიბანნეთ, რაღათა აღვასრულნეთ დღენი ჩუენნი ნებასა შინა ღმრთისასა და ღირს ვიქმნეთ მიმთხუევაჲ საუკუნესა მას ცხორებასა, რომელსა ღირსმცა ვართ მკვდრ-ყოფად ჩუენ ყოველნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი კჳ

სიტყუად ესე: „და შევიდა იესუ სახლსა პეტრესსა და იხილა სიდდერი იგი მისი, და ვრდომილი ჳურვებითა. და შეახო ჳელსა მისსა, და დაუტევა იგი მჳურვალეზამან, აღდგა და ჳმსახურებდა მას“ (8,14-15).

თარგმანი: რადსათჳს-მე შევიდა სახლსა პეტრესსა? მე ვჳგონებ, თუ მოღებად საზრდელისა, რამეთუ შემდგომისა სიტყჳსაგან ცხად არს ესე, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: გან-რად-იკურნა სიდდერი პეტრესი, აღდგა და ჳმსახურებდა მას; რამეთუ მონაფეთა თჳსთა თანა ჳყოფდა სავანესა, ვითარცა მათესსაცა შევიდა, ოდეს-იგი უწოდა მას, რადთა უმეტესი გულს-მოდგინებად მისცეს მათ, და რამეთუ იგინი ლირს იყვნეს შეწყნარებად მისა, რომელთა ყოველი დაუტევეს და შეუდგეს მას.

ხოლო შენ იხილე მონინებად იგი პეტრესი, ვითარ უძღურდა იყო სიდდერი მისი, და არა იკადრა იძულებად, ვიდრემდის სხუანი იგი არა განკურნა და სწავლად არა აღასრულა; რამეთუ პირველითგან სწავლულ იყო სხუათა პატივ-ცემად უფროს თავისა თჳსისა. ვინადთგან უკუე ასისთავმან მან ჳრქუა, ვითარმედ: „არა ლირს ვარ, რადთამცა სართულსა ქუეშე ჩემსა შემოხუედ“, და უფალმან მიუგო, ვითარმედ: „ნარვედ, ვითარცა გრწმენა, გეყავენ შენ“, და იგი ნარგზავნა, მერმე თავით თჳსით უფალი შევიდა სახლსა პეტრესსა პატიოსნებისათჳს მონფისა მის კეთილისა.

ხოლო გულისჳმა-ყავთ, თუ ვითარნიმცა იყვნეს სახლნი იგი მეთევზურთანი, არამედ არავე უღირს-იჩინა შესლვაჲ სახლთა მათთა, რადთა ყოველითურთ გუასწაოს ჩუენ კაცობრივისა ჳუაობისა დათრგუნვად. და შეახო ჳელსა მჳურვალეებითა შეჳყრობილისასა, და დაუტევა იგი მჳურვალეზამან. ოდესმე სიტყჳთ ხოლო განკურნის და ოდესმე ჳელი შეახის, რამეთუ არა ენება ყოვლადვე ესრეთ განსაკჳრვებელად ქმნად სასწაულთად, რამეთუ ჯერეთ შეჳგვანდა მიფარვითრე ქმნად, და უფროსად მონაფეთა ნინაშე, რომელნი-იგი დიდებულებასა მისსა ყოველთა მიუთხრობდეს. და ესე საცნაურ არს, ვითარ იგი გარდამოვიდოდა რად თაბორით, ამცნო და ჳრქუა: „ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისად მკუდრეთით აღდგეს“.¹

„და შეახო ჳელსა მისსა, და დაუტევა იგი მჳურვალეზამან, აღდგა და ჳმსახურებდა მას“. მასვე ნამსვე, შე-რად-ახო, არა თუ მჳურვალეზამან ხოლო დაუტევა, არამედ ესრეთ სრული სიმრთელე მიიღო, რომელ აღდგა და ჳმსახურებდა, რომელსა ვერ ჳელ-ენიფების ყოვლისა სოფლისა მკურნალთა ქმნად; რამეთუ უწყით, ვითარ შემდგომად დაცხრომისა მჳურვალეებისა მრავალ დღე უძღურებდა იგი ჳქენჯნინ გუამსა, ვიდრემდის ნელიად-ნელი-

¹ მათ. 17,9.

ად სიმრთელედ და ძალად მოვიდის. ხოლო მაშინ ყოველივე ერთბამად იქმნა, და არა დედაკაცსა მას ზედა ხოლო, არამედ ზღუასაცა შეჰრისხნაო და მეყსეულად იქმნა დაყუდებად დიდი, რომელ-ესე არა ბუნებითი არს, რამეთუ აღიძრის რად ქართა მიერ ზღუად, დაღაცათუ ქარი დასცხრის, არამედ ესრეთ მსწრაფლ არა დაყუდნის; ხოლო ქრისტეს მიერ ქმნილნი სასწაულნი ყოველნივე უაღრეს ცნობისა იყვნეს და უზეშთაეს ბუნებისა. ამისთვის აქაცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „მეყსეულად აღდგა და ჰმსახურებდა მას“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „და ვითარცა შემწუნრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა სულელები იგი სიტყვთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა. რადთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაღწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: მან უძღურებანი ჩუენნი აღიხუნეს და სნეულებანი ჩუენნი იტკრთნეს“ (8,16-17).

თ ა რ გ მ ა ნ ი: მოვედინ ანცა მადლი სახიერისაჲ მის ჩუენ ზედა და განიოტენ სულელებისა მის არანმიდისა ბრძოლანი ჩუენგან და განკურნენინ ბოროტნი იგი სნეულებანი სულთა ჩუენთანი, რომელ არიან ცოდვათა მიერ მონევენულ; რომელმან-იგი მაშინ დიდებულთა მით ქველისმოქმედებითა მისითა ესრეთ მოიყვანა ერი იგი სარწმუნოებად, ვიდრელა არცა ჟამი იგი მწუხრისაჲ უდებ-ჰყოფდა მათ მოყვანებად უძღურთა მათთა და მიღებად კურნებისა. ხოლო გულისწმა-ყავთ ესე, თუ რავდენსა სიმრავლესა სასწაულთასა თანაწარჰდებთან მახარებელნი და არა იტყვან თითოეულად, არამედ ერთითა სიტყვთა ურიცხუთა მათ საკვრველებათა შეამოკლებენ თხრობად და კაცად-კაცადისა მათისასა თქუამად თანაწარჰდებთან.

ხოლო ვინათგან ესოდენთა ბოროტად სნეულთა და ეშმაკეულთა ერთითა სიტყვთა კურნებაჲ წარმოთქუა მახარებელმან, რადთა არავინ ურწმუნო იქმნას, ამისთვის წინაღწარმეტყუელი მოიყვანა მონამედ, რამეთუ არარას უდარეს სასწაულთასა წერილთა მიერ პირველვე ქრისტესთვის თქუმულნი წამებანი სარწმუნოებად მოიყვანებენ გონებათა მორწმუნეთასა. ამისთვის იტყვს, ვითარმედ: წინათვე ქადაგა საქმე ესე წინაღწარმეტყუელმან ესაია და თქუა: „მან უძღურებანი ჩუენნი აღიხუნეს და სნეულებანი ჩუენნი იტკრთნეს“. არა თქუა, თუ: დაჰჰსნენეს, არამედ: „აღიხუნეს და იტკრთნეს“, რომელ-ესე გულისწმა-გკყოფს, ვითარმედ ცოდვათათს თქუა სიტყუად ესე წინაღწარმეტყუელმან, შემსგავსებულად იოვანესა, რომელი იტყოდა: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“.¹

ვითარ უკუე ან მახარებელმან სიტყუად იგი წინაღწარმეტყუელისაჲ სნეულებათათს ჯორციელთა თქუმულად გკთხრა? ანუ რომელი-იგი მან ცოდვათათს თქუა, მან ჟამსა შინა წამებად ამის საქმისაცა მოილო, ანუ

¹ იოან. 1,29.

თუ ვინაფთვან უმრავლესნი სნებანი და უფიცხესნი ცოდვათა მიერ მოვლენ, რამეთუ უკუეთუ თავი იგი სნეულებათა, რომელ არს სიკუდილი, ცოდვისა მიერ შემოვიდა სოფლად და მისგან აღმოცენა, რად საკრველ არს, თუ მრავალნი სნეულებანიცა ცოდვისაგან იქმნებიან. და ესე მეგრ, რომელ ესრეთ ვნებათა და უძლურებათა შემწყნარებელ იქმნა ბუნებაჲ ჩუენი, განალა ცოდვათა მიერ იქმნა. ამისთვის მახარებელმან თქუმული იგი წინადასწარმეტყუელისაჲ, რომელი მას ცოდვათათჳს ეთქუა და უძლურებათათჳს სულისათა, ამან სნეულებათათჳს ჳორციელთა მოილო მონამედ, რომელნი-იგი ნაშობნი არიან ცოდვათანი.

სახარებაჲ: „ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისსა, უბრძანა წიაღსლვად მიერ კერძო“ (8,18).

თარგმანი: ჰხედავა მარადის და ყოველსავე საქმესა შინა სიმდაბლისმოყუარებასა მისსა? რამეთუ სხუანი მახარებელნი იტყვიან, ვითარმედ: არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა, ვითარმედ იგი არს ქრისტი; ხოლო ესე იტყვს, ვითარმედ ერისა მისგან განეშორა. და ამას იქმოდა, რადთა ჩუენცა სიმდაბლე გუასწაოს, და რადთა არარას სახილველად კაცთა ვიქმოდით სათნო-ყოფად მათდა, და შურსა მასცა ჰურიათასა ნუგეშინის-სცეს. რამეთუ ვითარცა ჳორციელთა სნეულებათა ჰკურნებდა, ეგრეთვე უმეტესად სულიერთა ვნებათა მიანიჭებდა კურნებასა საქმითა და სიტყვითა თჳსითა არა მაშინდელთა ხოლო მათ კაცთა, არამედ ჩუენცა, რომელთა გუესმიან სწავლანი მისნი. ამისთვისცა უბრძანა წიაღსლვად, რადთა მიჰრიდოს ერსა მას, რომელნი-იგი გარემოადგეს მას. რამეთუ იტყვს მარკოზ, ვითარმედ: „ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა“. ¹ რამეთუ ყოველნი წადიერ იყვნეს ხილვად მისა და სუროდა ხედვად დიდებულებათა მისთაჲ. და ვინმცა არა სურვიელ იყო საკრველებათა მათ ხილვად, ვისმცა არა უყუარდა იგი, ვისმცა არა სწადოდა მიხედვად ოდენ პირსა მისსა და სმენად სიტყუათა მისთა? რამეთუ არა სასწაულნი ხოლო მისნი საკრველ იყვნეს, არამედ ხილვადცა მისი, სავსე მადლითა, ვითარცა მოასწავა წინადასწარმეტყუელმან და თქუა: „შუენიერ არს იგი ხილვად უფროჲს ძეთა კაცთაჲსა“. ² ხოლო რომელ იტყვს ესაჲ, ვითარმედ: „ვიხილეთ იგი, და არა აქუნდა ხილვად მისი, არცა სიკეთე“, ³ გინა თუ დიდებასა მას თანა ღმრთეებისასა, მიუნთომელსა და გამოუთქუმელსა, სახესა მას ჳორციელისა ხილვისა მისისასა ესრეთ უწოდა, ანუ სახესა მას ვნებისა მისისასა წარმოიტყოდა, და ვითარი შეურაცხებაჲ მოითმინა ჟამსა მას ჯუარ-ცუმისასა ნეფსით ცხორებისა ჩუენისათჳს. ხოლო დავითს დიდებული იგი სახე ჳორციელისა ხატისა მისისაჲ სულითა წმიდითა ეუნყა და თქუა: „შუენიერ არს იგი ხილვად უფროჲს ძეთა კაცთაჲსა“, რადთა მოასწავოს მადლი მისი და სიბრძნე და

¹ მარკ. 1,33. ² ფსალმ. 44,3. ³ ესაია 53,2.

მოდღურებად და სასწაულნი, ვითარცა თქუა, ვითარმედ: „განეფინა მადლი ბაგეთა შენთა“,¹ რომლისა არა არს რიცხვ მადლისა მის მისისაჲ.

ამისთვისცა ყოველთა მიერ საწადელ იყო ხილვად, და ხილვისა ოდენ მისისაგან დიდითა სარგებელითა აღივსებოდეს, რამეთუ უკუეთუ პირი მოსესი დიდებულ იყო, და სტეფანესი იქმნა, ვითარცა ანგელოზისაჲ, გულისწმა-ყავთ, ვითარიმცა იყო ყოველთა მეუფჳ. უწყი, ვითარმედ მრავალნი ან აღივსენით სურვილითა ხილვად ხატისა მის მისისა, არამედ უკუეთუ გუენებოს, ფრიად უაღრესი ვიხილოთ. რამეთუ უკუეთუ კეთილად ვჰმსახუროთ მას ამას სოფელსა შინა, მივეგებნეთ მას ღრუბლითა და ვიხილოთ გუამითა უკუდავითა და დიდებულითა.

„და უბრძანა ნიალსლვად მიერ კერძო“. პირველად აღასრულა კურნებაჲ იგი სნეულთაჲ და მერმე ბრძანა ნიალსლვად. უკუეთუ არამცა ესრეთ ექმნა, არამცა მოწყუედილ იყო მისგან ერი იგი. ხოლო არა შეჰრისხნა სიმრავლესა მას და განყარნა, არამედ თავადმან მიჰრიდა, რაჲთა არა მოწყლნეს გულნი მათნი, რომელნი სარწმუნოებით და სიყუარულით მთად აღვიდეს მის თანა და ქალაქადმდე შეუდგეს და ანცა გარემო დგეს სახლისა მის. და ერმან მან ესევითარი აჩუენა სიყუარული და ესრეთ შეუდგა სარწმუნოებით, ხოლო ერთი ვინმე საფასეთა და საჰმართა მონაჲ და ზუაობითა სავსე მოუჴდა მას და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „**მოდღუარ, მიგდევედ შენ, ვიდრეცა ხვდოდი**“ (8,19).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა ზუაობასა მას მნიგნობართასა? ჭეშმარიტად მათგანი იყო, ამისთვის არა თავს-იდებდა ერისა მის თანა შერაცხვად, არამედ გამოაჩინებდა თავსა თვსსა სხუათა უმეტესად. ამისთვის ესრეთ ჰრქუა, რაჲ-იგი გულსა არა აქუნდა. ვითარცა სხუასა ადგილსა გამოსცდიდა მას სხუად მნიგნობარი და ეტყოდა: „რომელი მცნებაჲ არს პირველი?“² და ეგრეთცა არა შეჰრისხნა მას უფალმან ცუდისა მის და უჴამოესა კადნიერებისათვს, რაჲთა გუასწაოს სულგრძელებით თავს-დებად ესევითართა უნესოთა კაცთაჲ, არცა ამხილა განცხადებულად უკეთურებაჲ მისი, არამედ მიუგო სიტყუად შემსგავსებული იჭვსა მისისა, რაჲთა ეუნყოს, ვითარმედ არა დაეფარა მას ზრახვად იგი გულისა მისისაჲ, და ესრეთ მხილებითა გონებისაჲთა პოოს ადგილი სინანულისაჲ, უკუეთუ უნდეს. ეგრეთვე ან ამას მნიგნობარსა ზედა ქმნა, რამეთუ ხედვიდა რაჲ იგი მრავალთა მათ სასწაულთა და შეკრებასა მას ერისა ფრიადისასა, ჰგონებდა, ვითარმედ შეკრებაჲცა საფასეთად ყოფად არს საკვრველებათა მათგან, და ამის ჯერისათვს ენება მას შედგომად უფლისა. ხოლო ესევითარი ესე გულისსიტყუად მისი საცნაურ არს პასუხისა მისგან უფლისა, რამეთუ არა სიტყვსა მიმართ მისისა, არამედ გონებისა მიმართ მიუგო პასუხი და ჰრქუა:

¹ ფსალმ. 44,3. ² მათ. 22,36.

სახარება: „მელთა ჳურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ (8,20).

თარგმანი: ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: საფასეთა შეკრებასა მოელია ჩემ თანა სლვითა და არა ჰხედავა, ვითარმედ არცა თუ სწორად მფრინველთასაცა არა არს განწესებული სავანე ჩემდა? არამედ „მელთა ჳურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადამცა თავი მიიდრიკა“.

ეჰა საკვრველი საკვრველებათა! დამბადებელსა ყოველთასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს! ვითარცა იტყვს ღმრთისმეტყუელი: „სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ იქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა. თვსთა თანა მოვიდა, და თვსთა იგი არა შეინწყნარეს“.¹

რამეთუ მოვიდა ძიებად ჩუენდა, უცხოქმნულთა სამოთხისაგან და ღმრთისა, მოვიდა ძიებად ცხოართა ამათ წარწყმედულთა და შეცთომილთა მათა ზედა და ჳევთა უღაღთა, წარტაცებულთა მწეცთა მიერ ბოროტთა და სულთა მომსრველთა. ამისთვისცა თავს-იდვა არაქონებად, სადამცა თავი მიიდრიკა, რადთა ჩუენ კუალადმაგნეს სავანეთა მათ საუკუნეთა. დიდებად აურაცხელსა წყალობასა მისსა! ხოლო მწიგნობარსა მას არა თუ ამისთვის ესრეთ მიუგო, რადამცა გარემიაქცია, არამედ რადთა ამხილოს ბოროტი იგი გულისსიტყუად მისი, და უკუეთუ სასოებითა ესევეითართა ენებოს, მისდევდეს მას გლახაკობითა და ჭირითა.

და იხილე უკეთურებად მისი! ესმა რად ესევეითარი ბრძანებად უფლისად, არა თქუა, თუ: მზა ვარ, უფალო, შენ თანა სლვად, არამედ წინააღმდეგომი რად ესმა სასოებისა თვისსად, მეყსეულად დაიდუმა. ხოლო ამას საქმესა ვჰპოვებთ მრავალსა ადგილსა ქრისტეს მიერ ქმნილად, რომელ არა ხილულისა მის სიტყვსა მიმართ ჰყოფს სიტყუასა, არამედ გონებისაებრ მკითხველთადას; რამეთუ მან, რომელმან-იგი ჰრქუა: „მოძღუარო სახიერო“, ვინაფთგან არა გულისად, არამედ ლიქნისსახედ ეტყოდა სიტყუასა მას, არარად ჰრქუა სიტყუად შემადლებილსად, არამედ: „რასა მეტყვ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“.²

და კუალად, ოდეს-იგი ჰრქუეს მას ძმათა მისთაო, „გამოუცხადე თავი შენი სოფელსა“,³ ვინაფთგან იცოდა, ვითარმედ ამისთვის ესრეთ იტყვან, რადთა აქუნდეს მათ მიზეზი ზუაობისად, მიუგო და ჰრქუა მათ: „ჟამი ჩემი არღა მონევენულ არს, ხოლო ჟამი თქუენი ოდესვე არს“.⁴

და კუალად, ოდეს იოვანე მოუვლინა მონაფენი და ჰრქუა: „შენ ხარ მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ხედავთ“.⁵ არა სიტყუათა

¹ იოან. 1,10-11.

² მათ. 19,17.

³ იოან. 7,4.

⁴ იოან. 7,6.

⁵ მათ. 11,3-4.

მიმართ, არამედ გონებისაებრ მომავლინებელისა მის მისცა პასუხი; და ეგრეთვე, ოდეს ერსა მას ეტყოდა იოვანესთვის.

ამითვე სახითა ამასცა მნიგნობარსა მიუგო არა სიტყვსა მისისაებრ, არამედ გონებისა; და იხილე, რაბამსა სახესა სიმდაბლისასა აქაცა აჩუენებს, რამეთუ არა თქუა, თუ: ყოველი ძალ-მიც და ყოვლისავე ჳელმნიფებად მაქუს, არამედ არაქონებად აჩუენა, – „ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოსო“.

ჰხედავა გარდამატებულსა მას განგებულებისა მისისა სიმდაბლესა? ამითვე განგებულებითა ჭამდა და სუმიდა ბუნებითა კაცთაფთა და არცა ვითარ იოვანე მარხვითა დიდითა და სიფიცხითა იქცეოდა, რაფთა ამით ყოვლითა მიზეზი ცხორებისად მისცეს ჰურიათა და ყოველსა სოფელსა. რამეთუ ამით ჯერითა მწვალებელთაცა პირსა დაუყოფს, და მათცა, რომელთა სიტყუანი მისნი ესმოდეს, მიიზიდვიდა სარწმუნოებად მისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და ერთმან მონაფეთაგანმან ჰრქუა მას: მოძღუარ, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა. ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა“ (8,21-22).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა განყოფილებასა ამათ ორთასა? ვითარ ერთმან მან ურცხვნოდ კადნიერებად იწმარა და ჰრქუა: „მიგდევდე შენ“, რომელი გულსა არა აქუნდა; ხოლო ესე საქმესა ჯეროანსა წარვიდოდა, არამედ ეგრეთცა ბრძანებად ითხოვა; გარნა არავე უბრძანა ქრისტემან, რამეთუ ვითარცა ვთქუ, მარადის გონებათა განიხილვიდა. ხოლო რაფსათვს არა უბრძანა მისლვად და დაფლვად მამისა თვსისა? რამეთუ იყვნეს სხუანი, რომელთამცა აღასრულეს საქმე იგი, და არა დაშთებოდა გუამი იგი დაუფლველად. ამისთვის არა უბრძანა მონაფესა მას უალრესისა მის და დიდებულისა საქმისა დატევებად, რომელ არს მის თანა ყოფად, და წარსლვად საქმესა მას გარენარსა.

ხოლო რომელი-იგი თქუა, ვითარმედ: „აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა“, ამით სიტყვთა გამოაჩინა, ვითარმედ მკუდარი იგი არა მისი იყო, არამედ მათი, რომელნი ურწმუნოებითა მკუდარ იყვნეს სულიერად. ვინაფთგან უკუე ურწმუნოებასა შინა აღსრულებულ იყო კაცი იგი, ამისთვის თქუა, ვითარმედ: აცადენ მკუდარნი იგი ურწმუნოებითა, რაფთა მათ დაჰფლან მათისა ურწმუნოებისა მიმსგავსებული იგი მკუდარი, რამეთუ მათი არს იგი და არა ჩუენი, ხოლო შენ, რომელი-ეგე ჩემი ხარ, მე შემომიდეგ.

ხოლო უკუეთუ ვის უკვრდეს ჭაბუკისა მის, ვითარ-იგი ესრეთ სათანადოფსა საქმისათვს ჰკითხა, და არა ხოლო თუ ჰკითხა, არამედ ესმა რაფ უფლისაგან, ვითარმედ: ნუ წარხუალ! შეუორგულებელად ისმინა; და იტყოდის თუ ვინ, ვითარმედ: არა უმადლოებისა საქმე იყოა, რო-

მელ არა წარვიდა დაფლვად მამისა თვისისა? უწყოდენ მეტყუელმან ამის სიტყვსამან, ვითარმედ უკუეთუმცა თვისისა უდებებისაგან ექმნა არამისლვად იგი, ჭეშმარიტად უმადლოებისა საქმე იყო; ხოლო ვინათგან უფალმან დააყენა, რაფთა არა უაღრესი იგი დაშჭირდეს, უფროსად მისლვად სრულიადისა უგულისწმოებისა სახე იყო. რამეთუ უფალმანცა არა თუ ამისთვის დააყენა, ვითარმცა განანესებდა უგულებელს-ყოფად პატივისა მშობელთასა, – ნუ იყოფინ! – არამედ რაფთა გუასნაოს, ვითარმედ არარად გვლირს უპატიოსნეს საქმეთა ზეცისათა ქონებად; არამედ დაღაცათუ საჭირონი რამე და სათანადონი საქმენი მოინინენ დამაყენებლად ჩუენდა სულიერთა და საღმრთოთა საქმეთაგან, არავე მივერჩდეთ მათ. რამეთუ რამცა იყო უმეტესად სათანადოდ და საჭიროდ დაფლვასა მამისასა, და არცა თუ ფრიადი ჟამი წარეგებოდა საქმესა მას შინა, არამედ ეგრეთცა არავე უბრძანა უფალმან განშორება მისგან და წარსლვად დაფლვად მამისა.

სწავლად კჳ

ვითარმედ ცოდვასა შინა მყოფნი არარაფთა განყოფილ არიან მკუდართაგან

ხოლო უკუეთუ ესოდენისაცა ჟამისა, რაოდენ არს დაფლვად მამისად, არა ჯერ-არს სულიერთა და საღმრთოთა საქმეთაგან დაკლებად, გულისწმა-გყოთ, თუ რაჲ-მე ყოფად არს ჩუენდა, რომელნი ყოვლადვე განვეშორებით საქმეთა მათ ქრისტესთა და შევექცევით ცუდთა და ამაოთა. რამეთუ ამისთვის უფალმან ესრეთ უბრძანა მონაფესა მას, რაფთა ამით საქმითა გუასნაოს უფროს ყოვლისა საღმრთოთა საქმეთა პატივ-ცემად, ვითარცა სხუასა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „არავინ დასდვის ჳელი ერქუანსა და მართლუკუნ ხედავენ და წარემართის სასუფეველსა ცათასა“.¹ რამეთუ ამათ ყოველთა სწავლათა და იგავთა მიერ გუესწავების, რაფთა არა წარვწყმიდოთ ჟამთაგან ცხორებისა ჩუენისათა ცუდსა და ამაოსა საქმესა შინა არცა თუ ერთი ჟამი, დაღაცათუ მრავალნი საქმენი გუაიძულებდენ, არამედ უფროს ყოვლისა საღმრთონი საქმენი იყვნენ ჩუენდა პატიოსან და საძიებელ; და გულისწმა-გყოთ, თუ რაჲ არს ცხორებაჲ, ანუ რაჲ არს სიკუდილი. რამეთუ მრავალნი ჰგონებენ, თუ ცხოველ არიან, და იგინი არარაფთა განყოფილ არიან მკუდართაგან, რაჟამს ცოდვასა შინა იყოს ცხორებაჲ მათი, და უფროსლა უარეს მკუდართასა არს მათი იგი ცხორებაჲ. რამეთუ „რომელი-იგი მომკუდარ არს, განმართლებულ არს ცოდვისაგან“,² ვითარცა წერილ არს. ესე იგია, დაცხრო-

¹ ლუკ. 9,62.

² რომ. 6,7.

მიღ არს ცოდვათაგან და არღარა აღასრულებს საქმესა მათსა, რამეთუ მკუდარ არს. ხოლო რომელი-იგი ცოცხალ არს ცოდვასა შინა, მონად არს ცოდვისად, რამეთუ აღასრულებს მას დღითი-დღე. და ნუ იტყვ, თუ: არა მატლთა შესაჭმელ არს და ამით უმჯობეს რადმე არს მკუდართასა, ანუ რომელ არა სამარესა შინა მდებარე არს და არა დაყოფილ არიან თუალნი მისნი, არცა სახუეველითა შეკრულ არს; რამეთუ ფრიად უძკრესი შემთხუევის ცოდვასა შინა მყოფსა, ვიდრე სამარესა შინა მდებარესა. არა სჭამენ ჯორცთა მისთა მატლნი, არამედ სულსა მისსა ბევრეულნი ვნებანი დაჰბძარვენ. ხოლო რომელ აღხუმულ არიან თუალნი მისნი, ესეცა ფრიად უძკრეს არს თუალთა მათ დაყოფილთასა, რამეთუ თუალნი იგი მკუდრისანი არარას ბოროტსა ხედვენ, ხოლო ესე აღხუმითა მით თუალთადათ ბევრეულთა ბოროტთა განიცდის და ურიცხუთა სენთა შეიკრებს თავისა თვისისა. იგი მდებარე არს სამარესა შინა მინისასა ჯორცითა, და ესე მდებარე არს სამარესა შინა ცოდვათასა, დაყოფილებული სულითა; დაღაცათუ არა დამპალ არიან ჯორცნი მისნი, ვითარცა მკუდრისანი, არამედ რად სარგებელ არს ესე, რამეთუ სული მისი პირველ ხრწნილებისა მის ჯორცთადას განხრწნილ არს, შეყროლებულ და დამპალ არს. მკუდარი ათ დღე ანუ ოც დღე, გინა თუ ორმეოც დღე ყარნ, და მერმე გარდაჴდის ფრიადი იგი სიმყრალე, ხოლო განხრწნილი იგი ცოდვითა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა ყარს უმეტეს მწკრისა და უსაძაგელეს წუთხისა. მას ბუნებისა მის ჯორცთადას ხოლო აქუს ხრწნილებად, ხოლო ესე ჯორცთა თანა სულითაცა განხრწნილ არს და განრლუეულ. ხრწნილებასა მას და განრლუევასა მკუდრისასა არავინ ხედავენ, რამეთუ აქუს მას საფლავი საფარველად, ხოლო ესე შეყროლებული და დამპალი ყოველთა შორის იქცევის და მიმოაქუს სული თვისი მკუდარი, ვითარცა სამარესა შინა გაუმსა მას ცოდვითა შებლალულსა.

უკუეთემცა იხილვებოდა სული ჯორციელითა თუალითა, იხილეთმცა სული კაცისა შუებასა შინა მყოფისად და ცოდვითა შებლალულისად და გულისჴმა-ყავთმცა, ვითარმედ ფრიად უმჯობეს არს სიკუდილი ჯორცთა და საფლავსა შინა დადებად, ვიდრე კრულეზად სახუეველითა მით ცოდვათადათა სულითა და შესლვად სამარესა მას სასონარკუეთილებისასა, რომელსა ზედა ძენ ლოდი იგი მძიმე უღმობელობისა და უგულისჴმოებისად, და არნ მას შინა სულმყრალობად მოუთმენელი ბოროტთა საქმეთად.

ან უკუე რომელნიცა ესევეთარნი მკუდარნი არიან, უკუეთუ იგინი ლოდსა მას ქუეშე უღმობელობისასა სხენან და არა ელმის, არამედ არიან თუ ვინმე თვისნი და მეგობარნი მათნი, მოუჴედით მათთვს იესუს, ვითარცა მაშინ ყო მარიამ ლაზარესთვს. დაღაცათუ მრავალ დღისა იყოს მკუდარი იგი, ნუ წარკუეთთ სასობასა, არამედ ევედრეთ უფალსა, რადთა აღადგინოს წყალობით; აღილეთ ლოდი იგი და იხილოთ შეკრული ცოდვათაგან

არა ვითარცა სახუეველითა, არამედ ვითარცა ჯელობორკილითა რკინისადა-
თა. რამეთუ ესრეთ არიან ცოდვასა შინა მყოფნი, რაოდენცა ჯორცითა დი-
დებულ იყვნენ და ფუფუნებულ.

და უკუეთუ გნებავს, დიდთა და დიდებულთა მთავართაგანი ვინმე
შორის შემოვიყვანოთ, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ თვნიერ სახელის-დე-
ბისა ვიტყვ იგავსა ამას. დალაცათუმცა სახელსა ვიტყოდე, არცა ეგრეთ
გიჴმს შიში, რამეთუ ვისმცა სადა ეშინოდა მკუდრისაგან, რომელმან-იგი
რავდენიცა რაჲმე უცნებად აჩუენოს, მკუდარივე არს, ხოლო მკუდარსა
ვნებად ცოცხალთა არა ჯელ-ენიფების. გარნა ესრეთ თვნიერ სახელის-
დებისა გულისჯმა-ყავთ მთავარი ვინმე დიდი, განფრდილი ცოდვათა ში-
ნა. იხილეთ იგი ყოვლით კერძო მკუდარ და განხრწნილ; იხილეთ თავი
მისი, რომელსა შინა არს გონებად, მთავარი იგი ყოვლისავე გუამისად, ვი-
თარ შეკრულ არს მთრვალობითა, და წარწყმედილ არიან ყოველნივე საც-
ნობელნი მისნი; არა ასხენ თუალნი ხილვად საღმრთოთა საქმეთა, არცა
ყურნი სმენად სიტყუათა ღმრთისათა, არცა ენად მეტყუელი ვედრებასა
უფლისასა, არცა გონებად გულისჯმის-ყოფად უმჯობესისა რაჲსმე. არა
მკუდარ არსა იგი და უსულო?

განიცადენით ჯელნიცა და იხილნეთ შეკრულნი საკრველითა მით ან-
გაჴრებისადათა, რომელი არა შეუნდობს ყოვლადავე განმარტებად, არცა
მონყალებისა მიცემად, არცა სხვსა რაჲსმე კეთილისა საქმედ! განიცადე-
ნით ფერჯნიცა მისნი და იხილნეთ შეკრულნი საკრველითა ბევრეულთა
მათ ზრუნვათადათა! ამისთვისცა ვეროდეს ჯელ-ენიფების ტაძრად ღმრთი-
სა წარსლვად ანუ მისლვად და ხილვად ღმრთისმოყუარისა ვისმე და სუ-
ლიერისა კაცისა, ანუ ხილვად უძღურისა, ანუ შესლვად საჴყრობილედ და
ნუგეშინის-ცემად ჰყრობილთა; არამედ შეკრულ არიან იგინი ბოროტად
აურაცხელთა მათ ზრუნვათაგან.

იხილეთა მკუდარი იგი? ან იხილეთ მკუდრისმმოსელიცა, თუ ვინ
არს. ვინ არს უკუე მკუდრისმმოსელი ესევითარისა მის მკუდრისაჲ? ესე
არს ეშმაკი, რომელი შეჴკრავს უბადრუკსა მას სახუეველითა ბოროტთა
ჩუეულებათადათა და შთააგდებს სამარესა სასონარკუეთილებისასა, ვი-
თარცა მღვმესა, ქუესკნელსა ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა; და
მიაგორვებს ლოდსა მას დავინყებისა და უღმობელობისასა და ზედაიზა-
ხებნ სიქადულით, რამეთუ შეაყენა საბრჯეთა შინა თვსთა საწყალობელი
იგი.

ან უკუე ვინაითგან ესევითარი იგი მკუდარ არს და უსულო, მოუჯდეთ
მისთვის და შეუვრდეთ იესუს, ვევედრნეთ აღდგინებად, ვისწრაფოთ ლო-
დისა მის გარდაგორვებად, რაჲთა ჯმა-სცეს მას მეუფემან, და ესმას ჯმად
მისი და აღდგეს მკუდარი იგი მრავალთა დღეთაჲ, ნუუკუე ღირს იქმნასცა
სინანულითა თანამეინაჯე-ყოფად უფლისა, და რომელნიცა ექმნეს მას მი-
ზეზ ცხორებისა, ინოდნენ სერსა მას უოხჴნოსა.

ან უკუე რავდენნიცა ხართ მონაფენი ქრისტესნი, ოდეს იყოს ვინმე თვისი ანუ მახლობელი თქუენი ესრეთ მკუდარქმნილი ეშმაკისა მიერ, ესრეთ ისწრაფეთ განცხოვლებად მისა: ევედრენით უფალსა; ასწავეთ ცოდვილსა მას მოქცევად; აუნყეთ მწარე იგი სიკუდილი ცოდვილთად; ნუ წარიკუეთთ სასოებასა, რაოდენცა ხრწნილება ცოდვისა მისისა აღორძინებულ იყოს; ნუ დასცხრებით ვედრებად მისთვის, ვითარცა მაშინ ქმნეს დათა ლაზარესთა, ვიდრემდის იხილოთ იგი განცოცხლებული.

უკუეთუ ესრეთ ვილუნიდეთ თავთაცა თვსთა და მოყუასთაცა ჩუენთა, ვპოოთ ცხორებად იგი საუკუნოდ, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და თაყუანის-ცემად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.